ლელო

№256
(12 326)
30 ოქტომბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი გამოწვევა ახალკაციისთვის



## ისევ სამკუთხედ-ოთხკუთხედები თუ ნაღდი საქმე?

აქტუალური თემა. სამწვრთნელო საკითხი ასაკობრივ გუნდებში 3



## რა ხდება, კლაუს?

კაიზერსლაუტერნი ძალაში რჩება, მაგრამ სხვა ფორმით 3



## ვალენსია: კიკე ფლორესი სახლში გაუშვეს

ალტერნატივა: ლიპი ან მოურინიო 6

# აღვნიშნოთ დაბრუნება გამარჯვებით

ევროთასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. დღეს, სპორტის სასახლე. 18:30
აზოტი-ამსტერდამი

გუშინ ჰოლანდიელებმა სპორტის სასახლეში ივარჯიშეს



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



11 წინასამტრო

## უსტიაშვილსა და მის გუნდს სერიოზული გამოცდა ელის

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

# კლაუსი და ლაუტერნი, რა ხდება გერმანიაში?

## ტოპიმ კაიზერსლაუტერნის სამეთვალყურეო საბჭოში შესვლა იუარა, მხოლოდ რჩევებით შემოვიფარგლებიო...



კლაუს ტოპმოილერი

შაბათს, საქართველოდან გერმანიაში დაბრუნებული **კლაუს ტოპმოილერი**, როგორც მოსალოდნელი იყო, "კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელებს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **დიტერ ბუხჰოლცსა** და მენეჯერ **ერვინ გიობელს** შეხვდა. "ლაუტერნის" ბოსებმა ტოპის მოლოდინისამებრ საპატიო თანამდებობა შესთავაზეს: ადგილი სამეთვალყურეო საბჭოში. საქართველოს ნაკრების თავკაცმა FCK-ს დახმარების ხელი თვითონვე გაუწოდა (წინა კვირაში ვწერდით), მაგრამ გუშინწინ გუნდის ოფიციოზმა დაადასტურა, რომ ტოპმიოლერმა მათ შეთავაზებაზე, გუნდის სამეთვალყურეო საბჭოში მრჩევლის სტატუსით შესულიყო, უარი განაცხადა.

ბუხჰოლცი და გიობელი დანანებით ამბობენ, ტოპმიოლერმა გვითხრა, რომ მისი სურვილი, დახმარებოდა მისთვის საყვარელ კლუბს, სამეთვალყურეო საბჭოში შესვლას არ გულისხმობდაო. *"მან გვითხრა, რომ "კაიზერსლაუტერნთან" მის თანამშრომლობას უფრო სიმბოლური სახე უნდა ჰქონდეს, ვიდრე ოფიციალური,"* - აცხადებს ბუხჰოლცი და იქვე დასძენს, უახლოეს მომავალში კიდევ დაველაპარაკებით და როგორც თვითონ წარმოუდგენია, ისე დაგვეხმაროსო.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რაკი ტოპი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს აგრძელებს, ცხადი იყო, რომ "ლაუტერნის" სამეთვალყურეო საბჭოში ყოფნისთვის ვერ მოიცლიდაო. როგორც ჩანს, FCK-ს შეფებს ჰერ კლაუსის სერიოზულად დასაქმება სურდათ. საინფორმაციო სააგენტო DPA-მ თვითონ ტოპმიოლერის კომენტარი გამოაქვეყნა. აი, რას ამბობს ჩვენი ნაკრების თავკაცი: *"ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდის დახმარებაზე უარს ვამბობ, უბრალოდ, როცა ამის სურვილი გამოვთქვი, არ ვგულისხმობდი ისეთ სამსახურს, როგორიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაა. ადრეც ვთქვი, რომ სამსახური მაქვს და რომ "კაიზერსლაუტერნისთვის" დახმარება ხელფასის გამო არ მსურდა. პირიქით, FCK-ზე გული იმდენად შემტკივა, რომ თუ გუნდს ფინანსური პრობლემები ექნება და ფული დასჭირდება, თვითონ გადავუხდი, ოღონდაც "ლაუტერნი" მეორე ბუნდესლიგიდანაც არ გავარდეს!"*

ორშაბათს, გერმანული პრესა ტოპმიოლერის უარს უფრო მასშტაბურად გამოეხმაურა. გამოცემებმა, "კიკერმა", "ბილდმა" და "ფრანკფურტერ ალგემაინემ" ახალი დეტალები გაახმაურეს. სამივე გამოცემა იტყობინება, რომ ტოპიმ "ლაუტერნის" ხელმძღვანელებს უთხრა, მინდა, რომ გუნდის სპორტულ მართვაში ჩემი სიტყვა მეთქმოდეს, ამისათვის არც ხელფასს ვითხოვ და არც ჰონორარს და არც ის მინდა, რომ სამეთვალყურეო საბჭოში ადგილი დავიკავოო. ამ უქმეებზე FCK-მ "აუეს" 2:0 მოუგო და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ტოპმიოლერი წესით ამ შეხვედრას უნდა დასწრებოდა, მაგრამ აღარ დაესწრო. "ბილდი" ხუმრობით წერს, "ლაუტერნის" ფეხბურთელებმა ალბათ იმიტომაც ითამაშეს ასე კარგად, რომ სულით კაიზერსლაუტერნელი ტოპმიოლერის სული უკვე მათთანაო.

"კიკერი" კი ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე წერდა - რაკი ტოპმიოლერმა გუნდის სპორტულ მართვაში თავისი სიტყვა მოითხოვა, მისთვის ასეთი უფლების მინიჭება გუნდის სპორტული დირექტორის საქმიანობასთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან სპორტული მართველი **შიონბერგიაო**. ეს უკანასკნელი კი სულაც არ დარჩა იმით აღფრთოვანებული, რაც ტოპიმ მოითხოვა. შიონბერგი ამბობს, რომ მას თავის საქმეში არანაირი დახმარება არ სჭირდება. გარკვეულია, რომ "ლაუტერნის" შეფები ტოპის ამ დღეებში კიდევ შეხვდებიან. *"მომდევნო შეხვედრისას მან უნდა გვითხრას, როგორ წარმოუდგენია ჩვენი გუნდისთვის დახმარება. ტოპმიოლერი "კაიზერსლაუტერნისთვის" ძალიან ბევრს ნიშნავს და მისი რჩევები ძალიან გვჭირდება,"* - აცხადებს მენეჯერი გიობელი და იქვე დასძენს, რომ შიონბერგის კომპეტენციას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, რადგან ჰერ კლაუსს სპორტული დირექტორის ფუნქციებში ჩარევა აზრადაც არ მოსვლია. *"ჩვენ ერთი რამ უკვე ვიცით, ტოპმიოლერს არ უნდა, რომ გუნდში რაღაც აკონტროლოს და მართოს. მას უბრალოდ დიდი სურვილი აქვს, რომ დაგვეხმაროს. რა მხრივ და როგორ, ამას მოიფიქრებს და გვეტყვის,"* - ამბობს გიობელი.

გაზეთ "ბილდის" კორესპონდენტის კითხვაზე, რა თანამდებობას დაიკავებს ტოპმიოლერი გუნდში, იქნებ მენეჯერის ან მწვრთნელის, ბეტცენბერგული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბუხჰოლცმა ასეთი პასუხი გასცა: *"ყველაფერი შესაძლებელია!"* შესაბამისად, ტოპმიოლერს გუშინ საღამოს დავუკავშირდით და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ.

*"ეს აბსოლუტური სისულელეა. მწვრთნელის ან მენეჯერის თანამდებობა გამორიცხულია, რადგან მე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ. სამეთვალყურეო საბჭოში შესვლაზეც ამიტომ ვთქვი უარი, რადგან ამ პოსტსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. "კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელებს ვუთხარი, რომ ამ გუნდთან ჩემი თანამშრომლობა სიმბოლური უნდა იყოს. შემიძლია, ზამთრის სატრანსფერო ბაზრისთვის გუნდს რამდენიმე კარგი ფეხბურთელის გადაბირება ვურჩიო. ანუ, არც სპორტული დირექტორის საქმეში ჩარევა მსურს, არც მენეჯერის და არც მწვრთნელის. ერთი სიტყვით, ამ თემისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება საჭირო არ არის. "კაიზერსლაუტერნს" ცუდი კადრები ჰყავს, მე კი მინდა, რომ კარგი ფეხბურთელები ჰყავდეს, ეს არის და ეს. სხვებთან ერთად, გუნდის შეფებს ლევან ცქიტიშვილის აყვანაც ვურჩიე,"* - გვითხრა ტოპმიოლერმა.

**გოტფრიდ ლენცი**



სტადიონების საკითხი

# სანტიაგო ბერნაბეუს დარ საფარს საქართველოში გვთავაზობენ

## ჰოლანდიურ კომპანიას ქართული სტადიონების მოწყობა სურს

საქართველოში მოედნის საფარის მწარმოებელი ცნობილი ჰოლანდიური კომპანია "დესოსპორტი" შემოვიდა. მისი წარმომადგენლობა მზადაა, სახელმწიფო პროექტის ხარისხიანად განხორციელებას ხელი შეუწყოს. ამის შესახებ კომპანიის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი **კობა ახალკაცი** მოგვითხრობს.

"ჩვენი კომპანია "ჯორჯიან სპორტ სერვისი" ფრანგული "ტარკეტის" ინტერესებს წარმოადგენდა და ეროვნული სტადიონის განახლებაში ვმონაწილეობდით. მათთან თანამშრომლობა არ შეგვიწყვეტია. უბრალოდ, ახალი წინადადება ჰოლანდიური "დესოსპორტისგან" წამოვიდა, რომელიც დღეს ბალახის საფარის უანალოგო მეთოდით აგებს. ესაა ნატურალური და ხელოვნური საფარის უმაღლესი ხარისხის სინთეზი, რომელიც ჩვეულებრივზე ოთხ-ხუთჯერ გამძლეა და უფრო ხარისხიანიც. "დესოსპორტი" სოლიდური კომპანია რომ არის, ფაქტებით მიხვდებით. მისი დახმარებით უკვე ისარგებლეს მადრიდის "რეალმა", "არსენალმა" ახალაშენებულ "ემირიტსზე", "ფეიენოორდმა", "ალკმაარმა", "ლივერპულმა", "ვესტ ჰემმა", "რეინჯერსმა" და ა.შ. არაა ურიგო ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია მისი გამძლეობა. თუკი ჩვეულებრივ მოედანს დღეში მაქსიმუმ 2-3 საათი დატვირთავ, "დესოსპორტის" საფარზე 10 საათი უპრობლემოდ ივარჯიშებ. მოკლედ, ეს არის მომავლის საფარი.

ჩვენი ინტერესი სახელმწიფო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებაა. რა თქმა უნდა, ტენდერში მონაწილეობა და ჩვენი ფედერაციისთვის ხარისხიანი მოედნების შეთავაზება გვსურს. ჯობია, ერთხელ ნორმალურად დავაგოთ, ვიდრე სამჯერ უხარისხოდ.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ერთ-ერთ სტადიონზე საფარს დავაგებთ, კიდევ ორი მოედნის შესახებ შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია.

თბილისში ორი დღის წინ "დესოსპორტის" გენერალური მენეჯერი **პოლ ვან დონგენი** გვესტუმრა და პარტნიორობაზე ხელშეკრულება გავაფორმეთ.

ბუნებრივია, ჩვენი ინტერესები გაგვაჩნია, მაგრამ ეს სახელმწიფო პროგრამის ინტერესებსაც პასუხობს, რადგან "დესოსპორტი" ფეხბურთისა და რაგბის ერთობლივი მოედნების გაკეთებაშია სპეციალიზებული.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# სტუმრობა სამაჩაბლოში

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** სამაჩაბლოს სტუმრობდა. თუმცა ეს უბრალო სტუმრობა არ გახლდათ. სოფელ აჩაბეთის მინი-მოედანზე ქართველ და ოს ვეტერან ფეხბურთელთა შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა **დიმიტრი სანაკოევმა**. მატჩი ფრედ 6:6 დასრულდა.

ნოდარ ახალკაცმა და დიმიტრი სანაკოევმა თამაშამდე, სოფელ თამარაშენში მშენებარე სპორტული კომპლექსი მოინახულეს. სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობაში თამარაშენელებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დახმარება აღუთქვა.



www.gff.ge-ს ფოტო

ნოდარ ახალკაცი და დიმიტრი სანაკოევი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი გამოწვევა ახალკაცისთვის

## ისევ სამკუთხედ-ოთხკუთხედები თუ ნაღდი საქმე

რᲝᲒᲝრ იცნობა საქმის ოსტატი? არა ერთი თუ ორი თვისებით. ახლა კი შევთანხმდეთ იმაზე, რომ საქმის ოსტატის უნარის გამომჟღავნების ერთ-ერთი კრიტერიუმი ის არის, თუ როგორ ართმევს ის თავს საქმეს გადამწყვეტ მომენტში.

მაგალითად, ფარერებთან თუ სან მარინოსთან, შესაძლოა, ახტირკის "ნეფტიანიკის" ფეხბურთელმა უფრო ეფექტურად ითამაშოს, ვიდრე ტურინის "მილანისამ", მაგრამ როცა მათი ნაკრები იტალიას თუ გერმანას გადაეყრება, მაშინ ყველაფერი პირიქით დატრიალდება. ასე ხდება მეტწილად, თორემ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე.

დღეს ქართულ ფეხბურთს გადამწყვეტი მომენტი უდგას. სახელმწიფო მილიონებს გამოდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და მთლიანად ქართული ფეხბურთის დასახმარებლად. გადასაჭრელი დარჩა მორიგი საკითხი - სწორედ დაიხარჯება თუ არა ეს მილიონები, სწორედ გაკეთდება თუ არა საქმე.

საქართველოს ეროვნულ გუნდს დამდეგ შესარჩევშიც **კლაუს ტოპმიოლერი** რომ გაწვრთნის, ეს გადაწყვეტილია და ამ გადაწყვეტილებას მიზეზთა გამო, მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ვერ მიიღებდა. აკი დაწერა კიდეც "კიკერმა", ეს საქმე ტოპმიოლერმა სპორტის მინისტრთან შეათანხმაო.

არსებობს ბევრი ორაზროვანი სენტენცია. თუნდაც ასეთი - სრული თავისუფლება მაინცდამაინც არ ვარგა, ზედმეტი თავისუფლებისგან კაცი თავკერძი ხდება.

წლევანდელ და შარშანდელ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს თავი რომ დავანებოთ, სახელმწიფო მილიონებს რომ ხარჯავს ფეხუბრთის ფედერაციისთვის, ეს ძალაუნებურად მანიპულირების საშუალებას აძლევს მას.სხვა საქმეა, ხელისუფლება ამას რა დოზით გამოიყენებს.

ფეხბურთი კი მხოლოდ ეროვნული ნაკრები და მისი ხელმძღვანელი არ არის და ფედერაციას შეუძლია, ძალიან ბევრი საკითხი დამოუკიდებლად გადაწყვიტოს.

ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელების შერჩევისას ალბათ არ მიიღებს რჩევებს არც სპორტის მინისტრისგან და არც სხვა არაოფიციალურ დირექტივას ოფიციალური პირისგან.

**პეტარ სეგრტი, ჰაინც ტოპმიოლერი** და **ჰერბერტ ცანკერი** - მათ ხეირი ვერ მოუტანეს ჩვენს, შესაბამისად 21, 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებს და, არ არსებობს მყარი არგუმენტები, რათა მათ ისევ უთავკაცონ ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს.

ბუნებრივია, ახალკაცი ფიქრობს მათ შესაძლო შემცვლელებზე, შესაძლოა იმაზეც, რომ პეტარ-ჰაინც-ჰერბერტმა კვლავ იმუშაონ ქართულ ნაკრებებში. მაგრამ ახლანდელ სიტუაციაში ძალიან ძნელი იქნება, დაითანხმო ქართული საფეხბურთო სამყაროს თვით ყველაზე აგრესიულად მორჩილი წარმომადგენლებიც კი, რომ პეტარ-ჰაინც-ჰერბერტი უნდა დარჩნენ.

ასაკობრივ ნაკრებებზე პოლემიკა უკვე დაწყებულია. **შოთა არველაძემ** და **კობა ჟორჟიკაშვილმა** უკვე გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხზე და ალბათ სხვებიც იტყვიან სათქმელს. ჯერჯერობით დუმს ახალკაცი - ის არ ამბობს, რომ ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები შეიცვლებიან და არც იმას ამბობენ, თუ შეიცვლებიან, ვინ შეცვლის მათ - ისევ უცხოელები მოვლენ თუ ასპარეზი ქართველ მწვრთნელებს დარჩებათ.

**გია გეგუჩაძე** და **გიორგი დევდარიანი** - ბოლო წლებში ისინი იყვნენ ყველაზე საინტერესო ქართველი მწვრთნელები - მათი გაწვრთნილი "დინამო" და "თბილისი" შემტევ, დინამიურ, თვალისმომჭრელ, სხვა ქართული გუნდებისგან მკვეთრად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდნენ.

ახალგაზრდებთან მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს ჟორჟიკაშვილს, მაგრამ აქვს კი შანსი, ისევ დაუბრუნდეს საქართველოს რომელიმე ასაკობრივ ნაკრებს? მან ხომ რამდენჯერმე დაუსვა კითხვა ახალკაცს, რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ პეტარ-ჰაინც-ჰერბერტიო...

გეგუჩაძემ ახალკაც-**დარსაძე-კოკაიას** სამკუთხედის ეპოქაში მოითხოვა, B სამწვრთნელო ლიცენზია მომეცით, უეფას წესებით გარკვეული მიღწევების შესაბამისად ასეთი ლიცენზიის აღება სამწვრთნელო კურსებზე სიარულისა და გამოცდების ჩაბარების გარეშეც ნებადართულიაო. მწვრთნელთა განათლების საქმეს მაშინ ფეხბურთის ფედერაციაში **გაიოზ დარსაძე** ხელმძღვანელობდა და გეგუჩაძის B ლიცენზია არ აღირსეს. გეგუჩაძე უკრაინაში წავიდა და იქ აიღო A ლიცენზია.

თეორიულად არის იმის შანსი, რომ ახალკაცისთვის ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელების დანიშვნისას არგუმენტი არ იქნება დევდარიანისა და **ნემსაძესთან** ძმაკაცობა, ჟორჟიკაშვილის მიერ დასმული ჩამჭრელი კითხვები და არც ის, რომ გეგუჩაძე B ლიცენზიას ითხოვდა და ამის გამო პრესკონფერენციაც კი გამართა.

ცხადია, გეგუჩაძე-დევდარიანი-ჟორჟიკაშვილის მიღმაც შესაძლებელია მწვრთნელების გამოძებნა ახალგაზრდული ნაკრებებისთვის. შოთა არველაძეს თუ ვერწმუნებით, **მიხეილ ყაველაშვილს** შეუძლია თავი კარგად გაართვას რომელიმე ასაკობრივი ნაკრების გაწვრთნას.

ყაველაშვილს შვეიცარიაში აღებული C სამწვრთნელო ლიცენზია აქვს და თავისუფლად მოაზროვნე, თანამედროვე ტიპად მიიჩნევა.

თანამედროვე, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი კი კადრების შერჩევისას არგუმენტად არ გაიხდის იმას, რომ იმან ის სამართლიანად გააკრიტიკა, რომ იმან რაღაც სამართლიანად მოითხოვა, რომ ის მისი ყოფილი ოპონენტის ძმაკაცია.

მით უმეტეს, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება მიუღებელი უნდა იყოს ევროპაში განათლებამიღებული კაცისთვის - მე დავნიშნავ ნაკლებადუნარიან ქართველ მწვრთნელს, მაგრამ ის იქნება ჩემიანი.

არის ფული და გვჭირდება საქმის კეთების ოსტატი. არის ახალი ასპარეზი და გამოწვევა ახალკაცისთვის...

**დავით თავართქილაძე**



ნოდარ ახალკაცი




ლეგიონი

# ქართული ტრიო ლიტვის ჩემპიონია

ლიტვის ჩემპიონმა და ერთპიროვნულმა ლიდერმა "კაუნასმა" სტუმრად მინასთან გაასწორა "ჟალგირისი" - 5:0. ამით **გივი კვარაცხელიას, ნუკრი მანჩხავასა** და **აკაკი ხუბუტიას** კლუბი ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გახდა ლიტვის ჩემპიონი. ბოლო ცხრა სეზონში "კაუნასმა" ტიტული მერვედ მოიპოვა. "ჟალგირისთან" მატჩში სამივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ხუბუტია 61-ე წუთზე შეცვალეს, კვარაცხელიამ კი 30-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. "ვეტრა" **ვახტანგ კვარაცხელიას** გარეშე დაუხვდა "ეკრანასს" და დაუზავდა - 1:1. "კაუნასს" 77 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ "სუდოვას" 15 ქულით უსწრებს. "ვეტრა" 55 ქულით მეხუთეა, "ინტერასი", სადაც **სულიკო კაკაბაძე** თამაშობს, 8 ქულით უკანასკნელ ადგილზეა.

ლატვიის ვირსლიგაში ბოლოსწინა ტური გაიმართა, დარჩა ერთი გადადებული მატჩი და ბოლო ტური. რიგაში "სკონტო" ხვალ დაუპირისპირდება "ვენტსპილსს", მასპინძელთა გამარჯვება თავდაყირა დააყენებს ყველაფერს, თუკი "ვენტსპილსი" მოიგებს, ეს გუნდი ჩემპიონის ტიტულს ტურით ადრე შეინარჩუნებს. "ვენტსპილსმა" ლიდერ "მეტალურგსს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. გადამწყვეტი გოლი ჩემპიონატის მთავარმა მეგოლე **ვიტას რიმკუსმა** 73-ე წუთზე გაიტანა. **ზურაბ მენთეშაშვილმა** 90 წუთი ითამაშა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. ამ მოგებით "ვენტსპილსი" გალიდერდა, მენთეშაშვილის გუნდს 56 ქულა აქვს, "მეტალურგსს" 55 დარჩა. ჩემპიონობისთვის ბრძოლა "რიგასაც" (54 ქულა) შეუძლია და "სკონტოსაც" (52 ქულა). "სკონტო" "იურმალას" ეწვია და 1:0 იმარჯვა. **დავით გამეზარდაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, **ზაალ ელიავა** კი ისევ ტრავმირებულია. **თამაზ პერტიას** "დინაბურგი" შინ 0:1 დამარცხდა "რიგასთან". პერტიამ 90 წუთი ათამაშა **ლევან კორღალიძე, როლანდ სვანიძე** და **ბექარ გიორგაძე** კი სათადარიგოთა როლით დააკმაყოფილა. "დინაბურგი" 20 ქულით ბოლოსწინაა და ჩემპიონატსაც ამ პოზიციაზე ჩაამთავრებს.

კვიპროსის დაბა ახნასში მეშვიდე ტურის მატჩში ერთმანეთს **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი" და **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" დაუპირისპირდნენ. ბერძენი ფორვარდის **ნიკოს ფრუსოსის** გოლის წყალობით ქართველი მწვრთნელის გუნდმა გაიმარჯვა (1:0) და საჩემპიონო რბოლაში "ომონიის" დევნა განაგრძო. "ანორთოსისს" 17 ქულა აქვს და ლიდერ "ომონიას" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. ახნასელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ქებაძემ. ლიმასოლში "აპოლონმა" 4:1 გაანადგურა "ნეა სალამინა", თუმცა მასპინძელთა შორის **ლევან მაღრაძე** არ ყოფილა. ამ მოგებით "აპოლონს" 10 ქულა დაუგროვდა და მესამე ადგილზე გადავიდა. "ეთნიკოსს" სულ ერთი ქულით ნაკლები აქვს, თუმცა მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა.

ორი ტურიც და ბელარუსის ჩემპიონატი დასრულდება, ჩემპიონის ვინაობა (ბატე) ერთი კვირის წინათ გაირკვა. საპრიზო ადგილებისთვის კი გააფთრებული ბრძოლა მიდის. თუმცა ქართველთა გუნდები ცხრილის ფსკერისკენ არიან: ბრესტის "დინამოს" 24 ქულა აქვს, ხოლო მოგილევის "დნეპრს" - 23, იმდენივე რამდენიც ბოლოსწინა ადგილზე მყოფ დებიუტანტ "სმორგონს", სადაც პირველ წრეში **სულიკო კაკაბაძე** თამაშობდა. **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრი" "მინსკს" ესტუმრა, ფრეს გამორჩა (0:0) და ლიგიდან ოფიციალურად გააგდო. წლეულს მხოლოდ ერთი გუნდი ვარდება. ბრესტელები კი შინ 0:2 დამარცხდნენ "გომელთან". "დინამოს"რიგებში სასტარტოში **გია თოდუამ** დაიწყო, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს **რომან გოგინაშვილმა** შეცვალა. ბრესტელთა არაოფიციალური საიტის ცნობით, თოდუას ჯერ მეკარესთან ერთი-ერთზე გასვლა გაუფუჭებია, შემდეგ ხუთი მეტრიდან კარისთვის აუცილებია, ბოლოს კი სრულიად მარტოს მიუღია ბურთი მექტოქის კარის ხაზთან და ვერ დაუმუშავებია. ამის გამო მწვრთნელმა 42-ე წუთზე ის თანამემამულით შეცვალა, რომელმაც უფრო გამოაცხოლა თამაში და მასპინძელთა რიგებში საუკეთესო იყო.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მორიგ ტურში ქართველთა "კაბალა" დებიუტანტ "ბარდას" ესტუმრა და 2:1 მოუგო. სტუმართა კარს **ზურაბ მამალაძე** იცავდა, დაცვის ცენტრში **ირაკლი ვაშაკიძე** თამაშობდა, **თორნიკე აფციაური** მეორე ტაიმში გამოჩნდა, ხოლო **გიორგი გაბიდაურს** არ უთამაშია. **ვლადიმერ უგრეხელიძის** "სტანდარდი" ჩემპიონ "ხაზარს " ესტუმრა და მოულოდნელად არაფერი დაუთმო - 2:2. ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია. "ნეფთჩიმ" 2:1 მოუგო "სიმურგს", **გიორგი ადამია** შესვენების შემდეგ შევიდა. ევლახში "ქარვანმა" "ბაქისთან" 0:1 დათმო. მასპინძელთა შორის 90-90 წუთი ითამაშეს **ალექსანდრე ინწკირველმა** და **გოჩა ტრაპაიძემ**, რომან ახალკაცი არ ყოფილა. სტუმრებში **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** (გააფრთხილეს) სრულად ითამაშა, **ამირან მუჯირმა** - მეორე ტაიმი. "ყარაბახი" შინ "ინტერთან" 0:1 დამარცხდა, მასპინძელთა შორის **გოგა ბერაია** 90-ე წუთზე ძმამ, **ირაკლიმ** შეცვალა. "ნეფთჩი" 14 ქულით მეოთხე ადგილზეა, "კაბალას" 12 ქულა აქვს და მეექვსეა, ამდენივე ქულა აქვთ "ქარვანს", "ყარაბახსა" და "ბაქის". ყველაზე ცუდად ქართველთა გუნდებიდან "სტანდარდი" ასპარეზობს - 6 ქულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი და პირველი ლიგები

# 11 ნოემბერი ბევრს გადაწყვეტს

ყველანი ისევ 11 ნოემბრის მოლოდინში ვართ. სანამ "დინამო"-"ზესტაფონის" ჯახი პირველი წრის გამარჯვებულს გამოავლენს, მანამდე მეათე ტური ჩაბარდა ისტორიას. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ შაბათ-კვირას გამოსარჩევი მოვლენები მოხდა, მაგრამ სატურნირო ცხრილში ცვლილებები ყოველ სათამაშო დღეს მოაქვს. განსაკუთრებული მოულოდნელობა არ დაფიქსირებულა, ლიდერებმა დაგეგმილი სამი ქულა იოლად მოიპოვეს, უფრო მძიმე ბრძოლები კი "ამერსა" და "ოლიმპს" გადახდათ. ოდნავ ამოისუნთქეს მერანელებმა, რომლებმაც აუტსაიდერთა დერბიში დამაჯერებლად იმარჯვეს.

მოკლედ, 11 ნოემბრის წინ არაფერი შეცვლილა, მანამდე კი თავი ორი სათასო ტურით უნდა შევიქციოთ.

### X ტური

| 27 ოქტომბერი. შაბათი | |
|---|---|
| მგლები-ამერი | 0:1 |
| დილა-ბორჯომი | 0:0 |
| მესხეთი-დინამო | 0:2 |

| 28 ოქტომბერი. კვირა | |
|---|---|
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-ბათუმი | 4:1 |
| ლოკომოტივი-მერანი | 0:2 |
| ოლიმპი-სიონი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 10 | 9 | 1 | 0 | 20-3 | 28 |
| 2. დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-3 | 27 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 16-8 | 22 |
| 4. ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18-10 | 18 |
| 5. ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-6 | 18 |
| 6. მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-11 | 17 |
| 7. ოლიმპი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-8 | 17 |
| 8. მგლები | 10 | 5 | 0 | 5 | 10-9 | 15 |
| 9. სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-14 | 11 |
| 10. ლოკომოტ. | 10 | 3 | 0 | 7 | 7-16 | 9 |
| 11. სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 3-12 | 8 |
| 12. მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 5-20 | 6 |
| 13. დილა | 10 | 1 | 1 | 7 | 7-18 | 5 |
| 14. ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |

### X ტურის სიმბოლური ნაკრები




### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| | აკირემი (დინამო) | 6 |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 6 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| 5-9 | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| | ჭედია (მგლები) | 5 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| 10-14 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ქარდავა (სიონი) | 4 |
| | შ. გრიგალაშვილი (ბორჯომი) | 4 |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 4 |
| 15-23 | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 3 |
| | დოლიძე (ამერი) | 3 |
| | ბ. ჩიტაია (დილა) | 3 |
| | ჩასემი (სიონი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| 24-36 | დავითაშვილი (ამერი) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | სადალაშვილი (დილა) | 2 |
| | სანიკიძე (სიონი) | 2 |
| | ქირია (მგლები) | 2 |
| | კოშკაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ჟვანია (მესხეთი) | 2 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 2 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | რ. ონიანი (ზესტაფონი) | 2 |
| | გოჩაშვილი (მერანი) | 2 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| | თ. ლონლაძე (ბორჯომი) | 3 |
| | ჯელაძე (ამერი) | 3 |
| | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | 3 |
| 5-16 | ფეიქრიშვილი (დინამო) | 2 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 2 |
| | დეკანოსიძე (ამერი) | 2 |
| | კაკაბაძე (მგლები) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | გვირჯიშვილი (მესხეთი) | 2 |
| | ნადირაძე (სიონი) | 2 |
| | ქუცურუა (სიონი) | 2 |
| | დავითაშვილი (ამერი) | 2 |
| | დოლიძე (ამერი) | 2 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | სპასოევიჩი (დინამო) | 9 (6+3) |
| 2 | ხუციშვილი (დინამო) | 8 (6+2) |
| 3-4 | აკირემი (დინამო) | 7 (6+1) |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 7 (6+1) |
| 5-6 | ტატანაშვილი (ამერი) | 6 (5+1) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 (5+1) |
| 7-12 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 5 (3+2) |
| | გრიგალაშვილი (ბორჯომი) | 5 (4+1) |
| | ჭედია (მგლები) | 5 (5+0) |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 5 (5+0) |
| 13-22 | ჯელაძე (ამერი) | 4 (1+3) |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 4 (3+1) |
| | დოლიძე (ამერი) | 4 (3+1) |
| | დავითაშვილი (ამერი) | 4 (2+2) |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 4 (4+0) |
| | ქარდავა (სიონი) | 4 (4+0) |
| | ჩასემი (სიონი) | 4 (3+1) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 4 (3+1) |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 4 (3+1) |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| 3-11 | სამხარაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | მედოევი (სპარტაკი) | 1 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 1 |
| | სანიკიძე (სიონი) | 1 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 1 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 1 |
| | კრასოვსკი (მგლები) | 1 |
| | იმედაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | დარჩიძე (ბათუმი) | 1 |

### მილებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოვონო (დინამო) | 2 |
| 2 | ქანტურია (ზესტაფონი) | 3 |
| 3 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 6 |
| 4-6 | ივარდავა (მგლები) | 8 |
| | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| | ქვარხია (ამერი) | 8 |

### მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორ.) | 382 წთ. |
| 2 | ოვონო (დინამო) | 366 |
| 3 | ქანტურია (ზესტაფონი) | 362 |
| 4 | ქანტურია (ზესტაფონი) | 341 |
| 5 | ოვონო (დინამო) | 338 |
| 6 | კოდალაევი (სპარტაკი) | 284 |
| 7 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 257 |
| 8 | ქვარხია (ამერი) | 241 |
| 9 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 236 |
| 10 | ივარდავა (მგლები) | 234 |
| 11 | სომხიშვილი (მესხეთი) | 226 |
| 12 | ივარდავა (მგლები) | 225 |

### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ქანტურია (ზესტაფონი) | 362 |
| 2 | ქვარხია (ამერი) | 241 |
| 3 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 168 |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| 2-3 | სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| 4-7 | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | კოშკაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 2 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-10 | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 1 |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ქარდავა (სიონი) | 1 |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 1 |
| | აკირემი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დინამო) | 1 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 1 |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 1 |

### მატჩის რჩეული

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | გემარნიშვილი (ბორჯომი) | 2 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 2 |
| | აკირემი (დინამო) | 2 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩასემი (სიონი) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 2 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დ. ხარიტონაშვილი | 8 |
| | გ. ვადაჭკორია | 8 |
| 3-4 | ლ. კვარაცხელია | 7 |
| | ლ. ფანიაშვილი | 7 |
| 5 | მ. ბეუქლიშვილი | 6 |
| 6-9 | გ. კიკაჩეიშვილი | 5 |
| | ო. ხეცაძე | 5 |
| | ა. კრიჭაშვილი | 5 |
| | მ. ურუშაძე | 5 |
| 10-11 | პ. დოგრაშვილი | 3 |
| | ლ. სილაგავა | 3 |
| 12-13 | კ. ჭაჭუა | 2 |
| | ჯ. ბუიშვილი | 2 |
| 14-17 | ვ. ელისაბედაშვილი | 1 |
| | ვ. გუმბერიძე | 1 |
| | გ. დოგრაშვილი | 1 |
| | ა. ნონიკაშვილი | 1 |

### ხშირი ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1 | 1:0 | 14 |
| 2 | 0:1 | 8 |
| 3 | 2:1 | 7 |
| 4 | 2:0 | 6 |
| 5 | 0:2 | 5 |
| 6-7 | 1:2 | 4 |
| | 1:1 | 4 |
| 8-9 | 3:0 | 3 |
| | 0:3 | 3 |

### გასულ ტურში

13 გოლი
(საშუალოდ მატჩში 1.85)

25 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.57)

2 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.28)

### ჩემპიონატში (70 მატჩი)

160 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2. 28)

280 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 4.00)

15 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.21)

პირველი ლიგა. XI ტური

# მუხრანში ვერაფერი გაირკვა

**გაგრა-მეშაქრე 1:1**

29 ოქტომბერი. მუხრანი. ცენტრალური. 600 მაყურებელი

1:0 ჩარგეიშვილი (23), 1:1 კობახიძე (43)

გაგრა: ჩომახიძე, გრძელიშვილი, ქაჯაია, კვანტალიანი, თოთაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი (81. ხელაძე), შარიქაძე, დათუნაშვილი (73. აფციაური), მეტრეველი, ყიფიანი (69. სუხიშვილი)

მეშაქრე: დათიაშვილი, კავსელაძე, ახობაძე, დონდოლაძე, თარგამაძე, გვარუციძე, ლაცაბიძე, კვარაცხელია, ლობჟანიძე (80. მანწკავა), კობახიძე (67. გარუჩავა), ებანოიძე (76. კრავეიშვილი)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

პირველი ლიგის ცენტრალურმა მატჩმა მეტად საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. შეხვედრა რომ უპრინციპულესი იყო, სატურნირო ცხრილიდანაც ნათლად ჩანს. "გაგრა" "მეშაქრეს" ორი ქულით უსწრებდა და ბუნებრივია, სხვაობის გაზრდას ლამობდა, აგარელები კი ლიდერობის დაბრუნებას ცდილობდნენ. საბოლოოდ, მიზანს ვერავინ მიაღწია და ვითარება უცვლელი დარჩა.

მასპინძლებმაცა და სტუმრებმაც საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან, ნამატჩევს კი ორივე მხარემ აღიარა, რომ ფრე ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგია. შეგახსენებთ, პირველ წრეში "მეშაქრემ" "გაგრა" შინ 7:1 გაანადგურა. პირველი ლიგა სამ წრედ ტარდება და შესაბამისად, ეს გუნდები ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან, აგარელები მუხრანელებს საკუთარ კედლებში შეებრძოლებიან.

პირველ ლიგაში ჯერ ტურნირის ნახევარიც არ გალეულა, მაგრამ ალზევების კანდიდატები უკვე მკვეთრად გამოიკვეთა. აღმოსავლეთის გამარჯვებული, უდავოდ "გაგრასა" და "მეშაქრეს" შორის ერთ-ერთი იქნება, დასავლეთში კი "მალაროელმა" კიდევ უფრო განიმტკიცა უპირატესობა. ჭიათურელებმა უახლოესი მდევრები უკვე რვა ქულით ჩამოიტოვეს და დღევანდელი გადასახედიდან, ძნელი წარმოსადგენია, მათ პირველობაში ვინმე შეეცილოს.

შეგახსენებთ, სეზონის ბოლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონის გამარჯვებულები ერთმანეთში პლეიოფში შეხვდებიან და უმაღლესი ლიგის ბინადარს გაარკვევენ. ამ წყვილში დამარცხებულს კიდევ ერთი შანსი მიეცემა და უმაღლესის ბოლო საგზურისთვის იქ მე-11 ადგილზე გასულ გუნდს დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ჩიხურა | 0:1 |
| ოლიმპი 2-კახეთი | 1:0 |
| ამერი 2-ვიტ ჯორჯია 2 | 1:4 |
| გაგრა-მეშაქრე | 1:1 |
| დინამო 2-ნ. დინამო/მერ.2 | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 11 | 6 | 4 | 1 | 21-16 | 22 |
| 2. მეშაქრე | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 3. ვიტ ჯორ. 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 16-7 | 19 |
| 4. დინამო 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 18-10 | 18 |
| 5. ოლიმპი 2 | 11 | 4 | 3 | 4 | 12-10 | 15 |
| 6. ჩიხურა | 11 | 4 | 3 | 4 | 11-15 | 15 |
| 7. ამერი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 17-20 | 14 |
| 8. ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-18 | 12 |
| 9. კახეთი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-15 | 12 |
| 10. ნ/დინ.მერ. 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 7-25 | 1 |

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| კოლხეთი ფ.-კოლხეთი ხ. | 2:2 |
| ფაზისი რაჭა-მაღაროელი | 1:3 |
| ტორპედო-მეშახტე | 2:0 |
| მერანი მარტვ.-ზესტაფონი 2 | 1:0 |
| სამტრედია-უნივერსიტეტი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 11 | 9 | 2 | 0 | 26-8 | 29 |
| 2. მერანი მ. | 11 | 6 | 3 | 2 | 12-6 | 21 |
| 3. მეშახტე | 11 | 7 | 0 | 4 | 19-20 | 21 |
| 4. ტორპედო | 10 | 4 | 3 | 3 | 16-12 | 15 |
| 5. კოლხეთი ფ. | 11 | 3 | 4 | 4 | 14-15 | 13 |
| 6. უნივერს. | 11 | 4 | 1 | 6 | 8-10 | 13 |
| 7. კოლხეთი ხ. | 11 | 3 | 3 | 5 | 13-18 | 12 |
| 8. ზესტაფონი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 12-8 | 11 |
| 9. ფაზისი რაჭა | 10 | 2 | 2 | 6 | 15-19 | 8 |
| 10. სამტრედია | 11 | 1 | 2 | 8 | 10-26 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ კილაძე 80

# მოხდენილი და ტექნიკური





ქართული ფეხბურთის გულშემატკივრების უფროს თაობას კარგად ახსოვს თბილისის "სპარტაკისა" და "დინამოს" შესანიშნავი ფეხბურთელი, ნახევარმცველი **არჩილ კილაძე** (1927-2007). მას დღეს 80 წელი შეუსრულდებოდა.

არჩილი შესანიშნავი სპორტული თვისებებით გამოირჩეოდა. ის იყო დაუღალავი, მაღალტექნიკური ფეხბურთელი, პერსონალური მეურვეობის ოსტატი. ამავე დროს, იგი დაჯილდოებული იყო იშვიათი პიროვნული თვისებებით, რამაც მას თავისი თანაგუნდელებისა და, საზოგადოდ, მთელი საფეხბურთო სამყაროს სიმპათიები მოუპოვა.

კილაძის საფეხბურთო ბიოგრაფია განუყრელად არის დაკავშირებული ორი ქართული გუნდის - "სპარტაკისა" და "დინამოს" ისტორიასთან. მისი სახელი პირველად ცნობილი გახდა 1949-50 წლებში, როდესაც იგი "სპარტაკში" თამაშობდა.

ვუბრუნდები ჩემთვის და ყველა ძველი გულშემატკივრისათვის ესოდენ ძვირფას და დაუვიწყარ წლებთან დაკავშირებულ მოგონებებს.

1948 წელს ფეხბურთის მოყვარულებმა პირველად გავიგონეთ თბილისის "სპარტაკის" სახელი და ისიც უფრო იმის წყალობით, რომ მას სათავეში ჩაუდგა უმუშევრად დარჩენილი (?!) შესანიშნავი მწვრთნელი, სწორუპოვარი სელექციონერი **ანდრო ჟორდანია**, რომელსაც ნამდვილი ჯადოქარივით ხელენიფებოდა სავსებით უცნობი ახალგაზრდა ბიჭებისაგან ძლიერი, მონოლითური კოლექტივის შექმნა. პირველი დღეებიდანვე ბატონ ანდროს საყვარელი აღსაზრდელი არჩილ კილაძე გახდა. მახსოვს, რა სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა ხოლმე აჩიკო თავის აღმზრდელ მწვრთნელს - ჩვენთვის მეორე მამასავით იყოო - ამბობდა.

ჟორდანიას მიერ ახალშექმნილი გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამით მომდევნო - 1949 წელს სსრკ პირველობაზე ("ბ" კლასში) მონაწილეობის უფლება მოიპოვა. დაიწყო 1949 წლის სეზონი და დაიწყო "სპარტაკის" გამარჯვებათა არნახული, უმაგალითო სერია: 20 შეხვედრა - 20 გამარჯვება...

საბოლოოდ, ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და მოიპოვა "ა" კლასში გამოსვლის უფლება. გავიხსენოთ ამ გუნდის ფეხბურთელთა სახელები: მეკარეები **გ. იოსელიანი** და **გ. პირაევი**, მცველები - **ი. კატანოვი, რ. ოსაძე, ი. შუდრა, ზ. ქვარიანი**, ნახევარმცველები და თავდამსხმელები **მ. გამყრელიძე, ა. კილაძე**, ძმები **გაგნიძეები, ვ. გვარამაძე**, ძმები **ბურჭულაძეები, თ. გუგუნავა, ტ. ეპიტაშვილი, ა. პაიჭაძე, ვ. ლომაია** (კაპიტანი). 1950 წელს მათ დაემატათ ბრწყინვალე მეკარე **ვ. ჟმელკოვი**.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჟორდანიამ დაახასიათა ყველა ეს ფეხბურთელი და არჩილ კილაძეს "გუნდის სული და გული" უწოდა.

ახალბედა გუნდის გამოსვლა 1950 წლის ჩემპიონატში აღსავსე იყო უალრესი დრამატიზმითა და თავბრუდამხვევი "ვირაჟებით". რაღაც მომენტში, "სპარტაკი" ბოლოსწინა - მე-18 ადგილზე იმყოფებოდა. საბოლოოდ კი ძალზე საპატიო მე-9 ადგილზე გავიდა 19 გუნდს შორის, თანაც მოიპოვა რამდენიმე სენსაციური გამარჯვება საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან.

სწორედ ამ გამარჯვებების შუქზე ხდება გასაგები, თუ საიდან აღმოჩნდა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ (1997) მოსკოვში გამოცემულ "საფეხბურთო ენციკლოპედიაში" (!) ასეთი ფანტასტიკური ფრაზები: "Стремительно ворвавшись в высшую лигу, тбилисский "Спартак" прямо-таки заворожил своей игрой любителей футбола. Команда поразила удивительной свежестью игры, неукротимым желанием победы и всегда присущим грузинским футболистам безупречным обращением с мячом".

სხვათა შორის, თვითონ არჩილ კილაძის სიტყვებით, სწორედ 1949-1950 წლების სეზონები იყო ყველაზე დაუვიწყარი მის საფეხბურთო ბიოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგი წლების განმავლობაში იგი საქართველოს პირველ გუნდში - "დინამოში" თამაშობდა.

ვიხსენებ 1950 წლის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს, სადაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა კილაძის სპორტული ნიჭიერება და ოსტატობა. ამ დაუღალავი, ძალზე მობილური და სწრაფი ფეხბურთელის წვლილი აქ ძალიან დიდი იყო.

პირველი ორი თამაში მინსკის "დინამოსთან" და მოსკოვის "ტორპედოსთან" ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით - 2:1.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მეორე შეხვედრა. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, არჩილმა მოედნის ცენტრიდან წამოიწყო შეტევა, სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე და ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანში. მოუხელთებელმა ავთო პაიჭაძემ უმალ გაგზავნა იგი მოსკოველთა კარში!

სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა გაიმართა 14 ივნისს ქვეყნის ჩემპიონთან, მოსკოვის "დინამოსთან", რომელიც დავამარცხეთ 1:0. თამაშის მთავარი გმირი, ცხადია, ბრწყინვალე გოლის ავტორი **არჩილ ბერძენიშვილი** იყო, მაგრამ მთელმა გუნდმა დაიმსახურა უმაღლესი შეფასება. როგორც მუდამ, ძალზე დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა, მთელი მოედნის ფარგლებში არჩილ კილაძემ.

დაუვიწყარია ერევნის "დინამოსთან" შეხვედრაც (22 ივნისს), რომელიც კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა. როდესაც თამაშის დამთავრებას აკლდა 15 წუთი და ანგარიში იყო 1:1 (ვ. ლომაიას გოლი), თბილისელებმა წამოიწყეს ნამდვილი შტურმი, რომლის ერთ-ერთი თაოსანიც არჩილი გახდა. ერთ მომენტში მისი დარტყმული კარის ძელს მოხვდა. საბოლოო ანგარიში კი - 3:1 დაფიქსირდა (ვ. ლომაიასა და კ. გაგნიძის გოლები).

ძალზე ეფექტური იყო მოგება მოსკოვის "სპარტაკთანაც" (2:1). გოლები გაიტანეს **შ. ალფაიძემ** და **გ. აროშიძემ**. შესანიშნავად ითამაშა კილაძემაც, რომელმაც მთლიანად ჩაკეტა მოსკოველთა მთავარი "დისპეტჩერი" - ცნობილი **ნ. დემენტიევი**.

დაბოლოს, მოგება 1:0 თბილისის "დინამოსთან" (5 სექტემბერი), როდესაც მთელი სტადიონის სიმპათიები "სპარტაკის" მხარეზე იყო! ვ. მარლანიას კარში მ. გამყრელიძემ კილაძის პასით გაიტანა.

საბოლოოდ, როგორც ითქვა, "სპარტაკმა" 37 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა 19 გუნდს შორის. ეს ძალიან დიდი წარმატება იყო ახალბედა კოლექტივისათვის.

"დინამომ" კი იმ წელს მესამე ადგილზე დაამთავრა ჩემპიონატი.

სეზონის ბოლოს, "სპარტაკის" სამი საუკეთესო მოთამაშე ა. პაიჭაძე, კ. გაგნიძე და ა. კილაძე რესპუბლიკის პირველ გუნდში, "დინამოში" გადაიყვანეს.

"დინამოს" შემადგენლობაში არჩილმა 1951-1953 და 1957 წლებში ითამაშა. ჩაატარა 40 შეხვედრა და 2 გოლი გაიტანა.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა 1951 წლის ჩემპიონატი, რომელიც "დინამომ" ცნობილი **მ. იაკუშინის** მწვრთნელობით ჩინებულად ჩაატარა და მეორე ადგილიც მოიპოვა. კილაძემ 20 თამაშში მიიღო მონაწილეობა (28-იდან) და დიდებულად შეერწყა კოლექტივს, რომელშიც ამ დროს ბრწყინავდნენ **ა. ღოღობერიძე, ვ. ელოშვილი, ნ. ძიაპშიპა, გ. ანთაძე, ვ. პანიუკოვი, მ. ჯოჯუა** და სხვები.

ალბათ, განსაკუთრებით დაამახსოვრდა არჩილს თამაში მოსკოვის ვვს-თან (საჰაერო ძალების გუნდი, რომელსაც ვასილი სტალინი მეურვეობდა) - 23 აპრილს (3:3), სადაც მას ძალიან გაუჭირდა რუსეთის გენიალური ფორვარდის **ვსევოლოდ ბობროვის** შეკავება, რომელმაც ერთი დაუვიწყარი გოლიც გაიტანა.

სამაგიეროდ, არჩილის მიერ კიევში გატანილმა გოლმა (1:1) ჩვენი გუნდი წაგებას გადაარჩინა.

კარგად მახსოვს "ზენიტთან" მოგებული მატჩიც (4:2), სადაც თბილისელთა კაპიტანმა, დიდმა ავთანდილ ღოღობერიძემ (სამჯერ) და არჩილმა ულამაზესი, გოლები გაიტანეს.

შემდგომ კი მან მონაწილეობა მიიღო "დინამოს" ტრიუმფულ საგასტროლო თამაშებში პოლონეთში, სადაც დავამარცხეთ უძლიერესი ადგილობრივი გუნდები.

მიჭირს რისიმე თქმა 1952 წლის ჩემპიონატის შესახებ, რადგანაც იგი მთლიანად მოსკოვში ჩატარდა (მსოფლიო ოლიმპიური თამაშების მოლოდინში) ერთ წრედ. "დინამომ" მე-4 ადგილი დაიკავა.

აი, 1953 წელი კი ნამდვილად უიღბლო აღმოჩნდა არჩილისათვის. პირველივე თამაშში მან ტრავმა მიიღო და დიდი ხნით დაემშვიდობა მწვანე მინდორს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი იგი ძირითად შემადგენლობაში აღარ დააყენეს. განაწყენებულმა ფეხბურთელმა დატოვა გუნდი და მას დაუბრუნდა მხოლოდ 4 წლის შემდეგ (!) - 1957 წელს, **გაიოზ ჯეჯელავას** მწვრთნელობის დროს.

ამით დამთავრდა 30 წლის ა. კილაძის როგორც ფეხბურთელის კარიერა, რამდენიმე წელი არჩილი ქუთაისის "იმერეთის" გუნდის მწვრთნელად მუშაობდა. 1960 წელს ამ გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. სწორედ ამ დროს აქ დაფრთიანდნენ დიდი ფეხბურთისათვის ცნობილი ფეხბურთელები - **ს. კუტივაძე, ჯ. ხერხაძე, გ. ნიშნიანიძე, ა. ავალიანი**.

**გულბათ ტორაძე**

ქალთა ფეხბურთი. U17

# ამჯერად, მხოლოდ სამი გოლით

## ვიბრძვით მესამე ადგილისთვის

**საქართველო-რუსეთი 0:3**

29 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი. 300 მაყურებელი

0:1 კოლტაკოვა (4), 0:2 კოლტაკოვა (55), ანანიევა (80)

საქართველო: ჩაჩანაშვილი, პასიკაშვილი (კაპ.), ხვედელიძე, ჯოხაძე, სუთიძე, ლომიძე, კვალიაშვილი (80. კოჭლამაზაშვილი), დიასამიძე, თათუაშვილი, ტოკლიკიშვილი, სალუქვაძე.

არბიტრი: დონკა ჟელევა ტერზიევა (ბულგარეთი)

17-წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე გუშინ ჯგუფის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. რუსთავში ქართველმა გოგონებმა რუს თანატოლებს უმასპინძლეს. სამწუხაროდ ჩვენი გუნდი ისევ დამარცხდა. თუმცა თუ წინა თამაშში 13 მშრალი ბურთით წავაგეთ, ამჯერად მხოლოდ სამი გოლით დავმარცხდით.

მეორე შეხვედრაში ინგლისმა სლოვაკეთს 3:1 სძლია და ჯგუფში კვლავ პირველია. ორი ტურის შემდეგ, ჩვენს ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 16-1 | 6 |
| 2. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-16 | 0 |

დასკვნითი ტურის მატჩები ხუთშაბათს, 1 ნოემბერს გაიმართება. ამჯერად, ორივე შეხვედრა ერთდროულად, 15 საათზე დაიწყება. რუსთავში რუსეთი და ინგლისი პირველი ადგილისთვის დაუპირისპირდება ერთმანეთს, "მიხეილ მესხზე" კი საქართველო სლოვაკეთს ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ტარიფი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

# კიკე ფლორესი შინ გაუშვეს

## მოთმინების ფიალა აივსო. მოლაპარაკებები მოურინიოსა და ლიპისთან



კიკე ფლორესის ვალენსიური კარიერა დასრულდა

გასულ კვირას, **ხუანდე რამოსის** გარეშე დარჩენილმა "სევილიამ" "ვალენსიას" წირვა გამოუყვანა. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ "ღამურების" მთავარი მწვრთნელი **კიკე სანჩეს ფლორესი** აქამდეც დაუნდობელი ლანძღვა-გინების ობიექტი იყო. გულშემატკივრები მის გადაყენებას ჯერ კიდევ გასული სეზონიდან ითხოვდნენ, მაგამ პრეზიდენტი **ხუან ბაუტისტა სოლერი** ბოლო მომენტამდე ფეხს ითრევდა და აცხადებდა, რომ კიკეს უსიტყვოდ ენდობოდა. სიმართლე ითქვას, ამ იდილიის ნაკლებად თუ ვინმეს სჯეროდა. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ "ვალენსიის" უმაღლესი ხელისუფალი რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან მერკანტილური მოტივების გამო იკავებდა თავს. მარტივად რომ ვთქვათ, სენიორ სოლერს საკომპენსაციო თანხის გადახდა არ უნდოდა. ამასობაში კი ფლორესისადმი გულშემატკივრების სიძულვილი დღითიდღე იზრდებოდა. მოგეხსენებათ, "ღამურებს" მშობლიურ "მესტალიაზე" თამაში ტანჯვად ექცათ. 90 წუთის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის შეურაცხმყოფელი შეძახილები არ წყდებოდა. ბატონი კიკე აღიარებდა, რომ გასვლით შეხვედრებში გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს. პარადოქსულია, მაგრამ ინჩასები "ვალენსიის" თავკაცს არა შედეგების, არამედ უსახური ფეხბურთის გამო გადაემტერნენ. იყო შემთხვევები, როცა ფლორესის ბიჭები დიდი ანგარიშით იგებდნენ, მაგრამ ეს სულაც არ იყო დამაბრკოლებელი ფაქტორი. ქომაგები მაინც დედას იგინებოდნენ. მათი აზრით, ფლორესმა " ვალენსიას" მისთვის დამახასიათებელი პეწი დაუკარგა. უკვალოდ გაქრა გუნდის ის კულტურა, რომელიც კონტრიერიშებზე აგებულ ძალიან ლამაზ ფეხბურთს მოიცავდა. პრეტენზიები საკადრო პოლიტიკის მიმართულებითაც იყო. მავანთა აზრით, მწვრთნელი მეტისმეტად კონსერვატორი იყო და ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაკლებად ენდობოდა. ბევრი **ალბელდა, ანგულო, ბარახა, მარჩენა** და **კანისარესი** კი ახალს ვერაფერს ამბობდნენ. მართალია, მათ უდიდესი გამოცდილების ხარჯზე არაერთი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაუტარებიათ, მაგრამ გასაკვირი არ არის, რომ ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებას ახალი ხალხის ახლებური ლაღი თამაში სწყუროდა.

მოკლედ, ასეთი პარანოია უსასრულოდ, რა თქმა უნდა, არ გაგრძელდებოდა. "სევილიასთან" განცდილი მარცხი ის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც მოთმინების ფიალა აავსო და ემოციებს გასაქანი მისცა. გუშინ ბაუტისტა სოლერმა კიკე სანჩეს ფლორესი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ნაადრევად გაათავისუფლა. მისი ორწლიანი ვალენსიური ხანა დღეს წარუმატებლად ფასდება, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მცირე დროის გასვლის შემდეგ ამ ადამიანზე უფრო მეტი მოწიწებით ისაუბრებენ. კიკემ "ვალენსიაში" ორი წელი გაატარა. ქომაგებს კარგად ახსოვთ, რომ "ღამურებმა" ის მაშინ მიიწვიეს, როცა **რაფა ბენიტესის** "ლივერპულში" წასვლით "ვალენსია" მეტისმეტად დაძაბუნდა. თავდაპირველად ხელმძღვანელობამ თანამდებობაზე **კლაუდიო რანიერი** დაამტკიცა, მაგრამ იტალიელმა სპეციალისტმა "მესტალიაზე" კრახი განიცადა და სამსახური დაკარგა. კიკეს სწორედ ამის შემდეგ დაუძახეს. სხვათა შორის, ამ დანიშვნას მოწინააღმდეგეები იმთავითვე გამოუჩნდნენ. ამბიციურ გულშემატკივრებს მისი პროფესიული წარსული არ მოსწონდათ. საქმე ის არის, რომ ფლორესს "მესტალიაზე" მისვლამდე პრიმერა დივიზიონში მუშაობის მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება ჰქონდა. გემახსოვრებათ, "ხეტაფემ" საფეხბურთო სპეციალისტების ყურადღება სწორედ ფლორესის გამართული მუშაობის წყალობით მიიპყრო. დირექტორატი იმედოვნებდა, რომ ეს კაცი ახალ გუნდშიც კარგად იმუშავებდა. როგორც მოგახსენეთ, მისი მუშაობა უარყოფითად იქნა შეფასებული.

მოდით, ჩვენ უფრო ცივი გონებით ვიმსჯელოთ და მოვლენები ობიექტურად შევაფასოთ. ხუან ბაუტისტა სოლერი ტრანსფერებში ფულს ხელმომჭირნედ ხარჯავდა. მრავალი თხოვნის მიუხედავად, მან კოლეგების მოწოდებები არ გაიზიარა და მნიშვნელოვანი ტრანსფერები არ გაჩარხა. ერთადერთი, ვისთვისაც მან ფული გაიმეტა, **ხოაკინი** გახლდათ. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთელების გადაბირების თხოვნით, გუნდის დამრიგებელიც არ იკლავდა თავს. მას ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა და თავდახრილი მუშაობდა. ამ შრომას "ვალენსიისთვის" არანაირი ტიტული არ მოუტანია. ფლორესმა გუნდს ვერც პრიმერა დივიზიონში, ვერც ესპანეთის სამეფო თასზე და, მით უმეტეს, ვერც ჩემპიონთა ლიგაში გაამარჯვებინა. მიუხედავად ამისა, "ღამურები" მუდამ მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდნენ. ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში "ვალენსიას" ხელწამოსაკრავ კოლექტივად არავინ მიიჩნევდა. პირიქით, მისგან მუდამ გამარჯვებას ელოდნენ. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც გუნდს ტრავმების ეპიდემია გასაქანს არ აძლევდა. ფლორესის მოღვაწეობის ორივე სეზონში "ვალენსიის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები სისტემატურად ლაზარეთში იმყოფებოდნენ. ერთი თუ გამოჯანმრთელდებოდა, ორი იმტვრეოდა. თუმდაც 2005-06 წლების სეზონი რად ღირს. კიკე სანჩესმა ერთბაშად 12 ფეხბურთელი მოისაკლისა. აქედან 8 ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახლდათ. არ გვინდა, იფიქროთ, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებულ მწვრთნელს ვიცავთ. უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ ეს კაცი წიხლით გაგდებას არ იმსახურებდა. ღვაწლი ყოველთვის დაფასებული უნდა იყოს.

ახალგაზრდა სპეციალისტი ყოველ დღეს დაუზარებელ შრომაში ატარებდა. ცდილობდა, საზოგადოებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, მაგრამ ხშირად ამას ვერ ახერხებდა. ზოგჯერ თავად აჭარბებდა, ზოგჯერ აქეთ უტევდნენ. ყველაზე დიდი დაპირისპირება მას ყოფილ დირექტორ **ამადეო კარბონისთან** ჰქონდა. სხვათა შორის, ტრავმებით დაუძლურებული კოლექტივის თავკაცი იტალიელ საფეხბურთო ჩინოსანს ყელგამოღადრული სთხოვდა, ახალი მოთამაშეები იჯარის წესით მაინც გადაებირებინა, მაგრამ კარბონი მთელ დროს არა კლუბების ოფისებში მოლაპარაკებათა მაგიდასთან, არამედ საპარიკმახეროებში ატარებდა. მას ძალიან უყვარდა ლამაზი ვარცხნილობა და თავის მოვლა. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ დაფარული ბრძოლა აღარ დაიმალა და ორი ადამიანის უშელავათო დაპირისპირების შესახებ მთელმა ქვეყანამ გაიგო. "ვალენსიაში" ან ერთი უნდა დარჩენილიყო, ან მეორე. ომი ფლორესმა მოიგო. ახალგაზრდა მწვრთნელს იმედი გაუჩნდა, რომ მტარვალი გენერალური დირექტორის მოშორების შემდეგ საქმე უკეთესად წარიმართებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ჯიბეზე ხელის გაკვრა თვით ბაუტისტა სოლერსაც არ ყვარებია. ასეა, თუ ისე, კიკე სანჩეს ფლორესის ხანა დასრულდა. გუნდიდან საბოლოოდ წასვლის წინ მან საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და შეეცადა, ჟურნალისტთა კითხვებზე გულწრფელი პასუხები გაეცა: *"ყველამ იცოდით, რომ ქომაგებზე ნაწყენი ვიყავი. ბოლო დროს ერთმანეთის მისამართით უსიამოვნო სიტყვებს არ ვიშურებდით, მაგრამ ახლა ამას აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს. წასვლის წინ მსურს, ინჩასებს ზედმეტად მომთხოვნი ხასიათისთვის მადლობა გადავუხადო. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. საფეხბურთო გრანდების გულშემატკივრები, შეუძლებელია, მომთხოვნები არ იყვნენ. რა თქმა უნდა, თანამდებობიდან გაშვება არავის ახარებს, თუმცა ამ თემაზე საუბარს აზრი არ აქვს. მივდივარ და მადლობას ვუხდი ყველას. ამავდროულად, უნდა მოგახსენოთ, რომ სამსახურს გულდაწყვეტით ვტოვებ. მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით დიდი მიზნების მიღწევას შევძლებდით. მშვიდობით, მივდივარ. მართალია, სამუშაო დავკარგე, მაგრამ სიცოცხლე დავიბრუნე. ამიერიდან გარკვეული დროის განმავლობაში მშვიდად ვიცხოვრებ. ოჯახის წევრებთან ერთად ვიქნები. ძალიან გვიან გავიღვიძებ და ცოტას ვიმოგ ზაურებ."*

შესაძლოა, კიკე სანჩეს ფლორესს საამისო საშუალება არ მიეცეს. კურიოზულია, მაგრამ მოარული ხმების თანახმად, ახლახანს გადაყენებულ სპეციალისტს თანამშრომლობას "სევილია" თავაზობს. თითქოს **ხოსე მარია დელ ნიდო** მწვრთნელის მენეჯერს შეხვდა და კონკრეტული წინადადებების განხილვას შეუდგა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მენეჯერმა იმაზე ოდნავ მეტი თანხა მოითხოვა, ვიდრე ანდალუსიელთა პრეზიდენტი იმეტებს...

მწვრთნელი თავად "ვალენსიასაც" სჭირდება. ხუან ბაუტისტა სოლერი, რა თქმა უნდა, დროს უქმად არ დაკარგავს. კატალონიური "დიარიო სპორტის" მტკიცებით, პრეზიდენტი "ჩელსის" ყოფილ დამრიგებელ **ჟოზე მოურინიოსთან** აწარმოებს მოლაპარაკებას. სხვათა შორის, ბარსელონური გაზეთი წერს, რომ სოლერი პორტუგალიელის მენეჯერს, **ჟორჟე მენდეშს** ჯერ კიდევ გასულ კვირაში მალულად შეხვდა და თანამშრომლობა შესთავაზა. პარალელურად, ესპანურ პრესაში **მარჩელო ლიპის** შესაძლო დანიშვნაზეც საუბრობენ. ამბობენ, სენიორ სოლერი ლეგენდარულ იტალიელ მწვრთნელს პირადად ესაუბრა და დამაიმედებელი პასუხიც მიიღოო. ყოველ შემთხვევაში, ვალენსიის რეგიონულ გაზეთებში ლიპიზე ძალიან რიხიანად წერენ. ყველა იმას ამბობს, პრეზიდენტი უახლოეს დღეებში იტალიას გაემგზავრება და საქმეს მოაკვარახჭინებსო. "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დონ მარჩელოს განცხადება ჩაეგდო ხელში, თუმცა სანადელს ვერ მიაღწია. ლიპის მონახვა უბრალოდ შეუძლებელი აღმოჩნდა. ძალიან საინტერესოა, ამ თემას იტალიური პრესაც თუ აიტაცებს და რაიმე ხელჩასაჭიდს დაადგენს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



კასანო ძველებურად აფრენს

რა მოხდა კატანიაში?

# კასანომ მონტელა გალანძღა და მოედანი დატოვა...

## სიცილიელებს გენუელებისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ

"კატანია"-"სამპდორიის" მატჩამდე და მატჩის დროს უცნაური ამბები მოხდა. გენუელები მასპინძლებს ზეწოლასა და შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. ცხადია, "ბრალდებული" მხარე ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს და ამას სტუმართა ფანტაზიებს მიაწერს. როგორც ამბობენ, ინციდენტი მოხდა მატჩის დაწყების წინ, როცა "კატანიის" რამდენიმე წარმომადგენელმა "სამპდორიის" ფეხბურთელებს უხეშად მიმართა.

*"ჩვენ უკვე ვაცნობეთ ფეხბურთის ფედერაციას, რაც მოხდა, თუმცა შედეგის გამო საჩივარი არ შეგვიტანია. კლუბის ზოგიერთი დირექტორი და ფეხბურთელი სიტყვიერი შეტევის ობიექტი გახდა, ზოგს ხელითაც შეეხნენ. ამაში მონაწილეობდა სტადიონის მომსახურე პერსონალის ზოგიერთი წევრი"*, - ვკითხულობთ "სამპდორიის" ოფიციალურ განცხადებაში.

ამას უმალ "კატანიის" პრეზიდენტ **ანტონიო პულვირენტის** პასუხი მოჰყვა: *"ჩვენ შეშფოთებულები ვართ ამ ბრალდებების გამო. მე ველაპარაკე პასუხისმგებელ პირებს და მათ დამარწმუნეს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. იყო მხოლოდ ხმამაღალი სიტყვაპასუხი. ეს არის და ეს. უბრალოდ, მათ უნდოდათ, რომ მატჩი მათთვის სასურველ კალაპოტში ჩაეყენებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ჩვენ სამართლიან ბრძოლაში გავიმარჯვეთ".*

როგორც ჩანს, ეს იმ სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამოძახილია, რასაც წინა დღეებში პრესის ფურცლებზე ჰქონდა ადგილი. "სამპდორიის" მწვრთნელ **ვალტერ მაძარის**, რომელიც წინა სეზონში "რეჯინაში" მუშაობდა, მედიისთვის უთქვამს - ჯობდა, "კიევოს" მაგივრად "კატანია" გავარდნილიყოო. ეტყობა, სიცილიელთა მხრიდან მეტოქის მიმართ აგრესიაც ამით უნდა იყოს გამოწვეული.

ბოლოს კი იმაზე, რაც თამაშის დროს მოხდა. პირველი ტაიმის მიწურულს, **ანტონიო კასანომ**, რომელიც ამ მატჩში ის პირველად იყო ძირითად შემადგენლობაში, ტრავმა მიიღო. ის არ დაელოდა მოთამაშეთა შეცვლის ჩვეულებრივ რიტუალს და თვითნებურად დატოვა მოედანი. **ვინჩენცო მონტელამ** სცადა, თანაგუნდელი შეეჩერებინა, მაგრამ კასანომ ის უხეშად მოიცილა. გუშინ კასანომ განმარტა, რომ ტრავმის გამო აღელვებული იყო - მეგონა, ჩემ გარშემო ყველაფერი დაინგრაო. ის ადასტურებს, რომ მონტელას ეუხეშა, თუმცა ბოდიშის მოხდას არ აპირებს. "სამპის" გენერალურმა დირექტორმა **ბეპე მაროტამ** კი კასანოს დაცვა სცადა - რას ვიზამთ, მგრძნობიარე ბიჭიაო. ეჰ, არ იქნება ამ ბიჭის გამოსწორება...

პენსია

# სტამი წავიდა

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მცველმა **იააპ სტამმა** კარიერა დაასრულა. 35 წლის ვეტერანი "აიაქსში" ირიცხებოდა. ის პენსიაში გასვლას ჯერ კიდევ ზაფხულში გეგმავდა, მაგრამ გადააფიქრებინეს. შემდეგ დაშავდა და ოპტიმალური ფიზიკური კონდიციების აღდგენა გაუჭირდა. სტამი ამბობს, ფეხბურთიდან წასვლის მიზეზი ფიზიკური პრობლემები და მოტივაციის არარსებობააო: *"ვატყობ, როცა მინდორზე ვარ, უფრო მეტს ჩემს თავზე ვფიქრობ, ვიდრე გუნდზე. ეს კი უპატიებელი საქციელია. ეგოისტობა არც გუნდს წაადგება და არც მე. მატჩზე კონცენტრაციას ველარ ვახერხებ, რაც შეცდომების ალბათობას საგრძნობლად ზრდის."*

სტამმა უკანასკნელად 20 ოქტომბერს ნიიმეგენის წინააღმდეგ ითამაშა. მან თავი შეუძლოდ იგრძნო და ნაადრევად შეცვალეს. იააპმა პროფესიული კარიერა 1992 წელს, "ცვოლეში" დაიწყო. ოთხი წლის შემდეგ პირველი დიდი კონტრაქტი გააფორმა - "ეინდჰოვენთან". 1998 წელს ის "მანჩესტერ იუნაიტედში" ჩაირიცხა და პირველსავე სეზონში სამი ტიტული მოიგო. 2002 წლის ზაფხულში ის მოულოდნელად "ლაციოში" გაყიდეს. რომში გატარებული სამი წლის შემდეგ სტამმა "მილანს" მიაშურა, 2006 წელს ჰოლანდიაში დაბრუნდა და "აიაქსში" გააგრძელა ასპარეზობა. სტამმა ჰოლანდიის ნაკრებში 67 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი შეაგდო. ის ეროვნულ გუნდს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა.





იააპ სტამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა

# დღეს ბრაზილიას დაადასტურებენ

## გაძლიერებული დელეგაცია ციურიხში. ფიფას აღმასკომმა როტაციის წესი გააუქმა



რიკარდო ტეიშეირა, ზეპ ბლატერი და ლუიზ ინასიუ ლულა და სილვა

ციურიხს ბრაზილიის გაძლიერებული დელეგაცია ეწვია. დღეს ფიფას შტაბ-ბინაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ქვეყანას 2014 წლის მუნდიალის მასპინძლობის ნებას დართავენ. ბრაზილიის პრეზიდენტ **ლუიზ ინასიუ ლულა და სილვასთან** ერთად, გაძლიერებულ დელეგაციაში 11 შტატის პირველი პირიც შედის. ამას გარდა, დელეგაციის წევრები არიან ნაკრების მწვრთნელი **კარლოს დუნგა,** ვეტერანი ფორვარდი **რომარიო** და სახელგანთქმული მწერალი **პაულო კოელიო**. კი, მაგრამ **პელე** სადღააო, იკითხავთ, ალბათ. ისევე, როგორც ერთ დროს ლენინი და პარტია, ბრაზილია და პელეც ერთმანეთთან ასოცირდებიან. ანუ, ვამბობთ ბრაზილიას და ვგულისხმობთ პელეს, ვამბობთ პელეს და ვგულისხმობთ ბრაზილიას. ეტყობა, ის ამ დელეგაციაშიც იგულისხმება, ასე ვთქვათ, მისი ვირტუალური წევრია. ისე კი, ხუმრობა იქით იყო და, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ბრაზილიურ დელეგაციაში პელეს არყოფნით ფრიად გაკვირვებული დარჩენილა...

დავანებოთ თავი პელეს და ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდო ტეიშეირას** კომენტარს გავეცნოთ: *"მსოფლიოს 2014 წლის წლის ჩემპიონატი ბრაზილიასა და მის ხალხს ეკუთვნის. ციურიხში თვით ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების ჩამოსვლა იმის ნიშანია, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება და რაოდენ სერიოზულად ვეკიდებით იმ უდიდეს პატივს, რასაც მუნდიალის მასპინძლობა ჰქვია".*

ცხადია, ბრაზილიას პრობლემები არ ექნება. მას კონკურენტიც არ ჰყავს. როტაციული პრინციპის მიხედვით, მუნდიალის ორგანიზება სამხრეთი ამერიკის კონტინენტს უწევს. 2003 წელს, როცა ბრაზილიამ კანდიდატურა წამოაყენა, მას უკლებლივ ყველა სამხრეთამერიკულმა ფედერაციამ დაუჭირა მხარი. შეგახსენებთ, რომ ამ კონტინენტმა მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს ფორუმს ბოლოს 1978 წელს (არგენტინა) უმასპინძლა, თავად ბრაზილიას კი ეს პატივი მხოლოდ ერთხელ და ისიც შორეულ 1950 წელს ხვდა წილად. გეთანხმებით, რომ პარადოქსია, მაგრამ ნურც ფიფას დავადანაშაულებთ. წლების განმავლობაში თავად ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია და, რაც მთავარია, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ამის საშუალებას არ იძლეოდა. სხვათა შორის, ამ საკითხის ლობირება ვერ მოახერხა თვით **ჟოაო აველანჟმაც** კი, რომელიც ფიფას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

■ ■ ■

ზემოთ ყბადაღებული როტაციის პრინციპი ვახსენეთ. ეს საკითხი გუშინ ფიფას აღმასკომმა განიხილა და წესი, რომელიც 2000 წლიდან მოქმედებდა, გააუქმა. ასე რომ, 2018 წლის მუნდიალისთვის განაცხადის მიღება უკვე დღეიდანაა შესაძლებელი. ძველი წესის წყალობით, 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება აფრიკის კონტინენტმა (სამხრეთი აფრიკა) მიიღო. ბევრი ეჭვობს, რომ აფრიკული ქვეყნები ამისთვის ჯერ მზად არ არიან. ამას მოწმობს თავად **ზეპ ბლატერის** მიერ მაისში გაკეთებული განცხადებაც, როცა მან სამხრეთაფრიკელთა მიერ დღემდე გაწეული მუშაობით უკმაყოფილება გამოთქვა, თან არ გამორიცხა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება რომელიმე სხვა ქვეყნისთვის გადაელოცათ. ფიფას ბოსის განცხადებას აფრიკელთა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. "რკინის ზეპი" იძულებული გახდა, ტონი შეერბილებინა. საბოლოოდ, ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია.

გასაგებია ფიფას ფუძემდებლური პრინციპიც იმასთან დაკავშირებით, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის მან ყველა კონტინენტი უნდა მოიცვას. მაგრამ განვითარებული ქვეყნები ფიქრობენ, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ იმათ, რომელთაც მასშტაბური ტურნირის გამართვის გამოცდილებაც აქვთ და საამისო პოტენციალიც გააჩნიათ.

მოკლედ, გუშინდელ აღმასკომზე საეტაპო გადაწყვეტილება მიიღეს. როგორც ფიფას ვიცე-პრეზიდენტი **ჩუნ მონ-ჯუნი** ამბობს, ახლა ყველა ეროვნულ ფედერაციას შეუძლია, მუნდიალის ჩატარების უფლებისთვის იბრძოლოს და ფიფაში შესაბამისი განაცხადიც შეიტანოს. ფიფა კი იმ ქვეყანას მიანიჭებს უპირატესობას, ვინც ამისთვის ყოველმხრივ მზად იქნება.

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ესპანეთი კარგია, ინგლისი არ მინდა

## მაესტრო მალე დაბრუნდება. მისთვის პირლო პირველია, ბაჯოსთან შერიგება კი არ გამოვა...



მარჩელო ლიპი

**მარჩელო ლიპიმ "გაძეტა დელო სპორტის" ოფისში ვიდეოკონფერენცია გამართა. გულშემატკივრებთან საუბრის დროს მაესტრომ სამომავლო გეგმები გაამხილა, შეეხო დღევანდელ "სკუადრა აძურას", გაიხსენა რობერტო ბაჯო, ხოლო ანდრეა პირლო "ოქროს ბურთის" ღირსად მიიჩნია...**

**- ბერლინური ფინალიდან ყველაზე მეტად რომელი ეპიზოდი დაგამახსოვრდათ?**

- რა თქმა უნდა, გერმანიაში მცხოვრებ იტალიელ ემიგრანტთა უდიდესი სიხარული. ფინალის შემდეგ ბაზაზე დაბრუნებულებს იქ ათასობით ჩვენი თანამემამულე დაგვხვდა. ჩვენ მათთვის ნამდვილი გმირები ვიყავით და გმირებადვე ვრჩებით.

**- რა რჩევას მისცემდით რობერტო დონადონის შოტლანდია-იტალიის მატჩის წინ?**

- დონადონი უმაღლესი დონის მწვრთნელია და ვფიქრობ, მას ჩემი რჩევები არ სჭირდება. გნებავთ ჩემი პროგნოზი? ჩვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონია. დარწმუნებული ვარ, ბიჭები ერთ მუშტად შეიკვრებიან და დაგვანახებენ, რაც შეუძლიათ. ერთი სიტყვით, გლაზგოში აუცილებლად მოვიგებთ.

**- დელ პიერომ განაცხადა, რომ ან ცენტრფორვარდის პოზიციაზე ითამაშებს, ან ნაკრებს დაემშვიდობება. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

- მე ვარ ის მწვრთნელი, რომელთანაც ალექსმა თავისი კარიერის დიდი ნაწილი გაატარა და უნდა გამოგიტყდეთ, ხანდახან გვიჭირდა საერთო ენის გამონახვა. დელ პიერო ყოველთვის მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ პოზიციაზე დამეყენებინა. თუმცა ცენტრფორვარდის როლში ის გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს და ამაზე ყოველთვის მიმანიშნებდა ხოლმე. ეტყობა, ამის თქმა უნდა დონადონისთვისაც. ასეა თუ ისე, მე და რობერტო ერთ აზრზე ვართ: დელ პიერომ საკუთარი თავი არ უნდა შეზღუდოს.

**- საინტერესოა, როგორ მუშაობდით ისეთ ფეხბურთელებთან, როგორებიც მატერაცი და გატუზო არიან?**

- ფეხბურთში ყოველთვის არის ხალხი, რომელთა ყურება გსიამოვნებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ შედეგს უზრუნველყოფენ არა ისინი, არამედ მატერაცისა და გატუზოსნაირი მოთამაშეები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი, თავიანთი თავდადებით, საკუთარ მხრებზე ზიდავენ მთელ გუნდს და ამიტომაც აფასებენ მათ თანაგუნდელები. მატერაცისა და გატუზოს გარდა, ამ კატეგორიის მოთამაშეებს შორის კანავაროსაც დავასახელებდი.

**- რას იტყოდით ზინედინ ზიდანზე?**

- მხოლოდ კარგს. ის საოცრად მოკრძალებული ადამიანია, ის არის ინტელიგენტი, რომელიც ხანდახან კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე. რაც გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის მის კარიერაში? მახსენდება "იუვე"-"ჰამბურგის" მატჩი, ან "იუვე"-"რომა"... მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ დიეგო მარადონას შემდეგ, ბოლო 20 წლის განმავლობაში, უძლიერესი სწორედ ზიდანი იყო.

**- რამდენიმე სიტყვა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკზე...**

- რა გითხრათ... მას საფრანგეთშიც თითქმის არავინ სცემს პატივს. ყველამ ნახა მისი ჟესტი იმ ეპიზოდის მერე, რაც ზიდანმა მატერაცის თავი ჩაარტყა. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ იტალიის წინააღმდეგ მისი გუნდი ყოველთვის ცუდად თამაშობს. სამაგიეროდ, დომენეკისგან ამ აბდაუბდის მოსმენა გასართობად მაინც ღირს.

**- ვის მისცემდით წლეულს "ოქროს ბურთს"?**

- ვერც კი წარმომიდგენია, ვინ ითამაშა წელს ანდრეა პირლოზე უკეთ. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მან მოიგო იმდენი ჯილდო, რამდენიც კაკამ, რომელსაც ყველაზე მთავარი რამ აკლია - მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. თამაშის ორგანიზების ნიჭით, პირლოს ვერავინ შეედრება. ასე რომ, მე ანდრეას ვგულშემატკივრობ. ცოტათი მაშინებს იბრაჰიმოვიჩი, მაგრამ შვედს, პირლოსგან განსხვავებით, საერთაშორისო არენაზე არაფერი მოუგია. ზლატანი არატიპიური ფორვარდია, რადგან ის არ ცდილობს გოლის გატანას ნებისმიერი ხერხით, მას არანაკლებ სიამოვნებას ანიჭებს შედეგიანი გადაცემების გაკეთებაც.

**- დღევანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებდით "ინტერში" გატარებულ წლებს?**

- დღეს უნდა ვაღიარო: "ინტერში" ჩემი წარუმატებლობა განპირობებული იყო იმით, რომ "იუვენტუსის" მაგიისგან თავი ვერ დავაღწიე, "ინტერის" გარემოსთან გაშინაურება ვერ შევძელი, ტურინის შემდეგ ის ვერ გახდა ჩემი ახალი სახლი... მეტიც, "ინტერი" ჩემთვის ერთგვარ ბარიერადაც კი იქცა... თან მაშინ არც გვიმართლებდა. რონალდოსა და ვიერის სახით, მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდთა ტანდემი გვყავდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მათ ერთად თამაში ვერ მოახერხეს. თუმცა არა მგონია, რომ "ინტერში" მუშაობის წლები დაკარგულია. უბრალოდ, დიდი გამარჯვებების შემდეგ წარუმატებლობები ნორმალურ რიტმში გაბრუნებს. ეს არის და ეს.

**- ცოტა ხნის წინათ თქვით: "არასოდეს უთხრათ "მილანს" - არასოდეს"! რას ნიშნავდა ეს სიტყვები?**

- ცოტა ხანში აუცილებლად დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმეს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად ვიმუშავებ. "მილანი" მართლა მეძახდა და ასე იმიტომაც ვუპასუხე, რომ ფეხბურთში ნამდვილად ასე ხდება - დღეს აქ ხარ, ხვალ კი იქ, სადაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდი, რომ ოდესმე მოხვდებოდი. მომავალ გუნდზეც ჯერ არ დავფიქრებულვარ. გამორიცხული არ არის, რომ ეს იყოს უცხოური კლუბი... ესპანეთი მიზიდავს, ინგლისი არა, ენა არ ვიცი... ფრანგულს კი ვსწავლობდი, მაგრამ გარწმუნებთ, არასოდეს ვიმუშავებ საფრანგეთის ნაკრებში.

**- გერმანული თუ იცით? იქ, ალბათ, ვერ გიტანენ, თუმც ნამდვილად გაფასებენ... "ბაიერნში" კი ლუკა ტონი თამაშობს...**

- "ბაიერნში" ტონის ყველა თამაში ვნახე. ამ მომენტისთვის ის თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 50, მაქსიმუმ 60 პროცენტს ავლენს.

**- დავუბრუნდეთ იტალიას. ისე, რატომ არ შეიძლება იმუშავოთ "მილანში"? ეს ერთადერთი გუნდია, რომელიც თქვენს კარიერას აკლია...**

- ვერ გეტყვით... კიდევ ბევრი კარგი გუნდია... "მილანს" ჰყავს უდიდესი მწვრთნელი, რომლის უკანაც უდიდესი კლუბი დგას, შესანიშნავი ურთიერთობებიც აქვთ... კარლო ძალიან გახსნილი ადამიანია.

**- "იუვენტუსის" სატრანსფერო პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებენ. რას იტყოდა ამაზე ერთ-ერთი უდიდესი "იუვენტინო" ლიპი?**

- ვინც ამ პოლიტიკას აკრიტიკებს, შევახსენებდი, რომ თავის დროზე პლატინის "იუვენტუსში" ადაპტაციისთვის ექვსი თვე დასჭირდა. იგივე შეიძლება ითქვას ზიდანზეც. ძალიან ცუდია, ეძებო ნეგატივი იქ, სადაც ის არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ "იუვეს" ხარისხს განაპირობებს ოთხი-ხუთი ექსტრაკლასის ფეხბურთელი. ბუფონს, დელ პიეროს, ნედვედს, კამორანეზისა და ტრეზეგეს ვგულისხმობ, ცხადია.

**- "ნაპოლიში" მუშაობის პერსპექტივა არ გიზიდავთ?**

- ძალიან მომწონს მარეკ ჰამსიკი, მომწონს მათი აქცენტი ახალგაზრდობაზე და კიდევ ბევრი სხვა რამ, მათი მწვრთნელის ჩათვლით, ჩემში დიდ პატივისცემას იწვევს. ნამდვილად არ მინდა, ჩემი კომენტარებით ხელი შევუშალო ამ კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს. წარმოდგინეთ, ჩემი ყოფილი თანაშემწის ვენტურას სანახავად ვიარეჯოდან პიზაში ჩასვლასაც კი ვერ ვრისკავ. მეშინია, ჩემი აზრებით გონება არ ავუბნიო...

**- გჯერათ "რომასი"?**

- ლუჩანო სპალეტისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და ამიტომ, მის მუშაობას დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალ-ყურს. მის ხელშია გუნდი, რომელსაც ნებისმიერი ჯილდოს მოგება შეუძლია.

**- მეგობრებზე საუბრისას, არ გიჩნდებათ სურვილი, რომ რობერტო ბაჯოსთან ნორმალური ურთიერთობა აღადგინოთ?**

- ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში ხდება ხოლმე, როცა რაღაც არ გამოდის ისე, როგორც გინდა. ასევე, ყოველთვის გხვდება ცხოვრებაში ადამიანი, რომელთანაც საერთო ენას ვერ პოულობ. რომის პაპიც კი ყველასთან ვერ ახერხებს მორიგებას. ასე მოხდა ბაჯოსთანაც...





სლომკაზე ზეწოლა იზრდება, კურანის გოლები ველარ გააქვს. შალკეს ფანებმა ვერცხლის სინი უნდა დაივიწყონ...

შალკე

# ისინი ტიტულზე აღარ ფიქრობენ!

## სამეულში თუ მოვხვდებით, ესეც კარგი იქნებაო...

შაბათს, "ვერდერთან" მატჩის შემდეგ (1:1), "შალკეს" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ტელეკომპანია ZDF-ის სპორტულ გადაცემას ესტუმრა და გადაცემის ბოლოს, თოქ-შოუს ტრადიციულ შეჯიბრებაში 3 დარტყმიდან 3 გოლი გაიტანა, რის გამოც ძალიან გახარებული დარჩა. არადა, მანამდე მისმა გუნდმა ზედიზედ მეოთხე ოფიციალური თამაში ვერ მოიგო და ამდენად, სლომკას სიხარულის საფუძველი, წესით, არ უნდა ჰქონოდა. მე-11 ტურის შემდეგ "შალკე" მე-5 ადგილზეა და ლიდერ "ბაიერნს" უკვე 9 ქულით ჩამორჩება.

შესაბამისად, სულაც არაა გასაკვირი, რომ გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ასეთ რამეს ამბობს: *"ჩემპიონობაზე საუბრის უფლება აღარ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. წესით, ჩვენი გუნდის ფეხბურთელებმა პირველ ადგილზე აღარ უნდა ილაპარაკონ, რადგან ლიდერს ძალიან ჩამოვრჩით. მოვლენები რეალურად უნდა შევაფასოთ, "შალკეს" მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, ანუ, სამეულში მოხვედრა უნდა იყოს."*

ერთი სიტყვით, გელზენკირხენელებმა "ვერცხლის სინზე" კიდევ ერთხელ ჩაიქნიეს ხელი. არადა, სლომკა ამბობდა, ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომ "ბაიერნს" სერიოზული კონკურენცია გავუწიოთო. სეზონის დაწყებიდან ჯერ მხოლოდ 11 ტურია გასული, მაგრამ უკვე ცხადია, რომ თუ სასწაული არ მოხდა, "შალკე" ჩემპიონობას ვერც ამჯერად იზეიმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2008 წელს 50 წელიწადი შესრულდება მას მერე, რაც გელზენკირხენელები უკანასკნელად გახდნენ გერმანიის ჩემპიონები.

ფაქტია, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი ვერ თამაშობს ისეთ ფეხბურთს, როგორსაც ის გუნდი უნდა თამაშობდეს, რომელსაც ჩემპიონობა უნდა. შესაბამისად, იზრდება ზეწოლა მწვრთნელზე - სლომკას პოზიციები ნელ-ნელა სუსტდება და მირკოც წნეხის ქვეშ ექცევა. მიულერი: *"გუნდს ძალიან ცოტა გოლი გააქვს და ამიტომაცაა, თამაშებს რომ ვერ იგებს. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ეს დღევანდელი "შალკეს" უმთავრესი პრობლემაა. მომდევნო თამაშებში გუნდმა უნდა დაამტკიცოს, რომ გოლების გატანა მხოლოდ სტანდარტული სიტუაციებიდან კი არა, თამაშიდან, გონივრული და წინასწარ დამუშავებული კომბინაციებითაც შეუძლია."* მენეჯერის ამ სიტყვებში მწვრთნელისადმი კრიტიკა ისმის. მიულერი აბსოლუტურად მართალია, "შალკე" "ვერდერთან" სახიფათო მომენტებს მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობების დროს ქმნიდა (როგორც ყოველთვის, ძალიან სახიფათო იყო **კრისტიან პანდერის** ჯარიმები) და გოლიც ჯარიმით გაიტანა (**კარლოს გროსმიულერი**).

თვითონ მწვრთნელი აღიარებს, რომ მისდამი კრიტიკა გამართლებულია და გრძნობს, რომ შექმნილ ვითარებაზე ფეხბურთელებთან ერთად თვითონაცაა პასუხისმგებელი. კვირას მირკო გუნდის პრეზიდენტ **იოზეფ შნუზენბერგს** შეხვდა და ამ შეხვედრის შემდეგ "შალკეს" მთავარი ბოსის კომენტარი ასეთი გახლდათ: *"სლომკა ცოტა გაბრაზდა იმის გამო, რომ გავაკრიტიკეთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან ეს დაიმსახურა. სეზონის წინ გუნდმა მიზნად ჩემპიონობა დაისახა და იმისთვის, რომ გულშემატკივრები მოტყუებულები არ დარჩნენ, სასწრაფოდ მოგებათა გრძელი სერია გვჭირდება!"*

დღეს "შალკე" გერმანიის თასზე "ჰანოვერს" ხვდება, პარასკევს კი, გერმანიის პირველობის მე-12 ტურის გახსნით მატჩში "კოტბუსს" ესტუმრება. ამთავითვე ცხადია, რომ თუ გელზენკირხენელები ორივე თამაშს არ მოიგებენ, სლომკას სერიოზული პრობლემები შეექმნება. *"ჰანოვერი" დაცვაში ძალიან კარგად თამაშობს და საერთოდ, ამ გუნდის ტაქტიკა დაცვითია. ჩვენ კი ყოველთვის გვიჭირს ისეთ გუნდთან თამაში, რომელიც დაცვით ფეხბურთს თამაშობს,"* - ნერვიულობს მიულერი. მოკლედ, "შალკეს" ბოსს ეშინია, რომ "ვერცხლის სინი" ერთადერთი ტიტული არ იქნება, რომელზეც მას ხელის ჩაქნევა მოუწევს...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დე კანიო ქუინზ-პარკში

ინგლისის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ "ქუინზ პარკს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. გუშინ გადაწყდა, რომ ამ პოსტზე გამოცდილი იტალიელი სპეციალისტი **ლუიჯი დე კანიო** იმუშავებს. კონტრაქტის მიხედვით, "უდინეზეს", "ნაპოლისა" და "სიენის" ყოფილმა დამრიგებელმა ახალ სამსახურში 2010 წლამდე უნდა იმუშაოს. როგორც იცით, ამასწინათ "ქუინზ პარკის" მფლობელები გახდნენ ფორმულა 1-ის ბოსები, **ბერნი ეკლსტოუნი** და **ფლავიო ბრიატორე**. ახალმა მეპატრონეებმა ამბიციური გეგმები დაისახეს. დე კანიოს მიწვევა ამ სამომავლო პროექტის პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილიაო, აცხადებს ლონდონური კლუბის პრეზიდენტი **ჯანი პალადინი**. დე კანიომ აღნიშნა, რომ უაღრესად მოტივირებულია და საქმეს დიდი ენთუზიაზმით იწყებს. მას დებიუტი ექნება ამ შაბათს, როცა "ქუინზ პარკი" "ჰალ სიტის" უმასპინძლებს.

### რედნაპის ახალი კონტრაქტი

**ჰარი რედნაპი** "პორტსმუთთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. შეთანხმება სამწელიწადნახევარზეა გათვლილი. ის ამ ხნის განმავლობაში 7 მილიონ გირვანქას გამოიმუშავებს, რაც ხელფასის თითქმის ორჯერ გაზრდას ნიშნავს. "სანდი მირორის" ცნობით, დღესდღეობით რედნაპს წელიწადში 700 ათას გირვანქას უხდიან. პირობების გადახედვის შემდეგ კი მისი წლიური ანაზღაურება 1.3 მილიონ გირვანქას შეადგენს. წარმატებების შემთხვევაში, პრემიის სახით, მას შეიძლება დამატებით ნახევარი მილიონიც შეხვდეს. თუ ამ თანხებს შევკრებთ, აღმოვაჩენთ, რომ არაფრით გამორჩეული ინგლისური კლუბის თავკაცი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია. კონტრაქტში ერთი საინტერესო პუნქტი ჩაიწერება: რედნაპი კისრულობს ვალდებულებას, თავის ფრთის ქვეშ თავისივე მემკვიდრე დამრიგებელი გამოზარდოს. მიმომხილველებისათვის უცნობია, ვინ იქნება ეს ახალგაზრდა სპეციალისტი.

ჰამბურგი

# სტევენსის რვა საიდუმლო

## ჰამბურგელებს ბაიერნის უპირველესი მდევრის სტატუსი არ სურთ...

**8 მოგება 9 თამაში, აქედან, ბოლო სამი ტრავმირებული რაფაელ ვან დერ ვაარტის გარეშე და მეორე ადგილი ბუნდესლიგაში: "ბაიერნის" შემდეგ, გერმანიის საუკეთესო კლუბი დღესდღეობით, "ჰამბურგია". ჰუუბ სტევენსის სამწყსო "ვერდერზე", "შალკეზე", "შტუტგარტსა" და დანარჩენებზე გაცილებით გამართულ ფეხბურთსაც თამაშობს და მათზე უკეთესი შედეგებიც აქვს, მაგრამ ჰამბურგელებს მაინც არ სურთ იმ საპატიო სტატუსის მიღება, რასაც "ბაიერნის" ნომერ პირველი კონკურენტობა ჰქვია.**

*"ბაიერნს" თავისი გზა აქვს, ჩვენ კი ჩვენი. ასე რომ, ეს დისკუსია უადგილოა,"* - აცხადებს ცენტრალური მცველი **ვენსან კომპანი**, რომელიც ბოლო დროს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს და ამ ამოცანას იდეალურად ართმევს თავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას მერე, რაც **ვან დერ ვაარტი** დაშავდა, გუნდის ლიდერის ფუნქციები სწორედ კომპანიმ იტვირთა. თავად განსაჯეთ, აგერ უკვე ზედიზედ ორი თამაშია, რაც HSV სწორედ მისი გოლებით იგებს: უეფას თასზე "ბრანს" გაუტანა (1:0), კვირას კი "დუისბურგს" (ასევე 1:0). გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსიც** მიიჩნევს, რომ 11 ტურის შემდეგ მისი შეგირდების მეორე ადგილზე ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ "ჰამბურგი" ამ სეზონში რეკორდმაისტერის უმთავრესი მდევარი იქნება. *"სატურნირო ცხრილის აქტუალური მდგომარეობა, რა ქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, თუ სად ვიქნებით 34 ტურის შემდეგ. მანამდე კი დიდი დროა დარჩენილი,"* - ამბობს მწვრთნელი.

მიუხედავად იმისა, რომ "ჰამბურგმა" "დუისბურგთან" საკმაოდ კარგად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო, ჰოლანდიელი მწვრთნელი, მაინც და მაინც, კმაყოფილი არ დარჩენილა და დაიჩივლა, კარგია, რომ მოვიგეთ, მაგრამ ძალიან არ მომეწონა ის, რომ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთო. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ გუნდმა დაამტკიცა, რომ ვან დერ ვაარტის გარეშეც შეუძლია წარმატების მიღწევა. ფეხბურთელების სწორედ ამ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას. *"რაფაელი, რა თქმა უნდა, გენიალური ფეხბურთელია და გუნდისთვის ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს. "ჰამბურგი" ვან დერ ვაარტთან ერთად და მის გარეშე, ორი განსხვავებული ცნებაა, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი გამარჯვება, პირველ რიგში, გუნდის დამსახურებაა და არა ცალკეული ფეხბურთელებისა. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რაფა გუნდისთვის, მაგრამ მანაც იცის, რომ ის მხოლოდ დანარჩენ ფეხბურთელებთან ერთადაა ძალიან ძლიერი,"* - ამბობს კომპანი.

ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს მწვრთნელის ფაქტორიც, უფრო სწორად, გუნდის წინსვლისა და წარმატებების უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი სტევენსი. მას მერე, რაც 53 წლის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა "ჰამბურგი" ჩაიბარა და ამ პოსტზე **თომას დოლი** შეცვალა, უკვე 9 თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში HSV-ს მხოლოდ პროგრესი ჰქონდა. სტევენსმა გუნდი იმ დროს ჩაიბარა, როცა "ჰამბურგი" განადგურებული იყო და უდიდესი ფიასკო, არსებობის განმავლობაში ბუნდესლიგიდან პირველად გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა. უპრიანია შეგახსენოთ, რომ HSV ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც ბუნდესლიგის დაარსების შემდეგ, ელიტიდან არასდროს გავარდნილა. მოკლედ, როცა სტევენსმა გუნდი ჩაიბარა, გეხსომებათ, რომ HSV მე-18 ადგილზე იყო. თებერვლის შემდეგ კი, გერმანული კლუბებიდან "ჰამბურგზე" მეტი ქულა მხოლოდ "ბაიერნს" აქვს მოპოვებული!

სტევენსი არ გახლავთ ავანტიურისტული ფეხბურთის მოყვარული სპეციალისტი და ის თავის შეგირდებს უკანმოუხედავი იერიშებისკენ არასდროს მოუწოდებს - ჰუუბს უბრალოდ, თავისი სტრატეგია აქვს და ბოლოს სწორედ ამ სტრატეგიას გაგაცნობთ. გუშინ "ბილდი" "ჰამბურგის" მწვრთნელის 8 საიდუმლოზე წერდა:

**1.** გუნდი, უპირველეს ყოვლისა - ჰუუბი ცალკეულ ფეხბურთელებზე არასდროს საუბრობს, რომელიმე შეგირდს არც აქებს და არც აძაგებს. გეხსომებათ, "შტუტგარტთან" **ივიცა ოლიჩმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა, მაგრამ სტევენსმა ტრადიცია არც მაშინ დაარღვია და ოლიჩი მთელი გუნდიდან არ გამოარჩია. თუ აქებს ან აძაგებს, მხოლოდ მთელ გუნდს და არა ცალკეულ მოთამაშეებს.

**2.** ვან დერ ვაარტის შემთხვევა - აგვისტოში, როცა რაფაელი ლიად აცხადებდა, "ვალენსიაში" გადასვლა მინდაო, ის თითქმის მთელ ჰამბურგს შეზიზღდა. ფანები ვან დერ ვაარტისთვის კაპიტნის სამკლაურის ჩამორთმევას მოითხოვდნენ, მაგრამ სტევენსმა შეგირდი დაიცვა და კაპიტნობაც შეუნარჩუნა. სამაგიეროდ, რაფაელი მას შეპირდა, რომ გუნდისთვის ბოლომდე დაიხარჯებოდა. დღეს უკვე ცნობილია, რომ ვან დერ ვაარტი გუნდის ხელმძღვანელებს არ ელაპარაკება და მათ ვერ იტანს, სამაგიეროდ, სტევენსთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰოლანდიელი ვარსკვლავი მწვრთნელისთვისაც იბრძვის. შედეგიც სახეზეა: ვან დერ ვაარტმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში 7 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა, ახლა კი ლაზარეთშია.

**3.** ტაბლოზე "ჰამბურგის" გასწვრივ ყოველთვის 0 უნდა ენთოს - მას მერე, რაც ჰუუბი "ჰამბურგის" მწვრთნელია, ამ გუნდმა ბუნდესლიგაში 25 თამაში ჩაატარა და აღსანიშნავია, რომ 14 თამაშში კარი მშრალად შეინახა. სტევენსი ყოველთვის ამბობს, მნიშვნელობა არა აქვს, რა ანგარიში იქნება, 8:0-საც რომ ვიგებდეთ, კარი მაინც მშრალად უნდა შევინახოთ, ეს ჩემი უმთავრესი მოთხოვნააო.

**4.** მეტოქეების შესწავლა - სტევენსისთვის ყოველი დღე მეტოქეების შესწავლით იწყება და მთავრდება. უეფას თასის მატჩის წინ მან ფეხბურთელებს DVD-ები დაურიგა, სადაც "ბრანის" სუსტი და ძლიერი მხარეები იყო გაანალიზებული.

**5.** ლიუბოჟას შემთხვევა - რაკი თავდამსხმელი **დანიელ ლიუბოჟა** ვარჯიშებზე რეგულარულად იგვიანებდა, ჰუუბმა ის მოყვარულებში გადაისროლა, რის შემდეგაც ეს ფორვარდი ძირითად გუნდში აღარ დაბრუნებულა. სტევენსის თქმით, ეს იყო ნიშანი დანარჩენი მოთამაშეებისთვის, რომ დაგვიანება დაუშვებელია.

**6.** დისციპლინის მოყვარული - სტევენსი ყოველთვის და ყველგან პირველია, ვერც ვარჯიშზე მისვლას დაასწრებს ვინმე და ვერც სხვა გუნდურ ღონისძიებაზე. ვარჯიშზე ყოველთვის 20 წუთით ადრე მიდის და ჭამის დროსაც, მაგიდასთან ყოველთვის პირველი ჯდება.



ჰამბურგის თავკაცი ჰუუბ სტევენსი

**7.** შანსი ახალგაზრდებს - ჰუუბი ახალგაზრდა ტალანტებს ყოველთვის აძლევს თავის გამოჩენის შანსს და თანაც ძალიან ხშირად. მის ხელში 19 წლის **ჯერომ ბოატენგი** სასტარტო შემადგენლობას გაუშინაურდა, 18 წლის ფორვარდი **ჩუპო-მოტინგი** კი, რომელიც ჰუუბს ძალიან მოსწონს, თითქმის ყველა მატჩში შეცვლაზე თამაშობს. ამასთან, 18-კაციან განაცხადში **სიდნი სემი** და **ბენ-ჰატირაც** (ორივე 19 წლისაა) რეგულარულად ხვდებიან.

**8.** გერმანული აუცილებელია - სტევენსი ჰოლანდიელია და გუნდში 4 ჰოლანდიელი ფეხბურთელი ჰყავს: ვან დერ ვაარტი, **მატიისენი**, **დე იონგი** და **კასტელენი**. მიუხედავად ამისა, ჰუუბი თავის ჰოლანდიელ შეგირდებს მაინც გერმანულ ენაზე ესაუბრება. *"ჩვენ გერმანიაში ვართ, ასე რომ, გერმანულად უნდა ვისაუბროთ,"* - ამბობს სტევენსი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# გრანტი: ბავშვების მომვლელი არ ვარ

## შევჩენკომ ფიზმომზადებაში ინდივიდუალური მწვრთნელი დაიქირავა, ბალაკმა კი მსუბუქად ვარჯიში დაიწყო...

"ჩელსის" ბოსმა ავრაამ გრანტმა უკმაყოფილო **შონ რაიტ-ფილიპსის** გასაგონად თქვა, ბავშვების მომვლელი არ ვარ, ამიტომ პრობლემებს ყველამ თვითონ მიხედოსო. ინგლისის ნაკრების გარემარბი მწვრთნელის საკადრო პოლიტიკას აკრიტიკებს. ერთი კვირის წინათ, "შალკესთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ის განაცხადშიც არ შეუყვანიათ. ანალოგიური რამ განმეორდა ამ უქმეებზე, "მანჩესტერ სიტისთან". გრანტმა "სანის" ფურცლებზე ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ფეხბურთელები საკუთარ თავს თვითონ უნდა დაეხმარონ. ჩვენ პროფესიონალებზე ვსაუბრობთ. ისინი პრობლემებს დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდნენ. საბავშვო ბაღში ხომ არ ვართ? ამ საქმეს ასე ვუყურებ: დავეხმარები ყველას, მაგრამ მინდა, დავინახო, რომ ისინი საკუთარ თავს თვითონ ეხმარებიან."*

ზედიზედ ორჯერ ტრიბუნაზე გამწესების შემდეგ 26 წლის ფეხბურთელი კლუბის გამოცვლაზე დაფიქრდა. იანვარი ახლოვდება. გრანტს კი შემადგენლობის შესუსტება არ სურს. აი, მწვრთნელის კიდევ ერთი განცხადება: *"რაიტ-ფილიპსი პროფესიონალია. მას სურს თამაში. მას სურს ძირითად შემადგენლობაში ყოფნა, მაგრამ მინდა მოთმინებისკენ მოვუწოდო. შუა სეზონში ფეხბურთელი კმაყოფილი არ უნდა იყოს. კმაყოფილება შედეგს მოაქვს. შედეგი კი გათამაშების დასრულების შემდეგ დგება. მესმის, რომ ის, ვინც არ თამაშობს, უკმაყოფილოა, მაგრამ თითოეული ფეხბურთელი მზად უნდა იყოს მომდევნო მატჩისთვის."* რაიტ-ფილიპსთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. **სვენ გორან ერიქსონმა** ამ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება მოისურვა. შონი "ჩელსიში" 2005 წელს, "მანჩესტერ სიტიდან", 21 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება ვერა და ვერ მოახერხა.



ავრაამ გრანტის პოზიციები დღითიდღე მტკიცდება

"არისტოკრატების" დამრიგებელს **ანდრეი შევჩენკოზეც** ჰკითხეს. რა სჭირს 31 წლის თავდამსხმელს? რატომ ვერ ახერხებს ის ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომას? გრანტი დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებს: *"ხანდახან მიზეზი ფსიქოლოგიურ პრობლემებში უნდა ვეძიოთ, ხანდახან არასახარბიელო ფიზიკურ კონდიციებში. ისეც ხდება, რომ ფეხბურთელს ფსიქოლოგიურადაც უჭირს და ფიზიკურადაც. როცა ძლიერი მოთამაშე საკუთარი პოტენციალის გამოვლენას ვერ ახერხებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი კარიერა სრულდება. თუ განწყობა და მოტივაცია სათანადო დონეზეა, ყველაფერს ეშველება. ანდრეი შევჩენკოს შემთხვევაში, ეს სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია."* ცნობისთვის, შევამ "სიტისთან" შეცვლაზე ითამაშა და მსაჯისგან დამატებულ დროში მეექვსე გოლი შეაგდო.

აქვე გეტყვით, რომ შევა ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ინდივიდუალურად ემზადება. მას დიდი ბრიტანეთის ათლეტთა ნაკრების წევრი **დარენ კემპბელი** ავარჯიშებს. **ჟოზე მოურინიო** გარეშე მწვრთნელთა საქმიანობას ეჭვით უყურებდა ხოლმე. მის დროს შევჩენკო და კემპბელი ფეხბურთელის სახლში, ჩოგბურთის კორტზე ვარჯიშობდნენ ხოლმე. მოურინიოს აბარგების შემდეგ კემპბელი "ჩელსის" ბაზის ხშირი სტუმარია. ის ამბობს, რომ უკრაინელი ლეგიონერი ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას.

დასასრულს, კიდევ ერთი ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** ვარჯიში განაახლა. 31 წლის ნახევარმცველი 22 აპრილს, "ნიუკასლთან" კალენდარული მატჩისას დაშავდა. ექვსთვიანი დასვენების შემდეგ მან პირველად გაირბინა კობემის საწვრთნელ ბაზაზე. მიხაელი მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშობს, თამაშის განახლებას კი დაახლოებით ერთ თვეში აპირებს. გამორიცხულია, რომ ბალაკი გერმანიის ნაკრების დასკვნით საკვალიფიკაციო მატჩებში ვიხილოთ. 17 და 22 ნოემბერს ბუნდესგუნდი კვიპროსსა და უელსს შეხვდება. გერმანელებს ევროპის ჩემპიონატის საგზურები უკვე განაღდებული აქვთ. მათთვის ამ თამაშებს მხოლოდ საოქმო დანიშნულება აქვთ. ბალაკი: *"ტრავმა იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდი. მეგონა, რომ სამი-ოთხი კვირა საკმარისი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში, სარეაბილიტაციო პროცესი უსაშველოდ გაიწელა. გარწმუნებთ, წლის დასრულებამდე არა ერთი მატჩის ჩატარებას მოვასწრებ."*



ფერნანდო ტორესს იძულებითი შვებულებაში ემუქრება

ლივერპული

# ნახევარი მილიარდი ვალი?

## ბენიტესს ძირითადის სამი ფეხბურთელი გამოაკლდა

"ლივერპული" ახალი სტადიონის ასაშენებლად ემზადება. "სტენლი პარკის" პროექტი უკვე დამტკიცებულია. შედგენილია ხარჯთაღრიცხვაც. მერსისაიდელებს ახალი სახლი 400 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. როგორც ირკვევა, კლუბის ამერიკელი მფლობელები **ჯორჯ ჟილეტი** და **ტომ ჰიკსი** სოლიდური საბანკო სესხის აღებას აპირებენ. ისინი "როიალ ბენქ ოფ სქოთლანდთან" მოლაპარაკებებს მართავენ. მოლაპარაკებათა საგანია თითქმის 300 მილიონიანი ვალის რესტრუქტურიზაცია. ეს ის თანხაა, რომელიც ამერიკელმა ინვესტორებმა "ლივერპულის" შესაძენად ისესხეს. რესტრუქტურიზაციისა და ახალი სესხის გამოტანის შემდეგ კლუბის ვალი ნახევარ მილიარდ გირვანქას გადააჭარბებს. გულშემატკივრები შიშობენ, რომ მათ საყვარელ კლუბს "მანჩესტერ იუნაიტედის" ბედი ეწევა. ჟილეტისა და ჰიკსის წარმომადგენლები სამომავლო გეგმებში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ. ისინი საკუთარი პროექტის წარმატებაში დარწმუნებულები არიან. როგორც კი ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, ინვესტორები გულშემატკივრებს ყველაფერს დეტალურად აუხსნიან.

ფინანსურიდან სპორტულ საკითხებზე გადავინაცვლოთ. **რაფა ბენიტესს** ერთბაშად სამი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა. ეს "არსენალთან" საკვირაო მატჩისას მოხდა. ერთმანეთის მიყოლებით დაშავდნენ **ფერნანდო ტორესი, ჩაბი ალონსო** და **ხავიერ მასკერანო**. თამაშის შემდეგ ბენიტესმა თითოეულის ტრავმის თაობაზე ამომწურავად ისაუბრა: *"ჩაბი ალონსომ ტერფის ძვალი დაიზიანა. ექიმებმა თქვეს, რომ ვარჯიში შეუძლია, მაგრამ თამაშისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მასკერანომაც ტერფის ძვალი იტკინა და "ბლექბერნთან" მომდევნო მატჩის გამოტოვება ემუქრება. ფერნანდო ტორესი კი პირველი ტაიმის შემდეგ გამოგვაკლდა. აქცენტი მის სისწრაფეზე გავაკეთეთ. ფერნანდოს დაშავებამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა."*

"არსენალის" სტუმრობამდე ცნობილი გახდა, რომ იძულებითი შვებულება ემუქრება "ლივერპულის" კიდევ ერთ მოთამაშეს. **ჯერმეინ პენანტს** მარჯვენა ბარძაყზე ოპერაცია ელის. ქირურგიული ჩარევის შემდეგ მას ათი კვირა გაუცდება. პენანტი "ბეშიქთაშთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში (1:2) დაშავდა.

## არბიტრი ერთი თვით, სალაიეტა ორი მატჩით

სერია A-ს ბოლო ტურში "ნაპოლიმ" "იუვენტუსს" სენსაციური მარცხი აგემა, 3:1. ნეაპოლელებმა ორი გოლი მეორე ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში, ორი 11-მეტრიანით შეაგდეს. არბიტრ **მაურო ბენგონცის** გადაწყვეტილებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. "იუვეს" მცველმა **ნიკოლა ლეგროტალიემ** პენალტების დანიშვნას ნამდვილი სკანდალი უწოდა. **დავიდ ტრეზეგემ** მსაჯის ქმედებების გამო გაკვირვება ვერ დამალა. მიმომხილველები ტურინელ ვარსკვლავებს დაეთანხმნენ. მეორე პენალტისას არბიტრის შეცდომა ბევრად უფრო აშკარა იყო. ურუგვაელმა თავდამსხმელმა **მარსელო სალაიეტამ** ისიმულანტა. ფეხბურთელმა თავისი ყოფილი კლუბი არ დაინდო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საკამათო ეპიზოდები განიხილა და დაასკვნა, რომ ბერგონცის გადაწყვეტილებებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა მატჩის შედეგზე. ფედერაციამ საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოიტანა: სინიორ მაურო ერთი თვით ჩამოაცილეს მსაჯობას. სერია A-ს მატჩების გარდა, მას სერია B-ს თამაშების გაძღოლაც აეკრძალა. სალაიეტა კი ორ მატჩს გამოტოვებს.

## ბენზემა 60 მილიონად

ОТУ მადრიდის "რეალს" ლიონელი **ქარიმ ბენზემა** სურს, 60 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** ფრანგ მიმომხილველებს სწორედ ეს თანხა დაუსახელა. ბენზემას ინგლისური გრანდები - "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედიც" აკვირდებიან. საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა "ბარსელონისა" და "ინტერის" ყურადღებაც მიიპყრო. პრეზიდენტ ოლას განცხადება იმის მაუწყებელია, რომ საფრანგეთის ჩემპიონები ფეხბურთელის იოლად დათმობას არ აპირებენ.

## სანიოლი: იანვრიდან მანჩესტერში?

"მანჩესტერ იუნაიტედი" ბაიერნელი **ვილი სანიოლით** დაინტერესდა. "სანის" ცნობით, "ეშმაკებს" დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერება სურთ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** 30 წლის ფრანგი მცველი საუკეთესო კანდიდატად მიიჩნია. მიუნხენელები მას 6.7 მილიონ ევროდ აფასებენ. ტრანსფერი შეიძლება იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე განხორციელდეს. სანიოლი სადაცაა ვარჯიშს განაახლებს. ტრავმის გამო მას ოთხი თვეა, არ უვარჯიშია. ვილის არც უეფას თასზე უასპარეზია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "მანჩესტერში" ტრანსფერის შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგაში უპრობლემოდ ითამაშებს. "მენიუმ" მადრიდის "ატლეტიკოსა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეს **დავიდ დე გეასაც** დაადგა თვალი. მან ინგლისელთა ყურადღება 17-წლამდელთა მუნდიალისას მიიპყრო. ამ ბიჭს "ატლეტიკოსთან" პროფესიული კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. შესაბამისად, გარიგება უპრობლემოდ უნდა შედგეს.

## ვან დერ ვაარტი: ინტერმა ფული გაამზადა

"ინტერი" იანვრის ტრანსფერებისთვის ემზადება. იტალიური სააგენტოების ცნობით, "ნერაძურის" ყველაზე მეტად ჰამბურგელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** სურს. "გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ მილანური გრანდი მზადაა, 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ეს დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ევროში კიდევ უფრო ნაკლები. მიმომხილველები "ინტერის" შანსებს სკეპტიკურად აფასებენ. თუ იტალიელები მეტ ფულს არ ჩამოვლენ, ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდებათო, ამბობენ ისინი. მაგრამ მდგომარეობა ასეთი უიმედო, შეიძლება, სულაც არ იყოს. ვან დერ ვაარტს კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. თუ "ჰამბურგს" სოლიდური კომპენსაციის მიღება სურს, ფეხბურთელი იანვარში, ან გაისად აგვისტოს ტრანსფერებისას უნდა გაყიდოს. სეზონის წინ რაფაელს "ვალენსია" ეპატიჟებოდა. ვან დერ ვაარტი ვალენსიელთა მაისურშიც კი გამოეწყო და ესპანელ მიმომხილველებს ასე წარუდგა. ფეხბურთელის საქციელს დიდი სკანდალი მოჰყვა. გარიგება არ შედგა. "ჰამბურგმა" ვალენსიელთა მიერ შეთავაზებულ 22 მილიონ ევროზეც კი უარი თქვა. "ინტერში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

## პფისტერი კამერუნში

კამერუნის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გერმანელ სპეციალისტ **ოტო პფისტერს** გაუფორმა კონტრაქტი. გასულ ზაფხულს ჰერ ოტო ტოგოს ნაკრებთან ერთად მუნდიალზე იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, მან ციდან ვარსკვლავები ვერ მოწყვიტა, მაგრამ ტოგოელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა უკვე დიდი მიღწევა იყო. მუნდიალის შემდეგ პფისტერი ერთხანს არ მუშაობდა. შემდეგ კი სუდანს მიაშურა და იქაურ კლუბს, "ალ მერეიხს" ჩაუდგა სათავეში. კამერუნში ის ჰოლანდიელი **არი ჰაანის** ადგილს დაიკავებს. ამ უკანასკნელმა თანამდებობა ფედერაციასთან ფინანსური უთანხმოების გამო დატოვა. ჰაანმა კამერუნში მხოლოდ ექვსი თვე გაატარა. მან ამ ხნის განმავლობაში გუნდი მხოლოდ ორჯერ ათამაშა. პფისტერს სულ მალე სერიოზული გამოცდა ელის. იანვარში აფრიკის ერთა თასი დაიწყება. ტურნირი განაში გაიმართება. აფრიკაში გერმანელი მწვრთნელის ყველაზე დიდი მიღწევა ეგვიპტურ "ზამალექთან" ერთად კონტინენტის თასების მფლობელთა თასის დაუფლებაა.



ერთ დროს გუსტავო პოიეტი ტოტენჰემში თამაშობდა

ტოტენჰემი

# პოიეტი დაბრუნდა

## იოლი ჰოლანდიაში დაბრუნებას აპირებსო...

"ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელად **გუსტავო პოიეტი** დაინიშნა. 39 წლის ურუგვაელი სპეციალისტი **ხუანდე რამოსის** თანაშემწედ იმუშავებს. პოიეტი "ლიდსის" მეორე მწვრთნელი იყო. ქვედა დივიზიონის კლუბში ის **დენის უაიზის** ასისტენტად მოღვაწეობდა. პოიეტმა "ტოტენჰემში" სამი სეზონი გაატარა. 2001-04 წლებში ის ამ კლუბის ფეხბურთელი იყო. ასე რომ, "უაით ჰართ ლეინი" მისთვის კარგად ნაცნობი ადგილია. ერთი დღით ადრე რამოსმა კიდევ ერთი თანაშემწე, ფიზმომზადების მწვრთნელი **მარკოს ალვარესი** დანიშნა. ის "სევილიაშიც" ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციებზე ზრუნავდა. პოიეტის ტრანსფერით, სენიორ ხუანდეს სამწვრთნელო შტაბი საბოლოოდ დაკომპლექტდა. ხვალ "მამლები" და მათი ახალი ხელმძღვანელობა ინგლისის ლიგის თასზე "ბლექპულთან" მატჩს გამართავს.

"დიარიო სპორტის" ცნობით, იანვრის ტრანსფერებისას რამოსი 60 მილიონ ევროს დახარჯავს. სასურველი ფეხბურთელების სიაში სენიორ ხუანდეს ოთხი ყოფილი შეგირდია: "სევილიის" მეკარე **ანდრეს პალოპი**, მცველები - **დანიელ ალვეში** და **ჟულიენ ესკუდე**, აგრეთვე თავდამსხმელი **ფრედერიკ კანუტე**. იმავე გამოცემამ ესპანელი მწვრთნელის კონტრაქტის დეტალებიც გამოამზეურა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში რამოსს კვირაში 135 ათას ევროს გადაუხდიან. ეს ძალიან დიდი თანხაა. ხელფასის შესახებ ოფიციალურ პირებს არაფერი უთქვამთ.

და აქვე "ტოტენჰემის" ყოფილი მწვრთნელის, **მარტინ იოლის** ამბავსაც გაუწყებთ. 51 წლის სპეციალისტს ჰოლანდიის ნაკრებში დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. **მარკო ვან ბასტენს** ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. თუ ის თანამდებობას დატოვებს, იოლი ყველაზე რეალური კანდიდატი იქნება. მისტერ მარტინს არც საკლუბო შეთავაზებები აკლია. ჰოლანდიელს, სააგენტოების ცნობით, უკვე დაუკავშირდნენ "ეინდჰოვენი" და "აიაქსი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**კრივი** — მსოფლიო ჩემპიონატი

## ღვამიჩავა, ხადური, ნიკლაური: თითო მოგება ლიცენზიამდე

როგორც უკვე გაცნობეთ, ჩიკაგოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, **ლევან ღვამიჩავას** (64 კგ) ერთი ნაბიჯილა აშორებს მეოთხედფინალში გასვლამდე. ამისათვის მას დღეს იაპონელი **მასაცუგი კავაჩის** დამარცხება სჭირდება. მეოთხედფინალში გასვლა კი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას ნიშნავს.

გუშინ, ოლიმპიადის საგზურებს მიუახლოვდნენ **ზვიად ხადური** (48 კგ) და **დავით ნიკლაურიც** (81 კგ), რომლებმაც მეორე წრის ორთაბრძოლები გამართეს და გაიმარჯვეს. რაკილა პირველ წრეში ორივე თავისუფალი იყო, შემდეგი შეხვედრების მოგება უკვე მეოთხედფინალისა და პეკინის ოლიმპიადის საგზურებს აძლევთ.

ხადურის მეტოქე გახლდათ ინგლისელი **დარენ ლენგლი**. პირველი რაუნდი ზვიადის უპირატესობით დასრულდა ( 7:2) და როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ აქ გადაწყდა შეხვედრის ბედი. მეორე-მესამე რაუნდები ფრედ დამთავრდა (7:7 და 6:6). ბოლო რაუნდი კი ინგლისელმა 3:1 მოიგო, მაგრამ საერთო ჯამში, გამარჯვება მაინც ქართველ მოკრივეს დარჩა – 21:18.

რაც შეეხება დავით ნიკლაურს, მასაც სრული ოთხი რაუნდი დასჭირდა მექსიკელი **ჯოშუა ლეველინ გარსიას** დასაჩოქებლად. აქ ყველაფერი მესამე რაუნდში გადაწყდა, რომელიც ნიკლაურმა 12:3 მოიგო, იქამდე კი მექსიკელს სამქულიანი უპირატესობა ჰქონდა (პირველ რაუნდში 4:4, მეორე რაუნდში 7:4 გარსიას სასარგებლოდ). საბოლოო გამარჯვება ჩვენებურს დარჩა – 29:16.

სამწუხაროდ, მორიგ დანაკლისს ვერც გუშინ ავცდით. **ვასილ ყაზიშვილმა** (60 კგ) კარგად დაწყებული საქმე მეორე წრეში დაასრულა. მან ინდოელ **ჯა ბჰაგვანთან** ოთხივე რაუნდი დათმო (3:4, 5:6, 5:7, 3:6) და შეჯიბრებას გამოეთიშა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვამიჩავა დღეს იჩხუბებს. რაც შეეხება ხადურსა და ნიკლაურს, ისინი მეოთხედფინალში გასასვლელ ბრძოლებს ხვალ გამართავენ. ხადურს სომეხი **ჰოვანეს დანიელიანის** სახით, დაუმარცხებელი მეტოქე არ ჰყავს. აი ნიკლაურს კი ნამდვილად არ გაუმართლა, რადგან მეორე წრეში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის – რუსეთის წარმომადგენელ **არტურ ბეტერბიევს** გადაეყარა.

**კობა ხატისაშვილი**

**კალათბურთი**



გიორგი ცინცაძე

ლეგიონერები. მიმოხილვა

## ტერამოსა და ცინცაძეს ვერ აჩერებენ

გასულ უქმეებზე მორიგი ეფექტური მატჩი ჩაატარა **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამომ" - სტუმრად, ოვერტაიმში მესამეადგილოსან "კანტუს" სძლია (88:87).

ნიკა ცქიტიშვილმა 23 წუთი ითამაშა და ამჯერად თამაში საკუთარ თავზე არ აუღია, მხოლოდ 4 ორქულიანი და 2 სამიანი ისროლა. ჩვენიანის ანგარიშზე 4 ქულა, 6 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა. 29 ქულა მიითვალა ნიკას თანაგუნდელმა თუქერიმ. 7 ტურის შემდეგ "ტერამო" სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზეა (5 მოგება) და მხოლოდ წაუგებელ "მონტეპასკის" ჩამორჩება.

უკრაინის ჩემპიონატში წაუგებლად ასპარეზობს **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევი". მესამე ტურში დედაქალაქელებმა "სუმიხიმპრომი" გაანადგურეს - 86:55. მარკოიშვილმა მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მოედანზე 21 წუთი გაატარა, 8 ქულა, 2 მოხსნა და 3-3 ჩაჭრა-პასი მიითვალა.

რუსეთის ჩემპიონატში კატასტროფულად თამაშობს **ვლადიმერ ბოისას** "სპარტაკ-პრიმორიე". ვლადივოსტოკელებმა ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. ბოლო ტურში საკუთარი ქომაგის წინაშე "ხიმკისთან" 51:75 შერცხვნენ. ამ შეხვედრაში ვერც ქართველმა ფორვარდმა იყოჩაღა: 1 ორქულიანი, 2 სამიანი და 4 საჯარიმო ისროლა და საბოლოოდ მხოლოდ ერთ ქულას გამორჩა, რასაც 6 მოხსნა და 1 პასი მიამატა. ცხრილში "პრიმორიე" მე-9-მე-10 ადგილებს ინაწილებს "სამარასთან", რომელსაც ერთადერთი მოგება სწორედ "სპარტაკ-პრიმორიესთან" აქვს.

მეხუთე ცდაზე გაისროლა "კახასოლმა". **ტაირონ ელისის** თანაგუნდელებმა შინ "ლეონი" 84:73 დაამარცხეს და ხუთ ტურში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

ელისმა 36 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

ბალტიის თასზე დამაჯერებლად ასპარეზობს **გიორგი ცინცაძე**. იგი ლატვიის "ვალმეირასთან" საშინაო შეხვედრაში (83:69) "ტარტუ როკის" საკვანძო ფიგურა იყო. თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ქულა (14) და პასი (4) მიითვალა, რასაც 3 მოხსნა წაუმატა.

გიორგი ესტონეთში აქამდეც გამოირჩეოდა სროლის აკურატულობით, "ვალმეირასთან" კი სკეპტიკოსებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სროლის სიზუსტე არ დაეწუნება: 1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. ბალტიის ლიგაში "ტარტუ როკს" 5 მატჩში 2 მოგება მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-7-დან მე-5 პოზიციაზე აინაცვლა.

ბალტიის თასის მეორე ეშელონში მეორე მატჩი მოიგო **სერგო ათუაშვილის** "ალიტუსმა". ლიტველებმა შინ ლატვიური "ბუმერანგსი" 102:73 დაამარცხეს. სერგომ 6 წუთი ითამაშა, ბურთი 5-ჯერ მოხსნა და 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

**ფიგურული ციგურაობა**

## ელენემ თავს აჯობა


გედევანიშვილი რიგინგში

ამერიკის ქალაქ რიდინგში დასრულდა ISU-ს გრან-პრის პირველი ეტაპი "სკეიტ ამერიკა", ქალ მოციგურავეთა შორის ამერიკელმა **კიმი მაისნერმა** იმარჯვა. რაც შეეხება 17 წლის **ელენე გედევანიშვილს**, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალზე ცუდად დაწყებული ტურნირი მან თავისუფალ პროგრამაში გამოასწორა და უკანასკნელიდან მეექვსე ადგილზე გადავიდა.

მეორე დღეს ელენე გედევანიშვილმა "სასიყვარულო ისტორიების" მუსიკაზე ისრიალა, მან ტექნიკურ ელემენტებში 44.08 ქულა მიიღო, ხოლო პროგრამულში - 43.68 ქულა. ჯამში ქართველმა 87.76 ქულა მოაგროვა, რაც როგორც თავისუფალში, ასევე საბოლოოდ მეექვსე ადგილზე დაამკვიდრა ელენე. თავისუფალ პროგრამაში ყველაზე უკეთ იაპონელმა მსოფლიო ჩემპიონმა **მიკი ანდომ** ისრიალა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის. კიმი მაისნერმა 163.23 ქულა მოაგროვა, ანდომ - 161.89. ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონმა, ამერიკელმა **კაროლინ ჭანკმა** (აშშ) მესამე ადგილი მოიპოვა 153.35 ქულით მოიპოვა. ელენეს **ემილი ჰიუზმა** (აშშ, 140,50) და **მირა ლუნგმაც** (კანადა, 139,14) გაასწრეს. ქართველმა მოციგურავემ 126.06 მოაგროვა. მან რუს **ალექსანდრა იევლიევას**, იაპონელ **მაი ასადას**, თურქ **თუგბა კარადემირს** და ჩინელ **ბინშუ ქსუს** აჯობა. მეექვსე ადგილზე გასვლით ქართველმა სპორტსმენმა გრან-პრის სერიის ჩასათველი ხუთი ქულა მიიღო. გრან-პრის მეორე ეტაპი კვებეკში 1-4 ნოემბერს გაიმართება, იქ ელენე გედევანიშვილი არ არის მიწვეული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სუმო**

## კოკაი იერს იცვლის

გუშინ ტოკიოში გამოქვეყნდა ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე), რომლის მიხედვითაც ქართველი სუმოისტი **ლევან ცაგურია (კოკაი)** მცირედით დაქვეითდა - ის აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირაა. მორიგი წარუმატებლობა, შესაძლოა მას ძვირად დაუჯდეს, უმაღლესი დივიზიონში ადგილი დაკარგოს. ახალი აწონვით კოკაი 148 კილოა, სიმაღლეში კი 189 სანტიმეტრია. კოკაის მაკუუჩის დივიზიონში უარყოფითი ბალანსი აქვს, 167 მოგება, 178 მარცხის წინააღმდეგ. კოკაის სტილიც შეუცვლია და ქილვაში მოუშვია. ადრე ასეთი ვარცხნილობით სუმოისტი **ტოკი** ასპარეზობდა.

ორი დიდი ჩემპიონიდან (იოკოძუნა) ერთი - მონღოლი **ასაშორიუ** კვლავ ვერ იასპარეზებს ბაშოზე, რადგან დისკვალიფიცირებულია. უმაღლეს დივიზიონს ორი დებიუტანტი ეყოლება **ვაკაკირინი** და **ვაკანოჰო** (ოსი **სოსლან გაგლოევი**). ნოემბრის ბაშო 11-25-ში ქალაქ ფუკუოკაში გაიმართება.

სულ ცოტა დააკლდა **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში გადასასვლელად. ტოჩინოშინი მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე 120 რიკიშს ჩაუდგება სათავეში, ის ნოემბერში აღმოსავლეთ მაკუშიტას პირველი ნომერი იქნება და ძურიოში გადასასვლელად მხოლოდ დადებითი ბალანსიც ეყოფა. სამწუხაროდ, მეოთხე დივიზიონ სანდანმეში გავარდა **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, ის იქ მე-12 ნომერი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბანძუკე**

(ოქტომბრის რეიტინგი)

| | | |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტომიცუკი | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| კოტოოშუ | ოძეკი | კაიო |
| ამინიშიკი | სეკივაკე | ასასეკირიუ |
| ამა | კომუსუბი | კოტოშოგიკუ |
| ჰომაშო | მაეგაშირა 1 | მიაბიამა |
| კისენოსატო | მ 2 | დეჯიმა |
| კაკურიუ | მ 3 | ტოკიტენკუ |
| ტოიონოშიმა | მ 4 | კიოკუტენჰო |
| ტაკეკაძე | მ 5 | კასუგაო |
| ტამანოშიმა | მ 6 | გოეიდო |
| ტოიოჰიბიკი | მ 7 | ტოჩინონადა |
| ვაკანოსატო | მ 8 | ტაკამისაკარი |
| ტამაკასუგა | მ 9 | ფუტენო |
| ჰოკუტორიკი | მ 10 | იოშიკაძე |
| ტოსანოუმი | მ 11 | - |
| ტოსანოუმი | მ 12 | ჰაკუროძანი |
| კოკაი | მ 13 | ვაკანოჰო |
| კაკიძოე | მ 14 | კაიჰო |
| ტოჩიოძანი | მ 15 | ვაკაკირინი |
| ბარუტო | მ 16 | კასუგანიშიკი |



**თარიღი**

**ლევან ფალავანდიშვილი.** 30.10.1906, თბილისი - 26.09.1997, იქვე. კალათბურთი (177 სმ). მრავალფეროვანი სპორტული კარიერა 14 წლის ასაკში დაიწყო. თავიდან ტანვარჯიშს მისდევდა (1920-23), თბილისის გიმნაზიაში არჩილ ბაქრაძის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა, შემდეგ ფეხბურთმა გაიტაცა. თამაშობდა "მალსტრემში" (1924-26). წარმატებებს მიაღწია მძლეოსნობაშიც - 1928 წელს სსრკ ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობდა და საქართველოს ორი რეკორდიც დაამყარა (ხელყუმბარის ტყორცნასა და სამხტომში). თამაშობდა საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებშიც (1934). კარიერის უდიდესი ნაწილი კალათბურთს დაუთმო. ამ სახეობაში ვარჯიში 1926 წელს დაიწყო. თამაშობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში (1927-29), თბილისის ნაკრებსა (1929-34) და "დინამოში" (1934-45). იყო სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1935). ქართველ კალათბურთელთაგან პირველმა ითამაშა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში (1934). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. მსაჯად იყო მიწვეული ევროპის არაერთი ჩემპიონატის შეხვედრებზე. ღირსების ორდენის კავალერი.

**რამაზ გაზაშვილი (ბეგნაძე).** დაიბადა 30.10.1977, გორი. კრივი (51 კგ). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1998), ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1997), ფინეთისა და ირანის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. 2003 წლიდან გამოდის პროფესიულ კრივში - გამართა 6 ბრძოლა, რომელთაგან 5 მოიგო და 1 ფრედ დაამთავრა.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ღრმა მწუხარებაში საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს მარინა თარხნიშვილს, დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# აზოტი ევროპას დღეს უბრუნდება!

დღეს, ჩვენი კალათბურთის ახალი ფურცელი იშლება - ქართული გუნდი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ევროპას უბრუნდება. მდიდარი საევროთასო გამოცდილების მქონე "ამსტერდამის" წინააღმდეგ რუსთავის "აზოტი" დამწყებ ჭაბუკს ჰგავს, მაგრამ სწორედ ასეთები არიან სახიფათონი. აკი აღნიშნა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა არიკ შივეკმა - რუსთაველებს ახალგაზრდული, შესაბამისად ძნელადპროგნოზირებადი გუნდი ჰყავთო. ჰოდა, ჩვენც ქომაგს ვურჩევთ, დღეს სპორტის სასახლეში ქვემოქართლელებს "დაბალი მიწის შვილების" (ნიდერლანდები) წინააღმდეგ აქტიურად უქომაგონ. სტუმრები ხომ მეტად გააოცა არენის სიდიდემ, ხოლო შეაშფოთა იმის გაგებამ, რომ შეიძლება ტრიბუნები ბოლომდე შეივსოს.

ვიდრე ორივე გუნდის მწვრთნელის ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, დავსვამთ რამდენიმე კითხვას, რომლებიც მატჩის წინ გაჩნდა.

რუსთავის "აზოტში" ფერგიუსონი და რივერსი 19 ოქტომბერს ჩამოვიდნენ. 10 დღეში მოასწრო გუნდის სათანადოდ შეთამაშება მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა?

"ამსტერდამის" მწვრთნელმა არიკ შივეკმა "ძაოტის" სწრაფ თამაშს გაუსვა ხაზი. ამსტერდამელთა მონაწილეობით რამდენიმე მატჩის ფრაგმენტი მაქვს ნანახი და მინდა აღვნიშნო, რომ რუსთაველებზე არანაკლებ მაღალ ტემპში თამაშობენ ჰოლანდიელებიც. მათ კარგად ეხერხებათ შეტევის პირველივე ფაზაში დაგვირგვინება. ასე რომ, დღევანდელი მატჩი სანახაობრივი უნდა იყოს. საკითხავი მხოლოდ ისაა, "აზოტი" უფრო კარგად გაიქცევა, თუ - "ამსტერდამი".

ბევრს ისიც აინტერესებს, რა დონის ლეგიონერები ჩამოიყვანეს რუსთაველებმა. ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, ფერგიუსონ-რივერს-სტეფანოვის ტრიო რობერტს-გიბსონ-ვაიტისაზე ძლიერია თუ - არა.

ჰოლანიდელთა დამრიგებელმა შივეკმა განაცხადა, რომ "აზოტის" იარაღი ახალგაზრდობაა, "ამსტერდამისა" - გამოცდილება. რომელი იარაღი აჯობებს, ამას 30 ოქტომბერს ვნახოთ.

ზემოთ დასმულ კითხვაზეც სპორტის სასახლეში გასამართი მატჩი გვიპასუხებს. დღეს გამოჩნდება, მოასწრო თუ არა დავით უსტიაშვილმა გუნდის შეთამაშება და ბელტონ რივერსი უფრო მაღალი კლასისაა, თუ - ტედი გიფსონი.

## ჩვენი პლუსი ქომაგია

ახლა დავით უსტიაშვილს მოვუსმინოთ.

**- მეტოქის შესახებ რას იტყვით?**

- "ამსტერდამი" ძლიერი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. გამთამაშებელი გიფსონი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ყველაზე სახიფათო ისრაელის ნაკრების ამერიკელი წევრი რობერტსია. მეტოქეს ფარქვეშ ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი ვან პაასენი ჰყავს. იგი უნივერსალია - სამქულიანებსაც კარგად ესვრის და ფარქვეშაც ყოჩაღობს. ასე რომ, მეტად გამოცდილი გუნდის წინააღმდეგ გვიწევს თამაში.

**- ორი ამერიკელი გვიან შემოგიერთდათ. გუნდთან შეწყობა თუ მოასწრეს?**

- შეთამაშების მხრივ უპირატესობა მეტოქის მხარეს უნდა იყოს, რადგან ისინი სრული შემადგენლობით თვენახევრის წინათ შეიკრიბნენ და ჰოლანდიის ჩემპიონატში ხუთი მატჩი ჩაატარეს. ჩვენ კი საბოლოო სახე 10 დღის წინათ მივიღეთ - ფერგიუსონი და რივერსი გვიან შემოგვიერთდნენ. ამ დროის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის 2 შეხვედრის ჩატარება მოვასწარით. თუმცა ბევრს ვმუშაობთ და ვფიქრობ, ხვალ ღირსეულ თამაშს ვუჩვენებთ.

**- "ამსტერდამის" მწვრთნელმა თქვა, ჩვენი პლუსი გმოცდილებააო. "აზოტის" დადებით მხარეთ რა მიგაჩნიათ?**

- მათ მართლაც გამოცდილი გუნდი ჰყავთ. ჩვენი პლუსი ახალგაზრდული ჟინი და ქომაგთა მხარდაჭერა უნდა იყოს. ქართველ ხალხს კალათბურთი უყვარს და ვფიქრობ, რომ სპორტის სასახლეში ჩვენს საქომაგოდ ბევრი მოვა. თანაც, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ქართული კლუბი პირველად გადის საერთაშორისო არენაზე.

**- "აზოტში" ყველა ჯანმრთელადაა?**

- ყველა მწყობრშია და საბრძოლველად ემზადება.

## ორივე მატჩს მოვიგებთ!

**"ამსტერდამის" ებრაელმა მწვრთნელმა არიკ შივეკმა შეგირდები სპორტის სასახლეში 17 საათზე შეიყვანა. როგორც წესი, მან ჟურნალისტებისთვის კარი 15 წუთთ გაალო, შემდეგ დარბაზის დატოვება გვთხოვა. ქართველებისა არ იყოს, ჰოლანდიელებიც ჯანზე არიან და "ამსტერდამს" აშკარად ეტყობა, რომ შეკრული გუნდია.**

**მწვრთნელმა, შივეკმა ვარჯიშის დაწყებამდე მომავალ მატჩზე ისაუბრა:**

- რადგან პირველი შეხვედრა სტუმრად გვიწევს, შედარებით ფრთხილად უნდა ვიყოთ, რაც ტაქტიკაზეც აისახება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მცირე სხვაობით წაგებაზეც ყაბულს ვართ, პირიქით, მგონია, რომ ორივე მატჩს მოვიგებთ.

**- ქართველებს კარგად იცნობთ?**

- თქვენი ჩემპიონატის გახსნითი მატჩი ვნახე ("აზოტი"-"ვითა") და გამოჩნდა, რომ მობილური გუნდი გყავთ. სწრაფი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია, მაგრამ ჩემი შეგირდების იმედი მაქვს. "აზოტიდან" ლაშა გამყრელიძესა და იოვან სტეფანოვს გამოვარჩევ.

**- როგორ ფიქრობთ, თუ არის სხვაობა კლასში?**

- სხვაობა უმნიშვნელოა, ამიტომ გამარჯვებისთვის ყოველ ნიუანსს დიდი ყურადღება ენიჭება. ასეთი გუნდების შეხვედრისას ერთი შეცდომაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

**- ამ ტურნირში "ამსტერდამი" რა მიზანს ისახავს?**

- ორწლიანი შესვენების შემდეგ ამ გუნდს იმიტომ დავუბრუნდი, რომ ხელმძღვანელობას დიდი გეგმები აქვს. აპირებს "ამსტერდამის" სახელი არა მხოლოდ ჰოლანდიაში, არამედ მთელს ევროპაში ხმამაღლა გააჟღეროს. ამისთვის ხუთწლიანი პროგრამა გვაქვს, რომლის პირველი ნაბიჯი სწორედ თბილისური მატჩია.

**ბოლოს, დაინტერესებულ მკითხველს ვეტყვით, რომ ბილეთის ფასი 3 და 5 ლარია.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ევროთასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
დღეს, 18:30, სპორტის სასახლე.
**აზოტი-ამსტერდამი**

**აზოტი**

| მოთამაშე | სმ. | დაბ.თარ | ნაც. |
|---|---|---|---|
| ზვიად ბაბიაშვილი | 200 | 23.09.1978 | საქართველო |
| ანატოლი ბოისა | 192 | 09.091983 | საქართველო |
| მიხეილ ქოჩუა | 192 | 10.04.1987 | საქართველო |
| იური დანელიანი | 200 | 15.03.1981 | საქართველო |
| რეზო დიდია | 204 | 26.12.1987 | საქართველო |
| ანვარ ფერგიუსონი | 213 | 10.10.1981 | აშშ |
| ლაშა გამყრელიძე | 183 | 04.02.1986 | საქართველო |
| რამაზ გოგობერიშვილი | 194 | 25.09.1974 | საქართველო |
| ბესიკ ლეჟავა | 190 | 21.02.1986 | საქართველო |
| გეგი ლიპარტელიანი | 194 | 25.10.1985 | საქართველო |
| ბელტონ რივერსი | 190 | 07.05.1984 | აშშ |
| იოვან სტეფანოვი | 208 | 22.07.1983 | სერბეთი |
| ლევან ცეკვავა | 189 | 15.10.1989 | საქართველო |

**ამსტერდამი**

| მოთამაშე | სმ. | დაბ.თარ | ნაც |
|---|---|---|---|
| მიტჩელ ბერენშტეინი | 198 | 13.01.1987 | ჰოლანდია |
| სიმონ ფლაკსი | 196 | 28.07.1988 | ჰოლანდია |
| ტედი გიფსონი | 193 | 15.02.1980 | აშშ |
| რობერტ კრაბენდამი | 211 | 11.07.1986 | ჰოლანდია |
| ჯერონ რობერტსი | 194 | 11.10.1976 | აშშ/ისრაელი |
| პეტერ შოტი | 190 | 17.02.1988 | ჰოლანდია |
| რამონ სილიადე | 200 | 18.01.1983 | ჰოლანდია |
| ალონ შტეინი | 195 | 04.01.1978 | ისრაელი |
| კრისტიან ვან ლოონი | 195 | 14.04.1985 | ჰოლანდია |
| პეტერ ვან პაასენი | 209 | 20.12.1978 | ჰოლანდია |
| ჟაირ ველდჰაუსი | 208 | 02.07.1981 | ჰოლანდია |
| შტეფან ველელსი | 204 | 13.04.1984 | ჰოლანდია |
| ავის ვეიტი | 203 | 20.08.1984 | აშშ |

### აზოტი ევროთასებზე

**კორაჩის თასი 1998**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**აზოტი-ფეარსი (ესტონეთი) 81:75**

40:33, 41:42

აზოტი: ვ. ბოისა (22 ქ), ჯაფარიძე (17 ქ. 9 მ), გოგობერიშვილი (31 ქ. 9 მ)...

**ფეარსი-აზოტი 90:67**

40:26, 50:41

აზოტი: ბეჟანიშვილი (14 ქ. 11 მ), გოგობერიშვილი (17 ქ), ვ. ბოისა (11 ქ)...

**კორაჩის თასი 1999**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**აზოტი-შახტარი (უკრაინა) 92:93**

41:54, 51:39

აზოტი: ჟღენტი (17 ქ), ჯაფარიძე (36 ქ), გოგობერიშვილი (25 ქ)...

**შახტიორი (უკრაინა)-აზოტი 110:87**

47:37, 63:50

აზოტი: ჟღენტი (14 ქ), ბაბიაშვილი (11 ქ. 9 მ), ჯაფარიძე (21 ქ), გოგობერიშვილი (28 ქ)...

**კორაჩის თასი 2000**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**აზოტი-კიევი (უკრაინა) 74:100**

34:52, 40:48

აზოტი: ხოშტარია (13 ქ), ჯაფარიძე (24 ქ), ბაბიაშვილი (11 ქ)...

**კიევი (უკრაინა)-აზოტი 90:72**

44:38, 46:34

აზოტი: ბაბიაშვილი (15 ქ, 9 მ), ჟღენტი (10 . 9 მ), ჯაფარიძე (18 ქ), გოგობერიშვილი (13 ქ. 8 მ)...



ამსტერდამელებმა გუშინ სპორტის სასახლეში ივარჯიშეს

### ამსტერდამი ევროთასებზე

**ევროთასი 2007**

**ჯგუფური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-ვირტუსი (იტა) | 51:104 |
| აელ (კვიპ)-ამსტერდამი | 82:49 |
| ვილერბანი (საფრ)-ამსტერდამი | 92:70 |
| ვირტუსი (იტა)-ამსტერდამი | 90:47 |
| ამსტერდამი-აელ (კვიპ) | 79:95 |
| ამსტერდამი-ვილერბანი (საფრ) | 65:113 |

მეოთხე ადგილი ჯგუფში

**ფიბას ევროლიგა 2005**

**ჯგუფური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-ბნეინ-ჰაშარონი (ისრ) | 61:79 |
| სტრასბურგი (საფრ)-ამსტერდამი | 76:69 |
| ამსტერდამი-ანვილი (პოლ) | 80:74 |
| ხიმკი (რუს)-ამსტერდამი | 70:71 |
| ამსტერდამი-მონსი (ბელ) | 72:78 |
| ტუბორგი (თურ)-ამსტერდამი | 88:70 |
| ბნეი-ჰაშარონი (ისრ)-ამსტერდამი | 67:70 |
| ამსტერდამი-სტრასბური (საფრ) | 69:81 |
| ანვილი (პოლ)-ამსტერდამი | 67:51 |
| ამსტერდამი-ხიმკი (რუს) | 90:97 |
| მონსი (ბელ)-ამსტერდამი | 79:71 |
| ამსტერდამი-ტუბორგი (თურ) | 66:63 |

მეოთხე ადგილი ჯგუფში

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-ნიჰარია (ისრ) | 65:76 |
| ნიჰარია (ისრ)-ამსტერდამი | 93:87 |

**საპორტას თასი 2002**

**ჯგუფური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ლაიონსი (ავს)-ამსტერდამი | 66:82 |
| ამსტერდამი-ანვილი (პოლ) | 59:61 |
| რიტასი (ლიტვ)-ამსტერდამი | 97:75 |
| ამსტერდამი-ბეშიქთაში (თურ) | 57:72 |
| ამსტერდამი-უნიქსი (რუს) | 70:78 |
| ამსტერდამი-ლაიონსი (ავს) | 72:65 |
| ანვილი (პოლ)-ამსტერდამი | 79:67 |
| ამსტერდამი-რიტასი (ლიტ) | 70:82 |
| ბეშიქთაში (თურ)-ამსტერდამი | 86:80 |
| უნიქსი (რუს)-ამსტერდამი | 98:78 |

მეხუთე ადგილი ჯგუფში

**კორაჩის თასი 2001**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ოკაპი (ბელ)-ამსტერდამი | 67:85 |
| ამსტერდამი-ოკაპი (ბელ) | 66:62 |

**ჯგუფური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ოპავა (ჩეხ)-ამსტერდამი | 82:76 |
| ამსტერდამი-მაზოვეიცკი (პოლ) | 89:68 |
| პროკომი (პოლ)-ამსტერდამი | 80:50 |
| ამსტერდამი-ოპავა (ჩეხ) | 98:94 |
| მაზოვეიცკი (პოლ)-ამსტერდამი | 68:89 |
| ამსტერდამი-პროკომი (პოლ) | 89:76 |

მეორე ადგილი ჯგუფში

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-ავტოდორი (რუს) | 89:76 |
| ავტოდორი (რუს)-ამსტერდამი | 75:73 |

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-ფენერბაჰჩე (თურ) | 93:73 |
| ფენერბაჰჩე (თურ)-ამსტერდამი | 79:69 |

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-უნიკახა (ესპ) | 46:59 |
| უნიკახა (ესპ)-ამსტერდამი | 86:55 |

**საპორტას თასი 2000**

**ჯგუფური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-როტასი (ლიტ) | 54:80 |
| ამსტერდამი-შალონი (საფ) | 33:58 |
| აპოელი (კვიპ)-ამსტერდამი | 68:74 |
| მაკაბი (ისრ)-ამსტერდამი | 67:59 |
| ამსტერდამი-ალბაკომპი (ჩეხ) | 61:53 |
| როტასი (ლიტ)-ამსტერდამი | 75:51 |
| შალონი (საფ)-ამსტერდამი | 63:60 |
| ამსტერდამი-აპოელი (კვიპ) | 93:38 |
| ამსტერდამი-მაკაბი (ისრ) | 66:57 |
| ალბაკომპი (ჩეხ)-ამსტერდამი | 64:66 |

მეოთხე ადგილი ჯგუფში

**1/6 ფინალი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-პარიზი (საფ) | 60:61 |
| პარიზი (საფ)-ამსტერდამი | 75:70 |

**კორაჩის თასი 1999**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-პორტუ (პორ) | 65:74 |
| პორტუ (პორ)-ამსტერდამი | 65:51 |

**კორაჩის თასი 1998**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ამსტერდამი-მონსი (ბელ) | 57:81 |
| მონსი (ბელ)-ამსტერდამი | 79:71 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

მაია აზარაშვილის კროსი



# სპორტის დედოფლის ზეიმი მარტვილში

მარტვილში, გასულ შაბათს ორგანიზებული ერთი მძლეოსნური ღონისძიება, უთუოდ დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც ღირსსახსოვარი მოვლენა, ქართული სპორტის ისტორიაში. მომავალში იგი, ალბათ, სრულიად საქართველოს მოიცავს.

"ლელოს" წინა ნომერში, ანონსში ვწერდით, რომ 27 ოქტომბერს, სამეგრელო-ზემოსვანეთის მძლეოსნობის რეგიონული ფედერაციის თაოსნობით, მარტვილი მასობრივ მძლეოსნურ კროსს უმასპინძლებდა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ბორჯომის კროსის მსგავსად, ეს ასპარეზობაც სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მაია აზარაშვილის სახელთან ყოფილა დაკავშირებული.

თბილისიდან, ღონისძიებაზე დასასწრებად მიიწვიეს საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე, გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი და წარმოშობით მარტვილელი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი, ლეგენდარული მოჭიდავე რომან რურუა.

გუშინწინ, სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ. თუ რა ნახეს და რა განიცადეს, ამას მდინარაძესთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ბატონო თამაზ, ჩასული სტუმრების ყურადღება, უპირველესად, რამ მიიპყრო?**

- ნამდვილად სასიამოვნო მოულოდნელობა იყო განახლებულ-გალამაზებული რაიონული ცენტრის ხილვა. აშკარად იგრძნობოდა საზეიმო განწყობა.

**- რას მივაწეროთ მარტვილელთა ეს თაოსნობა?**

- უპირველესად სპორტისადმი ყურადღებას. მასობრივ სპორტს ანუ მოძრაობას "სპორტი ყველასთვის", ბოლო წლებში, ქვეყანაში გამოკვეთილად რომ ეთმობა ყურადღება, ყველა კარგად ხედავს და გრძნობს. მთავარია, ადგილებზე გამოიჩინონ ინიციატივა. ამჯერად სწორედ ასე მოხდა, რასაც ჩვენც დავუჭირეთ მხარი.

- მხარდაჭერა ერთია, კარგ საქმეს ვინ არ მიესალმება, მთავარი ორგანიზება, პრობლემების თავის გართმევაა.

- ყველაფერი ადგილზევე ჩინებურად მოაგვარეს.

**- შეიძლება, ალბათ, ვთქვათ, რომ ადგილობრივმა მმართველობამ, უბრალოდ ალასრულა ის უფლებები, რაც მათ კანონით აქვთ მინიჭებული. დღემდე, ზოგან, უმოქმედობით თავის გამართლების და არა სირთულეებიდან გამოსვლის გზების ძიებაში არიან...**

- სწორს ბრძანებთ. მითხრეს, რომ რაიონის გამგებლის მამუკა დანელიას, პრეზიდენტის რწმუნებულისა და მისი აპარატის კულტურისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელის, ქალბატონ მაია კალანდიას მხარდაჭერით, ყველაფერი გაკეთდა, რომ ლამაზი სპორტული დღესასწაული შემდგარიყო. რეგიონის რაიონებიდანაც ორგანიზებულად ჩამოიყვანეს მონაწილენიცა და გულშემატკივრებიც. გამგეობებმა დააფინანსეს მათი მგზავრობა და კვება. მარტვილის გამგებელი ერთი წუთითაც არ მოგვშორებია გვერდიდან - ზეიმის ეპიცენტრში ტრიალებდა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ძვირფასი საჩუქრები ელოდათ. ორი ფერადი ტელევიზორი ჩვენც ჩავიტანეთ.

**- თუ ასეთი ყურადღებაა, არა გვგონია მარტვილში, ეს სიკეთის ქმნის ერთი კონკრეტული ფაქტი იყოს.**

- არა, რას ამბობთ. ჩემდა გასაოცრად, თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის სანიმუშო ოაზისი აღმოვაჩინე. ზოგიერთი რაიონისგან განსხვავებით, აქ ბავშვთა სპორტული სკოლისთვის არც ბაზა წაურთმევიათ და არც დაფინანსება შეუწყვეტიათ. პირიქით, კომპლექსური სკოლა გაუფართოვებიათ, სანიმუშოდაა კეთილმოწყობილი თავისი ბაზებით, სრული ინფრასტრუქტურით. რაც მთავარია, უნიკალური ადგილია შერჩეული, სკოლა პირდაპირ ბუნების წიაღშია გაშენებული. კეთილმოწყობა გრძელდება, კიდევ 80 ათასი ლარის სამუშაოები ყოფილა ჩასატარებელი. დამავიწყდა მეთქვა, ამ კომპლექსს საკუთარი სასტუმროც აუშენეს 44 სპორტსმენზე. საკუთარი სასტუმრო აქვს საფეხბურთო სკოლასაც. ბავშვთა სპორტული დაოსტატების ამ კერასაც იდეალური პირობები აქვს. ორი სათამაშო მინდორია მოზარდების განკარგულებაში. არ დაგიმალავთ, გული დამწყდა, რომ მძლეოსნური ბილიკები და სექტორები "გამორჩენიათ", მაგრამ, ეგ არაფერი, როგორ არ გამხარებოდა ის, რაც ვნახე. ფეხბურთს ხომ მოუმზადებენ რეზერვს.

**- სპორტულ ღონისძიებას დავუბრუნდეთ. იმ ფონზე, თქვენ რაც დაგვიხატეთ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ დროული იყო ეს ზეიმი და, მომავალში, უთუოდ, სხვა ღონისძიებებიც ჩატარდება. მინდა გკითხოთ, რატომ მაინც და მაინც მაია აზარაშვილის სახელს დაუკავშირეს მძლეოსნური გარბენები?**

- ეს შეიძლება მისი სახელობის იმ საერთაშორისო, უკვე ტრადიციადქცეული კროსის გამოძახილია, რომელიც მაიას სახელობისაა - რამდენჯერმე ჩატარდა ბორჯომში, წლეულს კი თბილისმა უმასპინძლა. მაიას სამეგრელოშიც დიდ პატივს სცემენ. მოსვენება არ ჰქონდა ავტოგრაფების მოყვარული ბავშვებისგან. გაიხარეს უფროსი თაობის ადამიანებმაც, რომლებსაც ლეგენდარულ რომან რურუასთან მიეცათ ურთიერთობის შესაძლებლობა. ეს იყო ამ ღონისძიების შინაარსობრივი დატვირთვის მკაფიო გამოხატულება. სპორტის პროპაგანდა რეგიონებში ამ გზით უნდა წარიმართოს, ანუ, სტუმრის სტატუსით გამოჩენილ ათლეტთა მონაწილეობით. უნდა ვთქვათ, რომ ეს არა მხოლოდ სპორტული, არამედ სპორტულ-კულტურული ღონისძიება იყო. ერთად ეწვივნენ სტუმრები და მასპინძლები ჭყონდიდის რესტავრირებულ სამონასტრო კომპლექსს. შეჯიბრების დროს ქუჩაში გამოსული უამრავი ხალხიდან, ბევრი ჩვენთან ერთად სამონასტრო კომპლექსის სანახავადაც გამოგვყვა. მოკლედ, ნამდვილი ზეიმი შედგა.

**- არის მოსალოდნელი, რომ მარტვილელთა გამოცდილებას სხებიც მიბაძავენ, გაიზიარებენ და განაზოგადებენ მთელ ქვეყანაში?**

- უნდა მიბაძონ. სხვა გზა არ არის. ჩვენ ვართ სპორტული ქვეყანა და ამ კუთხით მის გაძლიერებაში წვლილი ყველამ უნდა შეიტანოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ თავმომწონე ქვეყნების სავიზიტო ბარათი სპორტიცაა - მთელ მსოფლიოში.

**- მაია აზარაშვილის კროსი მარტვილში ტრადიციული გახდება?**

- დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილია. მძლეოსნობის რეგიონული ფედერაცია, ამ მხარის სხვა რაიონებშიც გეგმავს ანალოგიური ღონისძიების ჩატარებას, მერე, ალბათ, დღის წესრიგში დადგება მხარის საერთო ღია ასპარეზობის ჩატარება საქართველოს სხვა რეგიონების მონაწილეობით, მაგრამ მანამდე კროსები ჩატარდება ყველგან რაიონებში. ასეთია პერსპექტივა, რაც მიღწევადია, რადგან გარბენების მოწყობა საგანგებო სარბიელს არ მოითხოვს და რბენის ნებისმიერი ასაკის მოყვარულისთვისაა ხელმისაწვდომი. ჩვენ ყველა ინიციატივას მხარს დავუჭერთ. გაისად ასპარეზობას ჩხოროწყუ უმასპინძლებს.

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**



აჯილდოებენ თამაზ მდინარაძე და რომან რურუა

**გამარჯვებულები და პრიზიორები**

გოგონები. 1995-97 **წლიანები.** 300 მ: 1. ნაირა ფალავა (მარტვილი), 2. ნინო ჩაქაბერია (წალენჯიხა), 3. ანი ჭანტურია (მარტვილი); 1992-1994 წლიანები. 500 მ: 1. სალომე აბშილავა (ზუგდიდი), 2. ლუბა გეინი (ფოთი), 3. თამუნა სართანია (ხობი); **1990-1991 წლიანები.** 600 მ: 1. ბელა ბაღაშვილი (მარტვილი), 2. ლიკა ბიგვავა (ზუგდიდი), 3. თამარ ჯალაღონია (ფოთი); **1987-1989 წლიანები.** 1000 მ: 1. თეა ფაცურია (ფოთი), 2. ტანია მაისაია (მარტვილი), 3. ნანა ბებია (ზუგდიდი).

ბიჭები. 1995-1997 **წლიანები.** 500 მ: 1. ნიკა რურუა, 2. ირაკლი ციცხვაია (ორივე - მარტვილი), 3. ბაჩო ხორავა (ზუგდიდი); 1992-1994 წლიანები. 600 მ: 1. თემურ გუგუშვილი, 2. გიგა რურუა (ორივე - მარტვილი), 3. ბაჩო ხორავა (ზუგდიდი); **1990-1991 წლიანები.** 1000 მ: 1. დენის ჟვანია (ზუგდიდი), 2. გიორგი გეგენავა, 3. გიორგი ციკოლია (ორივე - ფოთი); **1987-1989 წლიანები.** 2000 მ: 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი), 2. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი), 3. ირაკლი შონია (წალენჯიხა).

ცხენოსნობა

კავკასიის თასი

# უმცროსებში მასპინძლები, უფროსებში სტუმრები

მართალია, "კავკასიის თასის" გათამაშება, წლეულს, სომხების გამოუცხადებლობით მხოლოდ საქართველო-აზერბაიჯანის მატჩად იქცა, ამით ასპარეზობისადმი ინტერესი არ შენელებულა. მეზობელი აზერბაიჯანის ცხენ-მხედრობა თანდათან იმკვიდრებს მეწინავეობას რეგიონში, რაც სულაც არ არის მოულოდნელი. ყურადღებას, რასაც აზერბაიჯანში იჩენენ ცხენოსნობისადმი ბოლო წლებში, მხოლოდ თეთრ შურსა და აღფრთოვანებას იწვევს. როგორც ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, სპონსორები ჩვენთანაც გამოჩენილან, უკვე დაძრულა ახალი მერნების უცხოეთში შეძენა-ჩამოყვანის საკითხი. ასე რომ, უახლოეს მომავალში, კონკურენცია "კავკასიის თასზე" უფრო ამაღლდება.

თასის ამჟამინდელი გათამაშების მეორე დღეს არაერთგიტიანი შეჯიბრება გაიმართა 6 დაბრკოლებაზე. ეს პროგრამა შედარებით ახალია ცხენოსნობაში. ერთმანეთის მოყოლებით განლაგებულ 6 დაბრკოლებაზე ცხენ-მხედარმა რიტმსა და ტემპში შეხამებულად, რაც მაღალ ოსტატობას მოითხოვს, უნდა მიაღწიოს ფინიშამდე. თუნდაც ერთი წინაღობის ჩამოგდება, შეჯიბრებიდან გამოთიშვას ნიშნავს. ახალგაზრდა ცხენებით აქ სამივე მედალი ქართველებს ხვდათ ასეთი თანმიმდევრობით: 1. **გიორგი სამხარაძე** ("ელტერილი"), 2. **კახა კიკიანი** ("ელდორადო"), 3. **ივანე ნორაკიძე** ("ეროსი"). უფროსი ასაკის ცხენებით კი წარმატება აზერბაიჯანელებს ხვდათ წილად. პირველი-მეორე ადგილი **რამიზ რზაევმა** და **საიდ მუსაევმა** გაიყვეს, მესამე ადგილზეც მუსაევი გავიდა - მეორე ცხენით.

შეჯიბრება დასრულდა დიდი პრიზის - "კავკასიის თასის" გათამაშებით. ახალგაზრდა ცხენებით პირველი და მეორე ადგილი შესაბამისად, დაიკავეს გიორგი სამხარაძემ და **გიორგი აფციაურმა.** მესამე საიდ მუსაევი იყო. ძირითადი ცხენებით კვალავ სტუმრებმა იყოჩაღეს. პირველი იყო **ახმედ ჯაფაროვი** ("კილაკი"), მეორე - საიდ მუსაევი ("გრომი"), მესამე - ფოთელი მხედარი **გიორგი კოდუა** ("გალერა").

სამი დღის ჯამში ახალგაზრდა მერნებით ასპარეზობაში გიორგი სამხარაძე იყო საუკეთესო, ძირითადი ცხენებით - რამიზ რზაევი.

წლის შედეგებიც შეჯამდა, ცხადია, ქართველი მხედრებისთვის. აქ საუკეთესოდ დასახელდნენ და სპეციალური პრიზი გადაეცათ **ივანე ნორაკიძეს** - ახალგზარდა ცხენებით და **შალვა გაჩეჩილაძეს** - უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში.

"კავკასიის თასის" გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ ჯილდოები, რომლებიც სპონსორებმა დააწესეს. შეგახსენებთ, რომ ასპარეზობის სპონსორები იყვნენ თბილისის იპოდრომი "ჟოკეი კლუბი", კომპანიები "ჯიარისი" და "ელიტელი". რჩეული მხედრები მათმა წარმომადგენლებმაც დააჯილდოვეს.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ახლა კაცებმა წააგეს...

პირველ ტურში ქართველ ქალთა ლიტვასთან დამარცხების გამო გუნება გაგვიფუჭდა. მართალია კაცებმა იმარჯვეს და მშვენიერი ანგარიშითაც, მაგრამ ეს ქალთა წაგებას მალამოდ ვერ დაედო.

ორმაგ წარმატებას მეორე ტურში მაინც ველოდით: ჩვენი ქალბატონები ესტონელებს ხვდებოდნენ, კაცები კი - დანიელებს. ქალებმა მოიგეს, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად - 2.5:1.5, რაც შეშფოთების საბაბს გვაძლევს.

ესტონელებთან ჩვენებურებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: **მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი.**

ჩიბურდანიძემ თეთრებით **მონიკა ციგანოვასთან** (2216) ყაიმით ითამაშა; **ნინო ხურციძემ** ქულა **ტატიანა ფომინასთან** (2248) გაიყო; ასეთივე შედეგი დააფიქსირა მეოთხე დაფაზე **მაია ლომინეიშვილმა** - შავებით **ვიქტორია ბაშკიტეს** (2188) დაუზავდა. გამარჯვების ქულა **ნანა ძაგნიძემ** მოიპოვა, რომელმაც თეთრებით **რეგინა ნარვას** (2067) აჯობა.

როგორც ხედავთ, ესტონელებს დაბალი რეიტინგული მაჩვენებლები აქვთ, ნოდებებით კი ბარე ორი და სამი საფეხურით ჩამორჩებიან: ნარვა საერთოდ უნოდებოა, დანარჩენი სამი კი ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატია.

რეიტინგით და ნოდებებით მეტნი ვიყავით დანიელებზეც, მაგრამ ამან შედეგი ვერ მოგვცა. პირველ დაფაზე **პეტერ ნილსენს** (2626) **ბაადურ ჯობავა** დაუპირისპირდა და წააგო. მესამე დაფაზე **ლევან ფანცულაიამ** შავებით სწრაფად გაათანაბრა პარტია **ლარს შანდორფთან** (2520) და ბევრიც აღარ უომიათ - პირველებმა მოაწერეს ხელი ზავს. მეოთხე დაფაზე **დავით არუთინიანი მერაბ გაგუნაშვილმა** შეცვალა. თეთრებით ქართველი იყო, მაგრამ ყაიმის მეტს ვერას გამორჩა. მატჩში ჩამორჩენის გამო მეორე დაფაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა: **თამაზ გელაშვილი** თეთრებით **სუნე ბერგ ჰანსენს** (2564) ხვდებოდა. დებიუტში საგრძნობი უპირატესობა ქართველმა ვერ მოიპოვა, თუმც პერსპექტივა კი ჰქონდა. მეტოქემ შუა თამაშში პრობლემებს თავი კარგად გაართვა და ისეთი პოზიცია შეიქმნა, სადაც თეთრებს მოსაგებად რესურსები არ ეყოფოდათ. რახან მატჩს ვაგებდით, გელაშვილი მდგომარეობას არ ეპუებოდა და მოსაგებ გზებს ჯიქურ ეძიებდა, მაგრამ 94-ე სვლაზე შეეგუა იმას, რომ ვერ მოიგებდა და ხელი ჩამოართვა მეტოქეს - 1,5:2,5 ქართველთა მარცხი და ალბათ საჩემპიონო პერსპექტივაც აქ დასამარდა. ღმერთმა არ ქნას, საპრიზოც გამოვიტიროთ...

**ზვიად შათირიშვილი**

## ხელბურთი

ეროვნული ნაკრები

# ლუქსემბურგამდე თურქეთი?

ეროვნული ნაკრების "ჩელენჯ ტროფის" ფინალში გასვლისთანავე საქართველოს ხელბურთის ფედერაცია გუნდის მოსამზადებელი ეტაპის გეგმაზე მუშაობას შეუდგა. როგორც იცით, 20 იანვარს, "ჩელენჯ ტროფის" ფინალში, ნორვეგიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, ლუქსემბურგს ვეთამაშებით.

ჩვენი ხელბურთის შეფები მოლაპარაკებას აწარმოებენ თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან ამხანაგური მატჩის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპის წინ დაიწყო, მაგრამ მაშინ შეთანხმება ვერ შედგა, რადგან თურქებს დეკემბრის ბოლოს სურდათ თამაში. ახლა კი, როდესაც წინ ფინალი გვაქვს, კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში ნორვეგიაში წასვლამდე ერთი საკონტროლო მატჩის გამართვა და ისევ თურქეთის ვარიანტი ამოტივტივდა. თუკი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, შეხვედრა, სავარაუდოდ, გაიმართება დეკემბრის მეორე ნახევარში, თურქეთის რომელიმე საზღვრისპირა ქალაქში.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია შეკრების საკითხიც. ლეგიონერების თბილისში ჩამოყვანა და მერე ნორვეგიაში წასვლა დიდ ხარჯებს უკავშირდება. ამიტომაც, საქართველოს ხელბურთის ფედერაციას სურს, რომ ნორვეგიაში ფინალამდე ერთი კვირით ადრე ჩაიყვანოს ნაკრები და იქვე გაიაროს შეკრება იდეალურ პირობებში. ამის შანსს ისიც ზრდის, რომ ჩვენს ფედერაციას ნორვეგიის ფედერაციასთან აკავშირებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და მეგობრული ურთიერთობა.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭიდაობა

# მედლები ერევნიდან და სტამბოლიდან

ამ შაბათ-კვირას ერევანში ჩატარდა სტეფან სარგსიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით - 20-მდე მოჭიდავით გამოდიოდა. თუმცა ლიდერთა უმეტესობა ისვენებდა და, სავარაუდოდ, ამას უნდა მივაწეროთ ჩვენებურთა შედარებით მოკრძალებული მონაგარი - 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ის ერთადერთი ვერცხლი 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოვიპოვეთ, მაგრამ არა მსოფლიო ჩემპიონმა **გიორგი გოგშელიძემ**, არამედ... ახალგაზრდა **ბელდუხ გავაშელმა**. რაც შეეხება თავად გოგშელიძეს, ის მესამეზე გავიდა. სამწუხაროდ, ტურნირის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს და ვერ გეტყვით, ვისთან წააგეს ჩვენებმა. სხვა ბრინჯაოები **კობა კაკალაძემ** (66), **ალექსანდრე პატარქალიშვილმა** (74) და **დავით მოძმანაშვილმა** (მძიმე) მოიპოვეს.

უფროსთა პარალელურად, ამავე უქმეებზე ახალგაზრდებმაც იჭიდავეს საერთაშორისო ტურნირში - სტამბოლში, "რესპუბლიკის თასზე", ოღონდ ის ორივე სტილის ჭიდაობაში გაიმართა. იქ ჩვენები კიდევ უფრო დიდი წარმატებით გამოვიდნენ - "ანტიკოსებმა" სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს, "თავისუფლებმა" - 2 ოქრო და 4 ბრინჯაო. "ანტიკოსთაგან" ჩემპიონი **ვლადიმერ ქარჩავა** (96) გახდა. ვერცხლი **ბესიკ სალდაძემ** (66) მოიპოვა, ბრინჯაო - **ლაშა გუგუნაშვილმა** (74).

თავისუფალში" **გიორგი ედიშერაშვილმა** (55) და **თორნიკე ხიდეშელმა** (120) ჩემპიონობა არავის დაუთმეს. მესამეზე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50), **ზაურ აბრამაშვილი** (66), **მარადი ზოიძე** (74) და **დაჩი ქერაშვილი** (96) გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

## რაგბი

ლეგიონერები

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

# ლაბაძე, მერთენსი და გრეგანი

მსოფლიოს თასის დასრულებიდან კვირის თავზე, საფრანგეთის სარაგბო სტადიონებზე ქვეყნის ჩემპიონატი გაჩაღდა. ელიტური პირველ დივიზიონში წლეულს ქართველ მორაგბეთა გუნდების რაოდენობა გაიზარდა და რაგბის ქომაგს ერთბაშად რვა კლუბის ასპარეზობისთვის მოუწევს თვალყურის დევნება.



გია ლაბაძე (მოლში) და ჯორჯ გრეგანი (მარჯვნივ)

რვიდან წარმატებული სტარტი სამმა - "მონპელიემ", "კასტრმა" და "ბაიონმა" აიღო. "მონპელიე", **მამუკა გორგოძის** გუნდი, საკუთარ ახალ სტადიონზე ბოლო დროის ფრანგული რაგბის ერთ-ერთ ფავორიტს "პერპინიანს" მასპინძლობდა და 19:12 დაამარცხა. "გულივერა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს.

**აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა" კი შინ დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძის** "ოში" 25:12. ქართველ მორაგბეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

სტუმრად, **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივთან" შეხვედრაში გაიმარჯვა **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონმა" 22:21. ხინჩაგიშვილი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 37-ე წუთზე შეცვალეს.

პირველი ტური წინა ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა შეხვედრით დაიწყო. "სენ დენიზე" ქვეყნის ჩემპიონმა "სტად ფრანსემ" **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონს" უმასპინძლა. ისევე როგორც ფინალში გამარჯვება ამჯერადაც პარიზელებს დარჩათ - 23:17. ზირაქაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, შველიძე შეხვედრაში 63-ე ჩაერთო. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთიით ადრე მან მეტოქის ლელოში ბურთიანად შეაღწია, მაგრამ მატჩის არბიტრმა ლელო არ ჩათვალა.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა **ირაკლი გიორგაძის** ახალი გუნდი "დაქსი". ელიტური დივიზიონის დებიუტანტებმა ერთ-ერთ ფავორიტ "ტულუზს" საკადრისი წინააღმდეგობა კი გაუწიეს, მაგრამ - 10:15. ირაკლი გიორგაძე თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

ბიარიცში **გიორგი ულენტის** ბასკურმა კლუბმა "ალბის" უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა 15:15. ულენტის დებიუტი პირველ დივიზიონში ჯერ არ შემდგარა.

საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური. **დაქსი-ტულუზი 10:15, სტად ფრანსე-კლერმონი 23:17, ბიარიცი-ალბი15:15, ბურგუენი-მონტობანი 10:8, ბრივი-ბაიონი 21:22, კასტრი-ოში 25:12, მონპელიე-პერპინიანი 19:22.**

"ქართული" გუნდების რაოდენობა გაიზარდა მეორე დივიზიონშიც. თუმცა პირველ ტურში შვიდი ქართველიდან მხოლოდ ერთმა, ტულონელმა **გია ლაბაძემ** ითამაშა. მისმა გუნდმა შინ დაამარცხა "ბეზიე" 41:7. ლაბომ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ამ შეხვედრაში მის გვერდით იყვნენ ზელანდიელი **ენდი მერთენსი** და ავსტრალიელი **ჯორჯ გრეგანი**.

"ბორდოსთან" საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ" 26:17, ხოლო **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლმა " **იგორ ბარბაქაძის** "ტარბს" სძლია 22:16. სტუმრად გაიმარჯვა "ლიმოჟთან" **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონმა" 26:19. სტუმრადვე მოიგო **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკთან" **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანმა" 26:18.

II დივიზიონი. I ტური. **ლა როშელი-იონაქსი 16:10, აჟენი-ბლანიაკი 20:9, პო-ბორდო 26:17, მეტრო რასინგი-ლიონი 22:17, გრენობლი-ტარბი 22:16, ლიმოჟი-ნარბონი 19:26, ორიაკი-მონ დე მარსანი 18:26, ტულონი-ბეზიე 41:7**

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ძიუდო

# ღირსების ორდენები ჩემპიონებს

გუშინ ქართველი ძიუდოისტები დაბრუნდნენ მინსკიდან, სადაც შაბათს ევროპის გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს, და საღამოს მორიგი ჯილდო მიიღეს - ნაკრები ქვეყნის პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** მიიღო და ღირსების ორდენებითაც დააჯილდოვა. ასეთი პატივი არა მარტო მინსკში ნაჭიდავებ შემადგენლობას ხვდა წილად, არამედ იმათაც, რომლებმაც შარშან, პარიზში, მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს. სპორტსმენთაგან **ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ბეთქილ შუკვანი, ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, დავით ქევხიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე, ლაშა გუჯეჯიანი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი** დაჯილდოვდნენ, მწვრთნელთაგან - **შოთა ხაბარელი, გურამ მოდებაძე, ბიძინა მოხევიშვილი, ბორის ფირცხელიანი.** მედლები ერგოთ აგრეთვე მსაჯ **მერაბ ლოსეურაშვილსა** და სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელ **გურამ რატიშვილს.**

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი

# სტამბოლი ჯერ არ დაუთვლიათ

ATP-ის ახალ რეიტინგში კლასიფიკაციაში მყოფი ქართული კვინტეტისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. საქართველოს პირველ ჩოგან **ლადო ჩიხლაძეს** მესამე კვირაა არსად უთამაშია, მას კვლავ 94 სარეიტინგო ქულა აქვს, ლადომ ერთი ადგილით წინ წაიწია და მსოფლიოს 353-ე ჩოგანია. წყვილთა თანრიგში ლადოს გაცილებით უარესი პოზიცია უკავია - 699-ე. **ირაკლი ლაბაძე**, რომელსაც მთელი სეზონი გაუცდა, წლეულს ბოლოჯერ იმყოფება ათასეულში. შემდეგ ორშაბათს მას შარშან აახენის ჩელენჯერში მოპოვებული 6 ქულა დააკლდება და მხოლოდ სამი დარჩება. დღეისათვის ირაკლი მსოფლიოს 939-ე (+5) ჩოგანია. სხვები: 1236 (+4) **ნოდარ ითონიშვილი** - 3 ქულა, 1461 (+4) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1 ქულა.

WTA-ს რეიტინგში კვლავ ათი ქართველი ჩოგბურთელია, პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** გასულ კვირას უქმობდა, ამიტომ მან ხუთი ადგილი დაკარგა, მაკა 189,5 ქულით მსოფლიოს 167-ე ჩოგანია. ჩახნაშვილი წყვილებში 194-ე ადგილზეა, ხოლო წლის რბოლაში - 176-ე. 17 წლის **ანა ტატიშვილი** 90 ქულით კვლავ 273-ე ადგილზეა კლასიფიკაციაში. წყვილებში ანა მხოლოდ 538-ე ჩოგანია, წლის რბოლაში კი 193-ე პოზიციაზეა. სხვები: 420 (+6) **სოფიო შაფათავა** - 43 ქულა; 557 (+1) **სალომე დევიძე** - 26; 608 (+1) **თინათინ ყავლაშვილი** - 21; 625 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 19.5; 631 (+9) **მანანა შაფაქიძე** - 19; 728 (+5) **სოფიო მელიქიშვილი** - 13.5; 742 (+6) **სოფიო ქვაცაბაია** - 13; 813 (+2) **ეკა გორგოძე** - 10. გეტყვით, რომ სტამბოლის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) ახალ რეიტინგში შეტანილი არაა.

# საკვალიფიკაციო იკმარეს

გერმანიის ქალაქ აახენში დაიწყო ჩელენჯერის სერიის ტურნირი "ლამბერტც ოუფენი", რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. შარშან ამ ტურნირში **ირაკლი ლაბაძემ** მეოთხედფინალში გააღწია, მას მერე ლაბაძემ ტრავმის გამო მთელი წელიწადი გამოტოვა. სამწუხაროდ, ირაკლი ჯერ ვერ დაუბრუნდა ჩოგბურთს, აახენში კი 22 წლის **ლადო ჩიხლაძემ** (353) ითამაშა. ტურნირი ხალიჩაზე დახურულ დარბაზში იმართება, ლადო პირველ საკვალიფიკაციო წრეში 21 წლის რუს **დენის მაცუკევიჩს** (385) შეხვდა. სამწუხაროდ, ჩიხლაძემ ორ სეტში დათმო - 4:6, 4:6 და გერმანიას დაემშვიდობა.

ესპანეთის ქალაქ ვილაფრანკაში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე **ნოდარ ითონიშვილი** პირველ წრეში ლუქსემბურგელ **ჯო ჰატოს** გაუმკლავდა - 6:4, 7:5. მეორე წრეში ქართველმა, რომელიც მე-11 ნომრად იყო განთესილი, ბელგიელ **ჟერემი სვინგედოს** აჯობა - 6:3, 6:4. ფინალურ წრეში ნოდარის მეტოქე ესპანელი **როდრიგო გომეს-საიგოსი** იყო, პირველი სეტი ესპანელმა მოიგო - 5:7, მეორეში 0:3-ზე ითონიშვილმა ბრძოლა შეწყვიტა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

2728

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## ვაშინგტონი სიომინს 9 მილიონს გადაუხდის

"ვაშინგტონ კეპიტალზმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა რუს ფორვარდ **ალექსანდრ სიომინთან**, რომლის მიხედვითაც, ჰოკეისტი ჯამში 9.2 მილიონ დოლარს მიიღებს.

ახალი ხელშეკრულება მომავალი სეზონიდან შევა ძალაში, წლეულს კი, 23 წლის თავდამსხმელი ძველი კონტრაქტის მიხედვით 1.2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

"ვაშინგტონმა" სიომინი 2002 წლის დრაფტის მე-13 ნომრად აირჩია. შარშან, რუსმა კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა - 77 მატჩში 38 შაიბა გაიტანა და 35 საგოლე პასი შეასრულა.

## კოლორადოს მცველი გამოაკლდა

"კოლორადო ეველანშმა" ამ წელიწადში მეორედ დაკარგა ერთ-ერთი წამყვანი მცველი **ჯორდან ლეოპოლდი**. ამ ჰოკეისტს ტრავმირებულ მაჯაზე ოპერაცია ელის და ამის გამო, ორი თვე ვერ შეძლებს თამაშს. ლეოპოლდმა ხელი "ედმონტონთან" მატჩში დაიზიანა.

კოლორადოელმა შარშანდელი რეგულარულის ნახევარი გამოტოვა, ამის შემდეგ კი, თებერვალში მაჯა მოიტეხა და მხოლოდ ამ ზაფხულს დაუბრუნდა გუნდს.

## მომავლის გუნდი ბრაუნით იწყება

"ლოს ანჯელეს კინგზმა" ახალი, 6-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა თავდამსხმელ **დასტინ ბრაუნთან**. 22 წლის ჰოკეისტი მომავალ ექვს სეზონში 19 მილიონ დოლარს მიიღებს.

კალიფორნიული კლუბის გენერალური მენეჯერი **დინ ლომბარდი** აცხადებს, რომ ახალი"კინგზი" შენების პროცესშია და ბრაუნი მომავალი გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება.

ბრაუნი NHL-ში მეოთხე სეზონს ატარებს. მის ანგარიშზე 222 მატჩი, 36 გოლი და 51 შედეგიანი გადაცემა მოდის.

## ბერჟერონმა ცხვირი გაიტეხა

როგორც გუშინ ვწერდით, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში, სერიოზული ტრავმა მიიღო "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდმა **პატრის ბერჟერონმა**. მას "ფილადელფიას" მცველი **რენდი ჯონსი** ეუხეშა, რის შემდეგაც, ბერჟერონი ექიმებმა 10 წუთი ვერ მოიყვანეს გონს.

გუშინ, პატრისი საავადმყოფოდან გამოწერეს. დიაგნოზი ცხვირის მოტეხილობა და ტვინის შერყევა გახლავთ. ამის გამო, ფორვარდი საკმაო ხანი ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას.

თავისი ბინძური ილეთისთვის, ჯონსმა ხუთწუთიანი ჯარიმა მიიღო. მატჩის შემდეგ, მცველმა ბოდიში მოუხადა დაზარალებულს და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არ სურდა მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენება.

## გრეტცკიმ 200 ათასი შეაგროვა

ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა უეინ გრეტცკიმ დაპირებული აუქციონი გამართა და გასაყიდად პირადი ნივთები გამოიტანა, მათ შორის ჰოკეის სათამაშო ატრიბუტიკა, ავეჯი, ტანსაცმელი და ბევრი სხვა.

აუქციონის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ საერთო შემოსავალმა 200 ათასი დოლარი შეადგინა. ეს თანხა ბეისბოლის ახალი სტადიონის მშენებლობასა და ორ სკოლაში სპორტული სპოგრამების განვითარებას მოხმარდება.

კალათბურთი

## ისევ კობის ტრეიდის შესახებ

თუ სააგენტო AP-ს დავუჯერებთ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და "ჩიკაგო ბულზის" შეფები კვლავ აწარმოებენ მოლაპარაკებებს **კობი ბრაიანტის** მომავალი კარიერის შესახებ.

"ლეიკერსი" თავის უპირველეს ვარსკვლავში **ლუოლ დენგს, ბენ გორდონს, ტაირუს ტომასსა** და **ჟოაკიმ ნოას** ითხოვს, მაგრამ "ბულზი" არ თანხმდება კობიში ამდენი კალათბურთელის დათმობას. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ თურმე თავად ბრაიანტსაც არ ხიბლავს "ჩიკაგოში" თამაშის პერსპექტივა.

## ჯეფრიზი დამტვრეულია

"ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდმა **ჯარედ ჯეფრიზმა** ბოლო საკონტროლო შეხვედრაში ტრავმა მიიღო. "ნიუ ჯერსი ნეტსთან" მატჩში, ჯეფრიზი **რიჩარდ ჯეფერსონს** შეეჯახა და მუხლი დაიზიანა. კალათბურთელი მოედანზე აღარ დაბრუნებულა და ჯერ არც ის არის ცნობილი, იქნება თუ არა მზადყოფნაში ის, რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე.

სხვათა შორის, გასულ სეზონში ჯეფრიზმა მაჯის მოტეხილობის გამო 22 მატჩი გამოტოვა.

## ბოგუტი გამოჯანმრთელდა

"მილუოკი ბაქსის" გულშემატკივრებმა სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. "ირმების" ერთ-ერთი ლიდერი, ავსტრალიელი ცენტრი **ენდრიუ ბოგუტი** პირველივე მატჩიდან ჩაებმება რეგულარულ ჩემპიონატში.

22 წლის ბოგუტი ტრავმირებულ მარცხენა მაჯას მკურნალობდა და იყო იმის საშიშროება, რომ ის სეზონის სტარტისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებდა, მაგრამ ექიმების მტკიცებით, კალათბურთელი "ორლანდო მეჯიქთან" მატჩში მოედანზე იქნება.

ავსტრალიელი 2005 წლის დრაფტის პირველი ნომერი იყო. გასულ სეზონში მან 66 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.3 ქულა და 8.9 მოხსნა დააგროვა.

## ატკინსი თვეზე მეტს დაისვენებს

არ გაუმართლა სეზონის წინ "დენვერ ნაგეტსის" მცველ **ჩაკი ატკინსს**. 33 წლის ვეტერანმა ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე საზარდულის მძიმე ტრავმა მიიღო, რომლის მკურნალობასაც დაახლოებით 6-8 კვირა დასჭირდება.

ატკინსი ამ წლის ივლისში, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა "დენვერში".

## რეალმა ბალოკი დაკარგა

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შემდეგ, მადრიდის "რეალი" ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩა. კერძოდ, "სამეფო კლუბს" ორი კვირით გამოაკლდა მცველი **ლუის ბალოკი**. ამის მიზეზი "ფენერბაჰჩესთან" მატჩში მიღებული ბარძაყის ტრავმა გახდა.

სამაგიეროდ, ამ კვირიდან "რეალის" რიგებში ბრუნდება ფორვარდი **ფელიპე რეიესი**.

სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# ჩემპიონმა გამარჯვებით დაიწყო



აკსელ ლუნდ სვინდალი ასპარეზობისას

გასული სეზონის მსოფლიო თასის აბსოლუტურმა გამარჯვებულმა, ნორვეგიელმა **აკსელ ლუნდ სვინდალმა** ახალი სეზონიც გამარჯვებით დაიწყო. ავსტრიის სამთო კურორტ ზოლდენში გამართულ გიგანტურ სლალომზე, სვინდალმა ორი ცდის ჯამში ნახევარ წამზე მეტით აჯობა უახლოეს მდევარს, ამერიკელ **ტედ ლაიჯეტის** და ახალ სეზონში პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

პირველ ცდაზე ნორვეგიელმა მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა, მაგრამ მეორეზე ყველაზე სწრაფი იყო და საბოლოოდ, გამარჯვებაც მას დარჩა. ლაიჯეტის პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო შედეგი ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა და ამითაც კმაყოფილი დარჩა. თავის მხრივ, ამერიკელს 0.07 წამით ჩამორჩა და მესამე ადგილი დაიკავა ფინელმა **კალე პალანდერმა**.

*"პირველი ცდის შემდეგ გამარჯვებაზე ფაქტობრივად, ხელი ჩავიქნიე. არ მეგონა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა. ჯერ კიდევ ტრასის საწყის მონაკვეთში ორი სერიოზული შეცდომა დავუშვი, რამაც შედეგი ძალიან გამიფუჭა. სხვა დროს, ამ შეცდომების გამო, ალბათ მოწინავე 30-ეულშიც ვერ შევიდოდი. სხვა მხრივ, შარშანდელზე გაცილებით უკეთ ვარ მომზადებული. ამ ეტაპზე, ძალიან მაინტერესებს, სხვებთან შედარებით, როგორია ჩემი მომზადების დონე. პირველი რბოლის შემდეგ, ამ მხრივ, კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა სვინდალმა, ვისთვისაც ეს მსოფლიო თასის ეტაპებზე მოპოვებული მერვე გამარჯვებაა, მათ შორის, მესამე გიგანტურ სლალომში. სხვათა შორის, ამავე დისციპლინაში ის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ფლობს.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის მიწურულს, სვინდალმა ოთხიდან სამი რბოლა მოიგო. ამგვარად, თავის ბოლო ხუთი გამოსვლიდან ოთხი მოგებული აქვს. ზოლდენში გამარჯვების შემდეგ კი მან განაცხადა, რომ ჯერ ბროლის დიდ გლობუსზე არ ფიქრობს. პირველი ეტაპის მოგება საფეხბურთო მატჩის დასაწყისში გოლის გატანასავითაა და ამ ეტაპზე, რაიმე მიზნის მიღწევაზე ლაპარაკი უაზრობად მიმაჩნიაო.

ზოლდენში მხოლოდ მეოთხე და მეხუთე შედეგებს დასჯერდა მსოფლიო თასის ორი ყოფილი აბსოლუტური გამარჯვებული, ავსტრიელი **ბენი რაიხი** და ამერიკელი **ბოდე მილერი**. ამ უკანასკნელმა პირველად იასპარეზა, როგორც დამოუკიდებელმა მოთხილამურემ. პირველ ცდაზე ის მხოლოდ მე-17 იყო, მაგრამ მეორეზე მეტად მოინდომა, მეორე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა (რამდენჯერმე ლამის ტრასის მიღმა აღმოჩნდა) და საბოლოოდ, კვარცხლბეკამდე ცოტა (წამზე ოდნავ მეტი) დააკლდა.

*"ჩემი პირველი ცდა საშინელება იყო. არ მეგონა, თუ სეზონს ასე ცუდად დავიწყებდი. ვარჯიშებისგან განსხვავებით, თხილამურები კარგად არ სრიალებდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მათზე პირველად ვიდექი. მეორე ცდაზე სტილი ოდნავ შევცვალე, უფრო აგრესიული ვიყავი. რამდენჯერმე შეცდომაც დავუშვი, მაგრამ როცა რისკავ, შეცდომისგან დაზღვეული ვერასოდეს იქნები"*, - განაცხადა მილერმა, ვინც პირველ ცდაზე თანამემამულე ლაიჯეტისთან 1.93 წამი წააგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**გიგანტური სლალომი**

ზოლდენი (ავსტრია). კაცები

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:17.87 (1:08.89, 1:08.98); 2. ტედ ლაიჯეტი (აშშ) 2:18.19 (1:07.72, 1:10.47); 3. კალე პალანდერი (ფინეთი) 2:18.26 (1:07.92, 1:10.34); 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:18.53 (1:08.30, 1:10.23); 5. ბოდე მილერი (აშშ) 2:18.93 (1:09.65, 1:09.28); 6. მანფრედ მოლეგი (იტალია) 2:19.03 (1:09.20, 1:09.83); 7. თომას ფანარა (საფრანგეთი) 2:19.12 (1:09.45, 1:09.67); 8. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:19.18 (1:09.21, 1:09.97); 9. ალბერტო სკიეპატი (იტალია) 2:19.47 (1:09.24, 1:10.23); 10. მათიას ლანცინგერი (ავსტრია) 2:19.52 (1:09.84, 1:09.68) ...

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი–ედმონტონი 2:3 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰემსკი-3 (ჰორკოფი-7), 1:1 კუნიტცი-5 (პერი-4), 2:1 პერი-6 (ე. მაკდონალდი-5), 2:2 კოლიანო-3 (სანდერსონი-1, გილბერტი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), ჰემსკი (ედმონტონი).

**კოლორადო–მინესოტა 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-5 (საკიკი-7), 1:1 ბელანჟე-4 (ბუშარი-8, ფოსტერი-2), 2:1 სვატოსი-5 (რ. სმიტი-4, საკიკი-8), 3:1 ვოლსკი-4 (შჩასტნი-10, ბრუნეტი-9).

**ვანკუვერი–დეტროიტი 2:3**

1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუკი-3 (ლინდენი-1, ბ. მორისონი-4), 1:1 ჰოლმსტრიომი-8 (დაციუკი-11, ზეტერბერგი-12), 1:2 სამუელსონი-2 (ფილპულა-2, ლიდსტრიომი-8), 2:2 ნესლუნდი-4 (პიატი-1, კესლერი-6), 2:3 ჰუდლერი-2 (სამუელსონი-6, დრეიპერი-2).

**ტურის მოვლენები**

- "ედმონტონმა" შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მოახერხა. თანაც, **ენდრიუ კოლიანომ** გოლი რიცხობრივი უმცირესობისას გაიტანა.

- სტენლის თასის მფლობელმა "ანაჰაიმმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. სულ ამ გუნდს 13 მატჩში 9 წაგება დაუგროვდა.

- "იხვებს" ტრავმების გამო სამი ძირითადი მოთამაშე გამოაკლდა - **რაიან გეტცლაფი, რობ ნიდერმაიერი** და **ტოდ ბერტუცი**.

- "ედმონტონმა" ვერცერთხელ ვერ შეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. "მენავთობეებს" ლიგაში ამ უპირატესობის გამოყენების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ (48 შემთხვევიდან სამი გოლი).

■ ■ ■

- "კოლორადოს" გამარჯვება **რაიან სმიტის** გოლმა და პასმა და **ჯო საკიკის** ორმა გადაცემამ განაპირობა. ეს ვეტერანი ჰოკეისტები კარგად უგებენ ერთმანეთს. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ სმიტსა და საკიკს ერთად მოგებული აქვთ ოლიმპიადა და მსოფლიოს ორი ჩემპიონატი.

- ჩემპიონატის სტარტზე რვიდან შვიდი მოგების შემდეგ, "მინესოტა" სამი მატჩია ვერ ახერხებს გამარჯვებას.

- "უაილდი" ორი წამყვანი ფორვარდის - **მარიან გაბორიკისა** და **პავოლ დემიტრას** გარეშე თამაშობდა.

- "კოლორადოს" შინ ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს - 5-დან 5 მოგება. ასეთი შედეგი "ზვავებს" 1995 წლის შემდეგ არ უჩვენებიათ.

■ ■ ■

- "მინესოტას" წაფორხილებით ისარგებლა "დეტროიტმა" და 19 ქულით რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

- "რედ უინგზმა" ბოლო 4 დღის განმავლობაში მეორედ მოუგო "ვანკუვერს".

- "დეტროიტმა" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მიაღწია.

- ზედიზედ მეორე მატჩში "რედ უინგზის" კარს **კრის ოსგუდი** იცავდა, რომელიც ტრავმირებულ **დომინიკ ჰაშეკს** ცვლის. ოსგუდმა 27 დარტყმა მოიგერია და ამ სეზონში 5-დან 5 გამარჯვება დაუგროვდა.

- ოსგუდს მესამე პერიოდში საქმე თითქმის არ ჰქონია - მას სულ ოთხჯერ დაურტყეს მასპინძლებმა.

- "დეტროიტის" შვედი ლეგიონერი **ჰენრიკ ზეტერბერგი** ამ სეზონის ყველა მატჩში აგროვებს მინიმუმ ერთ ქულას. ეს სერია უკვე 12 მატჩამდე ავიდა და ზეტერბერგი 21 (9+12) ქულით ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

- შეტევაში შვედის პარტნიორი, **პაველ დაციუკი** ზედიზედ შვიდი მატჩია უქულოდ არ ტოვებს ყინულს.



სმიტი (შუაში) და საკიკი (მარჯვნივ) კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს

## ცურვა

მსოფლიო რეკორდი

# კაფლინი თავის რეკორდს ამხობს

სინგაპურში, მოკლე აუზებში მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე ასპარეზობისას, ამერიკელმა **ნატალი კაფლინმა** 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. 25-მეტრიან აუზში დისტანცია მან 56.51 წამში გაცურა, რაც 0.20 წამით ნაკლებია წინა რეკორდზე, რომელიც მასვე 2002 წელს, ნიუ იორკში გამოსვლისას აქვს დამყარებული. სხვათა შორის, კაფლინსვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ამავე დისტანციაზე, გრძელი აუზებისთვისაც.


ნატალი კაფლინი

ამერიკელმა მდევრების ჩამოტოვება პირველ მობრუნებამდე ვერ შეძლო. მერე კი, როცა უკანა გზაზე გამოემართა, საგრძნობლად გაზარდა ტემპი და ლიდერობაც იგდო ხელთ. აქედან მოყოლებული, მას პირველობას ველარავინ შეეცილა. საბოლოოდ, მეორეზე გასული ავსტრალიელი **სოფი ედინგტონი** კაფლენს თითქმის სამი წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი ასევე ავსტრალიელმა, **ტაილია ციმერმა** დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურის ტურნირზე ბევრი ვარსკვლავი არ მონაწილეობს. მათგან ყველაზე გამორჩეული კაფლინია, ვინც ასპარეზობის პირველ დღესაც მოიპოვა გამარჯვება (100 მეტრზე ბატერფლაიში). დისტანცია მან 56.35 წამში გაცურა, რაც ამ დისციპლინაში სეზონის საუკეთესო შედეგია.

მსოფლიო თასის სერია ერთი კვირის წინათ, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში დაიწყო. სინგაპურში მეორე ეტაპი ჩატარდა. ცნობისთვის, ეს თასის გათამაშების ერთადერთი აზიური ეტაპია.

## ჩოგბურთი

პარიზის მასტერსი

# ბრძოლა მასტერსის თასის ადგილებისთვის


ენდი მარეი

პარიზში, "ბერსის" სპორტულ კომპლექსში, სტარტი აიღო მასტერსის სერიის ბოლო ტურნირმა, რომელსაც, წინა სეზონებისგან განსხვავებით, თითქმის ყველა წამყვანი მეჩოგნე ეწვია. მათი მიზანი გასაგებია - მასტერსის თასის დარჩენილი ორი საგზურის მოპოვების შანსი ჯერაც 18 ჩოგბურთელს გააჩნია. ასე რომ, ისინი პარიზს შანხაის საგზურის მოსაპოვებლად ეწვიენ.

შეგახსენებთ, რომ მასტერსის თასზე, რომელსაც შანხაი 11-18 ნოემბერს უმასპინძლებს, სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ითამაშებს. რვა საგზურიდან ექვსის მფლობელი უკვე ცნობილია. ესენი არიან: **როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ნიკოლაი დავიდენკო, ენდი როდიკი** და **დავიდ ფერერი**. ორის მფლობელის ვინაობა კი პარიზში გაირკვევა.

ამ ორი საგზურის მოპოვების შანსი აქვთ როგორც ჩილელ **ფერნანდო გონსალესს**, ვინც ამჟამად ჩემპიონთა რბოლის ცხრილში მეშვიდე ადგილზეა, ასევე არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანს**, ვისაც ცხრილში 25-ე ადგილი უკავია. მე-17 ადგილზე მყოფ რუს **მიხაილ იუჟნისა** და მერვეზე მყოფ გერმანელ **ტომი ჰაასს** კი, სულ რაღაც 40 ქულა აშორებთ.

ცნობისთვის, რეგულარული სეზონის ბოლო ტურნირის გამარჯვებული 100 ქულას ღებულობს, მეორეზე გასულს 70 ქულა ერგება, წაგებული ნახევარფინალისტები კი 45-45 ქულას მიიღებენ.

შანხაიში მოხვედრის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია ბრიტანელი **ენდი მარეი**, ვინც ახლახანს სანკ პეტერბურგის ტურნირი მოიგო (ამ სეზონში ეს მისთვის მესამე ტურნირის ტიტულია) და ჩემპიონთა რბოლის ცხრილში მე-11 ადგილზე გადაინაცვლა. მას ოდენ სამი ქულა და ამდენივე ადგილი აშორებს სანუკვარ მიზნამდე.

პარიზის ტურნირზე რეიტინგის მოწინავე ოცი ჩოგბურთელიდან 19 იასპარეზებს. ერთადერთი ტოპ-მეჩოგნე, ვინც ამ ტურნირს ტოვებს, ამერიკელი ენდი როდიკია, ვისაც რეიტინგში მეხუთე ადგილი უკავია.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7205 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5385 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4470 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3250 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 2430 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 2130 |
| 7(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 8(9). ტომი რობრედო (ესპ) | 1965 |
| 9(8). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1905 |
| 10(10). ტომი ჰაასი (გერ) | 1870 |
| 11(13). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 1735 |
| 12(16). ენდი მიურეი (ბრიტ) | 1705 |
| 13(11). რიშარ გასკე (საფ) | 1680 |
| 14(13). გილერმო კანიასი (არგ) | 1678 |
| 15(14). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1675 |
| 16(15). კარლოს მოია (ესპ) | 1620 |
| 17(17). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1455 |
| 18(19). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1445 |
| 19(21). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1390 |
| 20(20). ხუან მონაკო (არგ) | 1385 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1291 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 1037 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 893 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 530 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 425 |
| 7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 380 |
| 8(8). ტომი ჰაასი (გერ) | 329 |
| 9(9). ტომი რობრედო (ესპ) | 328 |
| 10(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 327 |
| 11(18). ენდი მიურეი (ბრიტ) | 326 |
| 12(12). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 322 |
| 13(11). რიშარ გასკე (საფ) | 321 |
| 14(13). კარლოს მოია (ესპ) | 316 |
| 15(14). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 315 |
| 16(15). გილერმო კანიასი (არგ) | 299 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 289 |
| 18(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 284 |
| 19(22). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 275 |
| 20(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 273 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 405 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 395 185 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 313 700 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 576 775 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 224 120 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1 219 330 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 206 252 |
| 8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 1 101 070 |
| 9. რიშარ გასკე (საფ) | 984 790 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუს) | 979 900 |
| 11. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 949 445 |
| 12. ტომი ჰაასი (გერ) | 949 350 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 941 585 |
| 14. ტომი რობრედო (ესპ) | 928 147 |
| 15. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 923 765 |
| 16. გილერმო კანიასი (არგ) | 884 415 |
| 17. კარლოს მოია (ესპ) | 853 315 |
| 18. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 830 465 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტ) | 830 155 |
| 20. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 829 035 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 5930 |
| 2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3750 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3475 |
| 4(4). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3161 |
| 5(6). სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6(5). მარია შარაპოვა (რუს) | 2666 |
| 7(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2660 |
| 8(8). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2242 |
| 10(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2161 |
| 11(11). ელენა დემენტიევა (რუს) | 2022 |
| 12(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1941 |
| 13(13). ამელი მორესმო (საფ) | 1906 |
| 14(12). ნადია პეტროვა (რუს) | 1899 |
| 15(15). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1882 |
| 16(16). დინარა საფინა (რუს) | 1830 |
| 17(17). პატი შნიდერი (შვეიც) | 1806 |
| 18(18). შაარ პეერი (ისრ) | 1675 |
| 19(19). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1502 |
| 20(20). აგნეშ შავაი (უნგრეთი) | 1332 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 5405 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4097 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3691 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 3163 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2698 |
| 7. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2431 |
| 8. მარია შარაპოვა (რუს) | 2431 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფ) | 2224 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუს) | 2023 |
| 12. დინარა საფინა (რუს) | 1973 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1941 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიც) | 1936 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1919 |
| 16. ნადია პეტროვა (რუს) | 1864 |
| 17. შაარ პეერი (ისრ) | 1699 |
| 18. ამელი მორესმო (საფ) | 1538 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1497 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1372 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4 367 086 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 066 641 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 962 487 |
| 4. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 843 187 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 685 387 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 660 354 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 258 550 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1 147 266 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 136 740 |
| 10. დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1 036 112 |
| 11. დინარა საფინა (რუს) | 879 767 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 874 418 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 782 765 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიც) | 718 625 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუს) | 694 491 |
| 16. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 693 099 |
| 17. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 679 107 |
| 18. მარა სანტანჯელო (იტა) | 677 877 |
| 19. კარა ბლეკი (ზიმ) | 670 907 |
| 20. ნადია პეტროვა (რუს) | 655 962 |

## TV სპორტი

### 30 ოქტომბერი. სამშაბათი

**I არხი**

**11:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**15:05** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**16:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:05** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:05** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:05** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**20:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:10** საფეხბურთო კლუბი.
**23:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:58** სპორტკლუბი.
**11:09** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:01** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ლეიქსოეში.
**13:44** მინი-მოედანი.
**14:09** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. ფინალები. შტუტგარტი. გერმანია.
**17:43** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**18:13** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/2 ფინალი. ლიონი. საფრანგეთი.
**20:16** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:47** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:50** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:25** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ხოსე.
**01:15** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:27** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:20** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**02:31** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-პიტსბურგი (LIVE).
**05:37** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**06:06** მინი-მოედანი.
**06:33** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.

**EUROSPORT**

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
**12:00** მულტისპორტი.
**12:30** ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. პირველი მატჩი.
**13:30** მულტისპორტი.
**14:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**15:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
**16:00** სნუკერი.
**18:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
**20:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. ესპანეთი.
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** მულტისპორტი.
**21:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:00** პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. მჩატე წონა. ა. შება (საფრანგეთი)-პ. სიტპარადორნი (ტაილანდი). პორტუგალია.
**00:00** პროფესიული კრივი. კ. ამრანე (საფრანგეთი)-ს. დეტინგერი (საფრანგეთი). საფრანგეთი.
**02:00** რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
**03:30** სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
**14:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
**17:45** ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
**19:00** ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. პირველი მატჩი.
**20:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
**00:00** ავტოსპორტი. ევროპის თასი. იტალია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** რესტლინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩოგბურთი

## ფერერი შანხაიში წავა

გასულ კვირას, შანხაიში გასამართი წლის შემაჯამებელი ტურნირის რიგით მეექვსე მონაწილე გამოვლინდა. მასტერსის თასზე თამაშის უფლება ესპანელმა **დავიდ ფერერმა** მოიპოვა, რომელიც **როჯერ ფედერერს, რაფაელ ნადალს, ნოვაკ ჯოკოვიჩს, ნიკოლაი დავიდენკოსა** და **ენდი როდიკს** შეუერთდა.

რჩება კიდევ ორი ვაკანსია. რეიტინგის მიხედვით, თითქმის გარანტირებული აქვს ჩინეთში გამგზავრება ჩილელ **ფერნანდო გონსალესს**, ხოლო მერვე საგზურისთვის ერთბაშად 6 ჩოგბურთელი იბრძოლებს. კლასიფიკაციაში მერვე ადგილზე გერმანელი **ტომი ჰაასია**, მაგრამ მე-13 პოზიციაზე მყოფ ფრანგ **რიშარ გასკეს** მხოლოდ 8 ქულით უსწრებს.

ასე რომ კონკურენცია დიდია და ამ კვირას, პარიზის მასტერსზე დაძაბული ბრძოლებია მოსალოდნელი.

### ბეისბოლი

## ბოსტონი ჩემპიონია

გუშინ, ბეისბოლის მსოფლიო სერიის გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა. "ბოსტონ რედ სოქსმა" ფინალური სერიის მეოთხე მატჩში 4:3 მოუგო "კოლორადო როკიზს" და შვიდმატჩიანი დუელი თავის სასარგებლოდ - 4:0 დაასრულა.

ალსანიშნავია, "ბოსტონმა" ბოლო ოთხი წლის განავლობაში მეორედ მოიგო ბეისბოლის მსოფლიო სერია.

### რალი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**იაპონიის რალი (XIV ეტაპი)**

1. **ჰირვონენი** ("ფორდი", ფინეთი) - 3:23.57,6; 2. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) - +37,4; 3. **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - +4.33,7; 4. **უილსონი** ("ფორდი", ბრიტანეთი) - +6.37,9; 5. **პერეს კომპანკი** ("ფორდი", ესპანეთი) - +6.40,4; 6. **შტოლი** ("სიტროენი", ავსტრია) - +7.04,3; 7. **ვილიაგრა** ("ფორდი", ესპანეთი) - +11.15,3; 8. **ტაგუჩი** ("მიცუბიში", იაპონია) - +20.44,6.

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრონჰოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - 104 ქულა; 2. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 100; 3. **ჰირვონენი** - 84; 4. **სორდო** - 53; 5. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - 38; 6. **ჰ.სოლბერგი** - 34; 7. **ატკინსონი** ("სუბარუ", ავსტრალია) - 29; 8. **ლატვალა** ("ფორდი", ფინეთი) - 24.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. **ფორდი** - 189 ქულა; 2. **სიტროენი** - 155; 3. **სუბარუ** - 73; 4. **სტობარტი** - 71; 5. **კრონოსი** - 43; 6. **შკოდა** - 14.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **ჩემპიონატი** | |
| კრ. პალასი-უოტფორდი | 0:2 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| პისტოიეზე-სორენტო | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნიორი-ნანტი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| ნავალი-ბრაგა | 1:1 |
| პორტუ-ლეიქსოეში | 3:0 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ესბერგი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სლავია | 1:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრნავა-ნიტრა | 2:1 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კერავები | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეა | 3:3 |
| მორა-ტიმრე | 2:5 |
| ჰვ 71-ლინჩოპინგი | 5:5 |

**ჩოგბურთი**

| ATP. პარიზი | |
|---|---|
| ტურსუნოვი-ფიში | 6:7, 4:6 |
| სეპი-კერი | 5:7, 6:1, 6:3 |
| ფ. ლოპესი-დელ პოტრო | 4:6, 3:6 |
| ტიპსარევიჩი-სპეიდი | 7:6, 7:6 |
| კიფერი-ვავრინკა | 5:7, 3:6 |
| იუჟნი-კლემანი | 6:4, 6:3 |
| მატიო-ანჩიჩი | 6:4, 2:6, 3:6 |
| **WTA. კვებეკი** | |
| ვაკულენკო-დე ლოს რიოსი | 6:2, 6:0 |
| ზვონარევა-კასტანიო | 6:2, 6:4 |

### NBA. სეზონის წინ. დივიზიონების წარდგენა

# შაქის ბოლო გაკვეთილი?



შაკილ ონილი

## სამხრეთ-აღმოსავლეთი

### მაიამი

**შარშანდელი შედეგი:** 44:38

**სასტარტო ხუთეული:** ჯეისონ უილიამსი, დუეინ უეიდი, რიკი დევისი, ადონის ჰასლემი, შაკილ ონილი.

დაბერდა, დაუძლურდა **შაკი**, რომელიც, ალბათ, ბოლოჯერ გაიბრძოლებს საჩემპიონო ბეჭდისთვის. ერთ დროს შეუჩერებელი ცენტრი, დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს ხიფათს ოპონენტებისთვის, თუ დასვენებული და მოტივირებულია. შარშან შაკმა მხოლოდ რამდენიმე მატჩში თუ გაგვახსენა ძველი დროება, როდესაც მისი შემჩერებელი არავინ იყო. ასე რომ, ფლორიდელებს მასზე განსაკუთრებული იმედების დამყარება არ მოუწევთ, თუმცა თუ **დუეინ უეიდი** ჯანმრთელი იქნება, "ჰიტი" ძალიან სახიფათო უნდა იყოს. გაუშვეს **ანტუან უოკერი** და სახელფასო ფონდში საგაისოდ 14.7 მილიონი გამოთავისუფლდა. მის ნაცვლად გუნდში მოსული **რიკი დევისი** მთლად მსუბუქი ფორვარდი არ არის, მაგრამ **პატ რაილიმ** მისი სახით კარგი მექულე და საკმაოდ ნორმალური დამცველი დაიმატა. "ჰიტი" წელს პატარა, მორბენალი ხუთეულით ითამაშებს, ხოლო შაკი კი თავისას იშვიათად, მაგრამ მაინც გააკეთებს.

**პროგნოზი:** პლეიოფი

### ვაშინგტონი

**შარშანდელი შედეგი:** 41:41

**სასტარტო ხუთეული:** გილბერტ არენასი, დეშონ სტივენსონი, კეირონ ბატლერი, ანტუან ჯეიმისონი, ბრენდან ჰეივუდი.

ერთი კაცის (**გილბერტ არენასის**) გუნდი, რომელსაც გვერდით ორი კარგი მოთამაშე (**ბატლერი** და **ჯეიმისონი**) ჰყავს. უსწრაფესი შეტევა, უსუსტესი დაცვა და ისევ და ისევ არენასი, რომელიც საუკეთესო მექულის ტიტულისთვის **კობი ბრაიანტსა** და **კარმელო ენტონის** შეებრძოლება. დიდ იმედებს ამყარებენ უკრაინელ ცენტრ **ალექსეი პეჩეროვზე**, რომელმაც საგამოფენო შეხვედრებში საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა და თუ **ბრენდან ჰეივუდი** მას დაცვითა და გამოცდილებით სჯობნის, ახალგაზრდა "ხოხოლი" შეტევაში ჰეივუდს ჯიბეში ჩაისვამს. დედაქალაქელები აპრილში სეზონს ერთი საფლეიოფო სერიით გაიხანგრძლივებენ, მერე კი დამსახურებულ არდადეგებზე გავლენ.

**პროგნოზი:** პლეიოფი

### ორლანდო

**შარშანდელი შედეგი:** 40:42

**სასტარტო ხუთეული:** ჯამეერ ნელსონი, ჰედო თურქოღლუ, რაშარდ ლიუისი, ბო აუთლო, დუაიტ ჰოვარდი.

"მეჯიქმა" შარშანდელი რეგულარული რიხიანად, ზედიზედ 4 მოგებით დაასრულა, **დარკო მილიჩიჩი** ორმაგ დუბლებს მიყოლებით აკეთებდა და მომავლის პერსპექტივაც ნათელი იყო. დღეს, არც მილიჩიჩია გუნდში, **რაშარდ ლიუისში** კი, "მეჯიქმა" 100 მილიონზე მეტი (წლიურად 17 მილიონი) დახარჯა და სამომავლოდაც ვინმე მაგარი მოთამაშის დამატების პერსპექტივაც თითქმის ნულამდე დავიდა. "ორლანდოს" ხელში **დუაიტ ჰოვარდი** შერჩა, რომელიც ძალიან ძლიერია, მაგრამ მისი, ლიუისისა და, ალბათ, **ჰედო თურქოღლუს** გარდა, ვერავისზე ვიტყვით თამაშის მომგები არისო. ინანებენ ფლორიდელები დარკოს გაშვებით და შესაბამისად, სამნამიანში 10-12 ქულისა და 7-8 მოხსნის დაკარგვით. ძალიან ინანებენ და რვა საუკეთესო გუნდშიც ვერ მოხვდებიან.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა

### შარლოტი

**შარშანდელი შედეგი:** 33:49.

**სასტარტო ხუთეული:** რეიმონდ ფელტონი, ჯეისონ რიჩარდსონი, ჯერალდ უოლასი, პრიმოჟ ბრეზეცი, ემეკა ოკაფორი.

"ბობქეთსმა" კარგი მედრაფტის საფასურად "გოლდენ სტეიტიდან" **ჯეისონ რიჩარდსონი**, ანუ საშუალოდ, მინიმუმ 15 ქულა დაიმატა და კარგ გუნდსაც მოუყარა თავი. გუნდს, სადაც არ არის ულაპარაკო ლიდერი და რომლის მთავარი ნაკლიც სწორედ ესაა. არ მგონია, წელს ამ ნიჭიერმა, მაგრამ გამოუცდელმა შემადგენლობამ საფლეიოფო ფანჯარა შეაღოს. ჯერ ერთი, **ემეკა ოკაფორი** ტრავმებს შეეჩვია და იმავეს თქმა სასტარტოს მეორე მაღალზე, **პრიმოჟ ბრეზეცზეც** შეიძლება. **ჯერალდ უოლასმა** გუნდთან ახალი, მრავალწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამ მხრივ, ბოსები ოდნავ მაინც დამშვიდნენ, მაგრამ რვა საუკეთესოში მოხვედრა მაინც გაჭირდება. "შარლოტიდან" კარგი ფლეიმეიქერი **ბრევინ ნაითი** და ცენტრი **ჯეიკ ვოსკული** წავიდნენ. მომავლის გუნდი შორეული პერსპექტივით.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა

### ატლანტა

**შარშანდელი შედეგი:** 30:52.

**სასტარტო ხუთეული:** ტაირონ ლიუ, ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი, ელ ჰორფორდი, ზაზა ფაჩულია.

რამდენად მაგარია **ელ ჰორფორდი**? წინასასეზონო მატჩებს თუ ვენდობით, კარგი მოთამაშეა, მაგრამ არა ისეთი, რომელიც გუნდს ახალ, საფლეიოფო დონეზე გაიყვანს. დაახლოებით, ემეკა ოკაფორის დონისაა, მაგრამ გაცილებით კარგი საშუალო სროლითა და სკაუტების თქმით, ნორმალური პასით. "ჰოქსში" პირველი ვიოლინო ჯერაც **ჯო ჯონსონია**, რომელიც ბოლო შვიდი წელიწადია შედეგიანობას ზრდის და ოდნავ უკეთ დაცვაშიც თუ დაიხარჯება, მთლად უკეთესი. **ზაზა ფაჩულიაზე** ამჯერად არაფერს ვიტყვით (ამაზე ქართული კალათბურთის განყოფილებაში მოგითხრობთ), ისე კი "ჰოქსი" ჰორფორდმა თუ გააძლიერა, თორემ სხვა მხრივ, "ატლანტა" რაც იყო შარშან, იგივეა წელსაც. და კიდევ, **ჯოშ სმიტი** სეზონის საუკეთესო დამცველის პრიზის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება, **ტაირონ ლიუს** კი სასტარტოდან ახალბედა **ეისი ლო** ამოაგდებს.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოქტომბერ-ნოემბრის კალენდარი

**30 ოქტომბერი**
სან ანტონიო-პორტლენდი
ლეიკერსი-ჰიუსტონი
გოლ. სტეიტი-იუტა

**31 ოქტომბერი**
ინდიანა-ვაშინგტონი
ორლანდო-მილუოკი
ტორონტო-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
ნიუ ორლეანი-საკრამენტო
კლივლენდი-დალასი
მემფისი-სან ანტონიო
დენვერი-სიეტლი

**1 ნოემბერი**
მაიამი-დეტროიტი
იუტა-ჰიუსტონი
სიეტლი-ფინიქსი

**2 ნოემბერი**
ინდიანა-მაიამი
ორლანდო-დეტროიტი
კლივლენდი-ნიუ იორკი
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ბოსტონი-ვაშინგტონი
ნიუ ორლეანი-პორტლენდი
შარლოტი-მილუოკი
ატლანტა-დალასი
მინესოტა-დენვერი
ჩიკაგო-ფილადელფია
სან ანტონიო-საკრამენტო
კლიპერსი-გოლ. სტეიტი
ფინიქსი-ლეიკერსი

**3 ნოემბერი**
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-ორლანდო
მემფისი-ინდიანა
დალასი-საკრამენტო
ჰიუსტონი-პორტლენდი
მილუოკი-ჩიკაგო
იუტა-გოლ. სტეიტი

**4 ნოემბერი**
ტორონტო-ბოსტონი
კლიპერსი-სიეტლი
მაიამი-შარლოტი
ნიუ იორკი-მინესოტა
დეტროიტი-ატლანტა
დენვერი-ნიუ ორლეანი
ფინიქსი-კლივლენდი
ლეიკერსი-იუტა

**5 ნოემბერი**
დალასი-ჰიუსტონი

**6 ნოემბერი**
შარლოტი-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-ატლანტა
ნიუ იორკი-დენვერი
მილუოკი-ტორონტო
მინესოტა-ორლანდო
ჩიკაგო-კლიპერსი
ჰიუსტონი-სან ანტონიო
საკრამენტო-სიეტლი
გოლ. სტეიტი-კლივლენდი
ლეიკერსი-ნიუ ორლეანი

**7 ნოემბერი**
ატლანტა-ფინიქსი
ფილადელფია-შარლოტი
ინდიანა-კლიპერსი
ტორონტო-ორლანდო
ბოსტონი-დენვერი
სან ანტონიო-მაიამი
იუტა-კლივლენდი
სიეტლი-მემფისი
პორტლენდი-ნიუ ორლეანი

**8 ნოემბერი**
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-დეტროიტი
გოლ. სტეიტი-დალასი

**9 ნოემბერი**
ფილადელფია-ტორონტო
შარლოტი-ინდიანა
ბოსტონი-ატლანტა
მაიამი-ფინიქსი
ნიუ იორკი-ორლანდო
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო
დეტროიტი-კლიპერსი
ვაშინგტონი-დენვერი
ჰიუსტონი-მილუოკი
პორტლენდი-მემფისი
ლეიკერსი-მინესოტა
საკრამენტო-კლივლენდი
სიეტლი-იუტა

**10 ნოემბერი**
ინდიანა-დენვერი
ორლანდო-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ჩიკაგო-ტორონტო
იუტა-მემფისი
პორტლენდი-დალასი
საკრამენტო-მინესოტა

**11 ნოემბერი**
ატლანტა-ვაშინგტონი
ნიუ იორკი-მაიამი
ფილადელფია-ნ. ორლეანი
შარლოტი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-მილუოკი
სიეტლი-დეტროიტი
კლიპერსი-კლივლენდი

**12 ნოემბერი**
ნიუ ჯერსი-ნიუ ორლეანი
დენვერი-კლივლენდი
იუტა-საკრამენტო

**13 ნოემბერი**
ინდიანა-ბოსტონი
ორლანდო-სიეტლი
შარლოტი-მაიამი
მემფისი-ჰიუსტონი
დალასი-ფილადელფია
სან ანტონიო-ლეიკერსი
ფინიქსი-ნიუ იორკი
პორტლენდი-დეტროიტი

**14 ნოემბერი**
ატლანტა-შარლოტი
კლივლენდი-ორლანდო
ვაშინგტონი-ინდიანა
ტორონტო-იუტა
ბოსტონი-ნიუ ჯერსი
მაიამი-სიეტლი
ნ. ორლეანი-ფილადელფია
მილუოკი-მემფისი
მინესოტა-საკრამენტო
დენვერი-პორტლენდი
ჰიუსტონი-ლეიკერსი
გოლ. სტეიტი-დეტროიტი
კლიპერსი-ნიუ იორკი

**15 ნოემბერი**
დალასი-სან ანტონიო
ფინიქსი-ჩიკაგო

**16 ნოემბერი**
ფილადელფია-პორტლენდი
ტორონტო-ინდიანა
ატლანტა-სიეტლი
ბოსტონი-მაიამი
კლივლენდი-იუტა
ნიუ ჯერსი-ორლანდო
მინესოტა-ვაშინგტონი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
მემფისი-ნიუ ორლეანი
საკრამენტო-ნიუ იორკი
გოლ. სტეიტი-კლიპერსი
ლეიკერსი-დეტროიტი

**17 ნოემბერი**
ინდიანა-იუტა
ვაშინგტონი-პორტლენდი
შარლოტი-სიეტლი
ნიუ ჯერსი-მაიამი
მინესოტა-ნიუ ორლეანი
დალასი-მემფისი
ჰიუსტონი-ფინიქსი
მილუოკი-ატლანტა
დენვერი-ნიუ იორკი
კლიპერსი-ჩიკაგო

**18 ნოემბერი**
ტორონტო-გოლ. სტეიტი
ორლანდო-ბოსტონი
საკრამენტო-დეტროიტი
ლეიკერსი-ჩიკაგო

**19 ნოემბერი**
შარლოტი-პორტლენდი
ნიუ ორლეანი-ორლანდო
მემფისი-სიეტლი
იუტა-ნიუ ჯერსი

**20 ნოემბერი**
ატლანტა-სან ანტონიო
კლივლენდი-მილუოკი
ინდიანა-ლეიკერსი
ვაშინგტონი-ფილადელფია
ნიუ იორკი-გოლ. სტეიტი
დალასი-ტორონტო
დენვერი-ჩიკაგო
ფინიქსი-საკრამენტო

**21 ნოემბერი**
შარლოტი-ვაშინგტონი
ბოსტონი-გოლ. სტეიტი
ჰიუსტონი-დალასი
მაიამი-ატლანტა
ნიუ ორლეანი-ინდიანა
დეტროიტი-ნიუ იორკი
მილუოკი-ლეიკერსი
მინესოტა-კლივლენდი
მემფისი-ტორონტო
სან ანტონიო-ორლანდო
ფინიქსი-საკრამენტო
პორტლენდი-ნიუ ჯერსი
კლიპერსი-დენვერი

**23 ნოემბერი**
ორლანდო-შარლოტი
ვაშინგტონი-გოლ. სტეიტი
ბოსტონი-ლეიკერსი
დეტროიტი-ფილადელფია
ინდიანა-დალასი
მაიამი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-მემფისი
დენვერი-მინესოტა
ფინიქსი-კლიპერსი
იუტა-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-საკრამენტო
სიეტლი-ნიუ ჯერსი

**24 ნოემბერი**
კლივლენდი-ტორონტო
ნიუ იორკი-ჩიკაგო
ორლანდო-მაიამი
ფილადელფია-გ. სტეიტი
შარლოტი-ბოსტონი
მინესოტა-ატლანტა
მემფისი-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-დენვერი
მილუოკი-დალასი
კლიპერსი-ნიუ ორლეანი

**25 ნოემბერი**
ტორონტო-ჩიკაგო
ინდიანა-კლივლენდი
დეტროიტი-იუტა
სიეტლი-სან ანტონიო
ლეიკერსი ნიუ ჯერსი

**26 ნოემბერი**
ნიუ იორკი-იუტა
ნიუ ორლეანი-მინესოტა
დალასი-ვაშინგტონი
პორტლენდი-ორლანდო
საკრამენტო-სან ანტონიო
გოლ. სტეიტი-ფინიქსი
კლიპერსი-ჰიუსტონი

**27 ნოემბერი**
კლივლენდი-ბოსტონი
მაიამი-შარლოტი
ნიუ ჯერსი-მემფისი
მილუოკი-ფილადელფია
ჩიკაგო-ატლანტა
დენვერი-ინდიანა
ლეიკერსი-სიეტლი

**28 ნოემბერი**
სან ანტონიო-ვაშინგტონი
ფილადელფია-იუტა
ტორონტო-მემფისი
დეტროიტი-კლივლენდი
ატლანტა-მილუოკი
დალასი-მინესოტა
ფინიქსი-ჰიუსტონი
პორტლენდი-ინდიანა
საკრამენტო-გოლ. სტეიტი
სიეტლი-ორლანდო

**29 ნოემბერი**
ბოსტონი-ნიუ იორკი
გოლ. სტეიტი-ჰიუსტონი
ლეიკერსი-დენვერი

**30 ნოემბერი**
ფილადელფია-ვაშინგტონი
ტორონტო-კლივლენდი
ატლანტა-ნიუ ორლეანი
ნიუ იორკი-მილუოკი
მაიამი-ბოსტონი
მინესოტა-სან ანტონიო
დალასი-პორტლენდი
იუტა-ლეიკერსი
ფინიქსი-ორლანდო
დენვერი-კლიპერსი
სიეტლი-ინდიანა

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, აზ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა